საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№240 (12 310)

11 ოქტომბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

სეოკის სკანდალური სხდომის შემდეგ. მარცხნივ - ვიცე პრეზიდენტი გოგი თოფაძე

ორჯერადი ვარჯიში და იუბილარი ცქიტიშვილი

დავით ცაბაძე
გენუიდან

ნაკრებმა გუშინ ორჯერ ივარჯიშა

საქართველოს ნაკრებმა სრული შემადგენლობით პირველად ივარჯიშა. წინა დღეებისგან განსხვავებით, **კლაუს ტოპმიოლერმა** ორი წვრთნა ჩაატარა. გუშინდელი დღე კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ **ლევან ცქიტიშვილს** დაბადების დღე ჰქონდა და ეს ქართულმა დელეგაციამ ვახშმით აღნიშნა. პირველი ვარჯიში დილით 10 საათზე გაიმართა. სამის გარდა ყველამ სრული დატვირთვით ივარჯიშა. მოედნის გარშემო ინდივიდუალურად **ლაშა ჯაკობიამ, ზურაბ მენთეშაშვილმა** და **მალხაზ ასათიანმა** ივარჯიშეს. როგორც გავიგეთ, **ჯაკობია** სამშაბათის ვარჯიშის შემდეგ კუნთის ტკივილმა შეაწუხა. ასათიანი და მენთეშაშვილი მწვრთნელებმა დაასვენეს. თუმცა საღამოს წვრთნაში უკვე ესენიც მონაწილეობდნენ. წვრთნა მსუბუქი გახლდათ, მოედნის გარშემო სირბილი, მოთელვა, გრძელი და მოკლე პასები, კვადრატი, კომბინაციები ფლანგების გამოყენებითა და ბურთთან ერთი შეხებით.

ვარჯიშის შემდეგ გუნდი სასტუმროში დაბრუნდა. მცირე ხანს დაისვენა და საღამოსთვის მოემზადა.

საღამოს ვარჯიშმა საათნახევარს გასტანა.

გიორგი ლომაია, გიორგი მაკარიძე, რევაზ თევდორაძე, ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლაშა სალუქვაძე, ლევან ცქიტიშვილი, ჯაბა კანკავა, დავით კვირკველია, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე, ლევან ყენია, გიორგი დემეტრაძე, ლაშა ჯაკობია, დავით სირაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი მჭედლიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, მალხაზ ასათიანი - აი ეს 21ფეხბურთელი მონაწილეობდა საღამოს წვრთნაში.

დილის პროცედურები ისევ განმეორდა. დასასრულს ორკარა გაიმართა. კლაუს ტოპმიოლერმა ორი ვარიანტი მოსინჯა.

პირველ გუნდში (ლურჯები) იყვნენ: ლომაია, შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, ასათიანი, კვირკველია, ცქიტიშვილი, მენთეშაშვილი, ყენია, მჭედლიძე, ჯაკობია. ხოლო მეორეში (მწვანე) - მაკარიძე, სალუქვაძე, კვახაძე, კანკავა, დოლიძე, ბოლქვაძე, სირაძე, ტატანაშვილი, კანდელაკი, დემეტრაძე, ფრიდონაშვილი (რიცხობრივი ბალანსისთვის გუნდს ბესიკ ფრიდონაშვილი დაემატა).

მეორე ტაიმში კლაუს ტოპმილერმა ლურჯებში დემეტრაძე გადაიყვანა ჯაკობიას ადგილას, მერე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეუცვალა ადგილი. მოკლედ, მწვრთნელი ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაშია.

ვახშამზე ლევან ცქიტიშვილს სიურპრიზი ელოდა. სპეციალურად შეკვეთილი ტორტის დაჭრა სწორედ მას ერგო წილად.

ვახშმის შემდეგ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს გავესაუბრეთ:

კლაუს ტოპმიოლერი:

- დღეს მთელმა გუნდმა პირველად ვივარჯიშეთ. დილით სამი მოთამაშე მხოლოდ ინდივიდუალურად დავტვირთე და მოხარული ვარ, რომ საღამოს წვრთნაში მათ სრული დატვირთვით ივარჯიშეს.

2

კლაუს ტოპმიოლერი

დაირღვა თუ არა საპროცესო ნორმები?

საქართველოში დარღვეული ოლიმპიური სიმშვიდე, მთელი ჩვენი საზოგადოებისა და მასმედიის საშუალებების განსჯის საგანი გახდა. გუშინ, კეთდებოდა ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებებიც კი. ჩვენ სპორტულ სამყაროს და ხალხს კი სურს იცოდეს სიმართლე. ასეთ ვითარებაში არც ჩვენთვისაა ასე ადვილი ჭეშმარიტების დადგენა. განსაკუთრებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია **გიორგი უდესიანისა** და **გიორგი მელაძის** სეოკ-ის აღმასკომის წევრობის საკითხმა. შექმნილ სიტუაციაში გადამწყვეტია საოკ-ის აღმასკომის ერთი წევრის ხმაც კი. ზოგი ამტკიცებს, რომ უდესიანი აღარაა აღმასკომის წევრი, რადგან ის, ნლეუულს, წლის დასაწყისში წავიდა საოკ-ის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან და მას არ ჰქონდა ხმის მიცემის უფლება.

გუშინვე, სეოკ-იდან მივიღეთ ოფიციალური შეტყობინება, რომელშიც ვკითხულობთ (სტილი დაცულია):

"ქ. თბილისის მერის ბ-ნი გ. უგულავას რეკომენდაციით (2007 წლის 16 თებერვლის წერილი) ოლიმპიური კომიტეტის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოთავისუფლებულ თანამდებობაზე (ეს პოსტი ადრე ეკავა ბ-ნ გ. უდესიანს, რომელიც გადაყვანილ იქნა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილედ) რეკომენდაცია გაეწია ბ-ნ გიორგი მელაძეს. ბ-ნი გ. მელაძე მიმდინარე წლის 24 მაისს, სტუმრის სტატუსით, მოწვეულ იქნა სეოკ-ის აღმასკომის სხდომაზე. სეოკ-ის პრეზიდენტმა ბ-ნმა ბ. პატარკაციშვილმა მიულოცა მას ეს მაღალი ნდობა და დააყენა საკითხი მისი სეოკ-ის სესიის უახლოეს სხდომაზე (2007 წლის დეკემბერი) აღმასკომის შემადგენლობაში შეყვანის თაობაზე.

სეოკ-ის წესდების შესაბამისად აღმასკომის წევრად შეყვანა სესიის პრეროგატივა".

ვაკმაყოფილებთ "ლელოს" მკითხველთა თხოვნას და აქვე ვაქვეყნებთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრთა სრულ შემადგენლობას.

სეოკ-ის აღმასკომის წევრები

1. გიორგი ასანიძე
2. ლელა აფციაური
3. ნოდარ ახალკაცი
4. ლევან ახვლედიანი
5. ჯანსულ გაგრატიონი
6. გიძინა ბარათაშვილი
7. ელგუჯა გერიშვილი
8. დავით გეჟუაშვილი
9. გიორგი გაგაშვილი
10. ნონა გაფრინდაშვილი
11. კახა გეწაძე
12. არჩილ გოგელია
13. ომარ გოგიაშვილი
14. რამაზ გოგლიძე
15. ემზარ ზენაიშვილი
16. გოგი თოფაძე
17. თამაზ იმნაიშვილი
18. ლუკა კურტანიძე
19. ბესიკ ლიპარტელიანი
20. თამაზ მდინარაძე
21. ლეილა მესხი
22. ირაკლი მეძმარიაშვილი
23. დავით ნამგალაური
24. არკადი პატარკაციშვილი
25. რევაზ როგავიძე
26. რომან რურუა
27. ნინო სალუქვაძე
28. რუსუდან სიხარულიძე
29. გიორგი უდესიანი
30. როგერტ შავლაყაძე
31. ვაჟა ჭუბლაძე
32. შოთა ჩოჩიშვილი
33. გოჩა ძასოხოვი
34. ლერი ხაგელოვი
35. დილარ ხაგულიანი
36. მამუკა ხაზარაძე
37. გეგან ხურციძე
38. გოგი ჯაოშვილი

სამწუხაროდ, გუშინ ვერ გადავამონმეთ, ვინ ესწრებოდა აღმასკომის სხდომას და ვინ დაუჭირა მხარი **ბადრი პატარკაციშვილისთვის** სეოკ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეჩერებას. ამის გარკვევას დღეს შევეცდებით. სეოკ-ის იურიდიული სამსახური აცხადებს, რომ დარღვეულია პროცედურის დადგენილი ნორმები და ბადრი პატარკაციშვილი კვლავ რჩება სეოკ-ის პრეზიდენტად. აღმასკომის მონვევის ინიციატორები კი ამტკიცებენ, რომ ყველაფერი კანონიერად მოხდა.

არც ტრავმირებული ვარ და არც არავის დაურეკავს ჩემთან

■ რა თქმა უნდა, ვთამაშობ და არანაირი ტრავმა არ მაწუხებს. პირიქით, ნაკრებში თამაში ძალიანაც მინდოდა,

■ მარტო ტოპმიოლერი არაა გადაკიდებული, ეტყობა, კიდევ სხვა ხალხია ნანყენი.

■ საწყენია, რომ უთამაშებლებს ინვევენ და თურმე, მე ტრავმირებული ვყოფილვარ. სამწუხაროდ, მიზეზი ყველამ იცის, რატომაც არ მეძახიან... ფარერებამდე ვარჯიშზე ტვინის შერყევა მივიღე, ერთი არავინ დამკავშირებია.

■ ჩემი აზრით, ტოპმიოლერის ზემდგომთა მიზეზით აღარ მინვევენ.

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან 3

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

მამუკა აბუსერიძე, ლევან ცქიტიშვილი და გირგი დემეტრაძე

ორჯერადი ვარჯიში და იუბილარი ცქიტიშვილი

პირველი გვერდიდან

დღეს გამორჩეული დღეა. დაბადების დღე ყველა ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია და ყველამ გულწრფელად მივულოცეთ ლევანს. საჩუქარი არ გვიყიდია. გუნდის საჩუქარი შაბათს გენუაში კარგი თამაში იქნება.

- ვინ უკაპიტნებს ნაკრებს?

- ამას გუნდთან ერთად მატჩამდე გადავწყვეტთ...

ზურაბ ხიზანიშვილი:

"მზადება კარგად მიდის, გუნდში საბრძოო ატმოსფეროა. მართალია იტალიელებსაც არ ულხინთ, მათაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლიათ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მათთან სტუმრად წარმატება ძალზე ძნელია, მით უმეტეს, ასეთი შესუსტებული შემადგენლობით. თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ.".

გიორგი დემეტრაძე:

"ჩვენს წყვილში ფავორიტი იტალიაა, მაგრამ აქ სასეირნოდ არ ჩამოვსულვართ. პრობლემები მათაც აქვთ, მაგრამ თითქმის ყველას სრულფასოვანი შემცვლელი ჰყავთ. ასე რომ, მათ დანაკლისი დიდად არ დაეტყობათ."

ლაშა ჯაკობია:

"მზადება მშვენივრად მიდის. მაქსიმალურად უნდა მოვინდომოთ და კარგი თამაში ვაჩვენოთ. იმედი მაქვს, ღმერთის წყალობით, ამას შევძლებთ."

ლაშა სალუქვაძე:

"არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იტალიას 3 ქულა სჭირდება და შემტევ ფეხბურთს ითამაშებს. ჩვენ ალბათ კონტრშეტევაზე ავაწყობთ თამაშს და მეტოქეს პრობლემებს ასე შევუქმნით."

იტალიელებს მჭედლიძის ნაყვანა სურდათ

დევიდე ტორკია, ლევან მძედლიძე და მარჩელო კარლი

ავტორის ფოტო

იტალია-საქართველოს მატჩამდე ამ ორი მხარის ინტერესები ორშაბათს, საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი შეკრების პირველივე დღეს გადაიკვეთა.

ნაკრების პირველ ვარჯიშამდე სამიოდე საათი იყო დარჩენილი, როცა ძმები მჭედლიძეები სასტუმრო "არენცანოსთან" მანქანით გამოჩნდნენ. უფროსმა ძმამ გიორგიმ, რომელმაც ფეხბურთს უკვე თავი დააანება და საფეხბურთო აგენტობა აქვს გადაწყვეტილი, უმცროსი ძმა ლევანი ნაკრების შეკრებაზე მოიყვანა. ძმებს ორი იტალიელი მოჰყვათ. ერთი ლევანის აგენტი დევიდე ტორკია იყო, მეორე კი "ემპოლის", ასე ვთქვათ, ახალგაზრდების კურატორი მარჩელო კარლი.

როგორც მოგვიანებით გაირკვა იტალიელთა სურვილი იყო, ლევან მჭედლიძეს 13 ოქტომბერს იტალიასთან მატჩში არ ეთამაშა. ლევანმა მუხლზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მისი კუნთები ჯერ კიდევ საკმაოდ არაა მომაგრებული და არის შანსი მუხლი ეტკინოსო - ასეთი იყო იტალიელების არგუმენტი. აპენინელებს თავიანთი ჩანაფიქრი "ლელოსთან" საუბარშიც არ დაუმალავთ.

დევიდე ტორკია:

ქართველების ფრეც გამახარებს

- რისი თქმა შეგიძლიათ ლევან მჭედლიძეზე. რამდენად ამართლებს თქვენს იმედებს?

- მასში დიდი ტალანტი დავინახე. ამაში "ემპოლის" ხელმძღვანელობაც დარწმუნდა და ამიტომაც იყო ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს კონტრაქტი რომ გაუფორმა. სერია A-ში თამაში ძნელია, თუმცა მას საკმაო მონაცემები აქვს, თავის თავზე უნდა იმუშაოს და მჯერა "ემპოლის" სასტარტოში ჩაჯდება და წამყვან ფიგურადაც იქცევა.

- სხვა ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერებზეც ხომ არ დაინყებთ მუშაობას...

- ჯერჯერობით ჰორიზონტზე ლევანის დარ ტალანტს ვერ ვხედავთ. შესაძლოა ასეთი საქართველოში კიდევ რამდენიმეა, მაგრამ ჩვენი თვალთახედვის არეალში ჯერ არაა.

- იქნებ გვითხრათ სერია A-ში ვინაა თქვენი კლიენტი...

- სიამოვნებით. ჩვენი სააგენტოს კლიენტები არიან პირლო, გრივალი, პანჩინი... სულ სერია A-ში 60-მდე ფეხბურთელი გვყავს.

- როგორც გავიგე თქვენ და "ემპოლის" ხელმძღვანელობას არ გინდათ, რომ ლევანმა 13 ოქტომბრის მატჩში ითამაშოს...

- საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ლევანი ოპერაციის შემდეგ ჯერ კიდევ არაა სრულად გამოჯანმრთელებული. სწორედ ამის გამო ვფრთხილობთ. არ გვინდა მას ტკივილებმა შეახსენოს თავი. გვინდა ის მალე გამოჯანმრთელდეს ბოლომდე და "ემპოლიში" დამკვიდრებისთვის იბრძოლოს.

მარჩელო კარლი:

იმედია, მჭედლიძეს ემპოლიში წავიყვანთ

- უპირველეს ყოვლისა, ლევან მჭედლიძეზე თქვენი აზრი გვაინტერესებს...

- სიამოვნებით. ლევანი , დიდი პოტენციალის ფეხბურთელია. თუ საკუთარ თავზე ბევრს იმუშავებს და ტალანტს სწორად განავითარებს, მისგან ჩინებული ფორვარდი დადგება. საამისოდ მას ყველა მონაცემი აქვს, გოლის ალღო, სიმაღლე, ტექნიკა, კარში დარტყმა და სხვა საფეხბურთო კომპონენტები. მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და რეაბილიტაციისთვის კიდევ 15 დღე ესაჭიროება. სწორედ ამიტომ გვინდა ის ნაკრების შეკრებიდან გაათავისუფლონ და ემპოლიში ნავიყვანოთ სარეაბილიტაციო კურსის დასასრულებლად.

- თავად ლევანი აცხადებს, რომ მას უკვე შეუძლია თამაში. ამ საკითხის გადაწყვეტა მასზე და კლაუს ტოპმიოლერზეა დამოკიდებული...

- დიახ, ჩვენ აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ლევანის მდგომარეობა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობასა და სამედიცინო შტაბს ვაუწყოთ. მისმა ოპერაციამ ჩინებულად ჩაიარა, კარგად წარიმართა სარეაბილიტაციო პერიოდიც, მაგრამ სრულად გამოსაჯანმრთელებლად მას კიდევ 2 კვირა ესაჭიროება. იმედი მაქვს, თქვენი ნაკრების ხელმძღვანელობა ამ ვითარებას გაითვალისწინებს და ლევანს ემპოლიში წავიყვანთ...

- თუ ასე არ მოხდა და ლევანი ნაკრებში დარჩა...

- ჩვენ საკმაოდ მყარი არგუმენტები გვავს და იმედი მაქვს, ამ საკითხს ყველა გულისხმიერად მოეკიდება...

- როგორ ფიქრობთ, ლევანი მალე შეძლებს "ემპოლიში" დამკვიდრებას?

- მე გუნდის მწვრთნელი არ ვარ, მაგრამ თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ლევანი მიმდინარე სეზონში, სერია ა-ში, არაერთ მატჩში ითამაშებს.

აი, სულ ეს იყო იტალიელებთან საუბარი. მართალია, მათ ცდა არ დააკლეს, მაგრამ ლევან მჭედლიძე ნაკრებში დარჩა. თავად, "ლელოსთან" საუბარში განაცხადა, რომ თამაში შეუძლია და ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავს.

დავით ცაბაძე

გენუიდან

www.kazbegi.com

გაზსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გოგიტა გოგუასთან

არც ტრავმირებული ვარ და არც არავის დაურეკავს ჩემთან

ფეხბურთელი მიხვდა, რომ ნაკრებში აღარ მიიწვევენ



საქართველოს ნაკრებს რამდენიმე ლიდერი დააკლდა. კაპიტანი კახა კალაძე და ვიცე-კაპიტანი ლევან კობიაშვილი დაშავდნენ, ისევე როგორც "კრილია სოვეტოვის" კაპიტანი დავით მუჯირი. კლაუს ტოპმიოლერმა ალექსანდრე იაშვილი არ გამოიძახა.

გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა კლაუს ტოპმიოლერის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ ნაკრებში გოგიტა გოგუას გამოძახება სურდა, თუმცა ის ტრავმის გამო ვერ ჩამოვიდა.

სიტყვა-სიტყვით გთავაზობთ ინტერვიუს ნაწყვეტს.

- გასაგებია, რომ გოგიტა გოგუა უდისციპლინობის გამო დასაჯეთ, მაგრამ საინტერესოა, როდის მოუხსნით მას ამ სასჯელს და როდის დააბრუნებთ ნაკრებში. ან იქნებ, საერთოდ უარს ამბობთ მასზე?

- გოგუა დასჯილი აღარ არის. მე ის შოტლანდიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სიაში შევიყვანე, მაგრამ ტრავმის გამო ნაკრებში ჩამოსვლაზე უარის თქმა მოუხდა.

- გოგუა ტრავმირებულია? ამის შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა...

- გიმეორებთ, მე მისი გამოძახება მსურდა, მაგრამ ფედერაციაში მითხრეს, რომ ტრავმის გამო ჩამოსვლაზე უარი თქვა.

გუშინვე ჩვენ გოგუას დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით, რადგან საკმაოდ გაუგებარი ვითარება შეიქმნა. ჩვენი ინფორმაციით ტრავმის შემდეგ გოგიტა მოედანს დაუბრუნდა, რამდენიმე მატჩიც ჩაატარა და იტალიაში, ნაკრების შეკრებაზე გასამგზავრებლადაც ემზადებოდა. მერე კი სიაში აღარ აღმოჩნდა. როგორც ტოპმიოლერი ამბობს, ფედერაციაში უთქვამთ გოგუამ ტრავმის გამო თქვა უარი თამაშზეო.

რა ხდება რეალურად?

- რა თქმა უნდა, ვთამაშობ და არანაირი ტრავმა არ მაწუხებს. პირიქით, ნაკრებში თამაში ძალიანაც მინდოდა, მაგრამ არ მიმიწვიეს - ამბობს გოგიტა.

- ტოპმიოლერმა თქვა, რომ ფედერაციისთვის შეგითვლია ტრავმირებული ვარო.

- სიცრუეა! მე არავინ დამკავშირებია.

- მოდი, გულახდილად ვისაუბროთ. ტოპმიოლერი გენდობოდა და უცებ აგითვალწუნა, დაგსაჯა, ამრევი და უდისციპლინო გიწოდა. თქვენს შორის შავმა კატამ რატომ გაირბინა?

- ეს ალბათ, შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ მოხდა, მაგრამ მარტო ტოპმიოლერი არაა გადაკიდებული, ეტყობა, კიდევ სხვა ხალხია ნაწყენი.

- ვის გულისხმობ?

- ეს თვითონ იციან... გული მწყდება, რომ ასეთი პრინციპული თამაშები უჩემოდ ჩაივლის. იტალიასთან და შოტლანდიასთან გამოსვლა სხვაგვარი სტიმულია. არ ვიცი, საიდან, ან ვისგან შეიტყვეს, ტრავმა აქვსო, ასეთი რამ მათთვის არ მითქვამს. ან როგორ ვეტყოდი, საღ-სალამათი ვარ და ნაკრებში და?.რუნება მსურდა. გული მწყდება, რომ დამივიწყეს. ფეხბურთელის ასე გაწირვა არ შეიძლება.

- კითხვა, რომლის პასუხიც ყველას აინტერესებს. ცნობილი გახდა, რომ არჩევნების წინ შენ გიორგი ნემსაძის მხარდაჭერა საკმაოდ სკანდალური წერილით დაადასტურე. ამ წერილის შემდეგ ჩაირაზა შენთვის ნაკრების კარი?

- არ ვიცი, ესაა ნამდვილი მიზეზი, თუ სხვა რამ. ოუკი ამაზეა აქცენტი გადატანილი, ეს ჩემს თამაშთან კავშირში არ არის. მე თუ ნემსაძის კანდიდატურა მომწონდა, ეს ჩემი პიროვნული არჩევანია. მოედანზე რომ გავდივარ, არა მგონია, არჩევანით მინუსები მეწერებოდეს. ვიმეორებ, ეს ჩემი პიროვნული არჩევანია. სხვათა შორის, ნემსაძეს ნაკრების წევრებიდან მხოლოდ მე არ დავუჭირე მხარი, სხვებიც არიან.

მთავარია მოედანზე რა გავაფუჭე? მართალია, ტოპმიოლერი, შოტლანდიასთან ვერ ვითამაშე, მაგრამ სხვა შეხვედრებშიც ვერ ვივარგე?

სხვათა შორის, დღეს "სატურნში" მითხრეს, ტოპმიოლერის ნათქვამი, რომ მას ჩემი მიწვევა სურდა. საინტერესოა, ვისგან შეიტყო, რომ ტრავმირებული ვარ? მე რომ არ მითქვამს, ეს ნაღდია. მეტიც, მე შეკრებაზე წასასვლელად ვემზადებოდი... ძალიან ცუდად მექცევიან... მითხარით, გოგუას ტექნიკა უფრო მოგწონთ თუ ბრძოლისუნარიანობა?

- ეს შენც იცი, ბრძოლისუნარიანობას რომ გიქებენ.

- მაშინ, რატომ იძახის, თითქოს მოედანზე არ დავრბივარ? სირბილი რომც არ მინდოდეს, მაინც ვერ გავჩერდები, რებულები, ისინიც, ვინც არ მიიწვიეს და გოგუა არც უხსენებიათ. თითქოს, ნაკრებში ასეთ ფეხბურთელს არც უთამაშია. ისე გამოდის, თითქოს ნაკრები მე დამიქცევია. ერთი ნაღდად ვიცი, პირადად ჩემთვის მაყურებელს ერთხელაც არ უგინებია.

- ახლა როგორ ფორმაში ხარ?

- ჩვეულებრივად ვარ, ვვარჯიშობ, ვთამაშობ "სატურნში", სადაც უდიდესი კონკურენციაა და შემთხვევით არავინ გენდობა. საწყენია, რომ უთამაშებლებს იწვევენ და თურმე, მე ტრავმირებული ვყოფილვარ. სამწუხაროდ, მიზეზი ყველამ იცის, რატომაც არ მეძახიან... ფარერებამდე ვარჯიშზე ტვინის შერყევა მივიღე, ერთი არავინ დამკავშირებია.

- პირდაპირ თქვი, არ გინვევენ არჩევნებში დაფიქსირებული პოზიციის გამო?

- თქვენ რას ფიქრობთ? ჩემი აზრით, ტოპმიოლერის ზემდგომთა მიზეზით აღარ მიწვევენ. აბა, ტოპმიოლერმა რა იცის, ვინ თამაშობს და ვინ - არა. ის არც უკრაინის ჩემპიონატის შეხვედრებს ესწრება, არც რუსეთისას და არც საქართველოსას. გამოდის, მას ინფორმაციებს სხვები აწვდიან. ამას ნიშნის მოგებით არ ვამბობ, გული რომ მტკივა, გულახდილად იმიტომ ვსაუბრობ... აგერ, გუუს ჰიდინკი ტურს არ აცდენს. უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ ნაკრების წევრი აღარ ვარ. ძნელი შესაგუებელია, მაგრამ სხვა რა გზაა, შეკრებაზე ძალით ხომ არ ჩამოვალ?

მერაბ მამულაშვილი

კახა კალაძე გამოჯანმრთელდა?

კალაძე გუშინდელ ვარჯიშზე

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანინმ** ბრაზილიელი **რონალდოს** გამოჯანმრთელების შესახებ, ჩვენთვის საინტერესო კომენტარი გააკეთა. გალიანინმ თქვა მოხარული ვარ, რომ ჩვენი ლაზარეთი დაცარიელდა - რონალდო კი არა **სერჟინიო, დიგაო, პაოლო მალდინი** და **კახა კალაძეც** გამოჯანმრთელდნენო. "მილანის ექიმები მეუბნებიან, რომ რონალდო იბრუნებს ჩვეულ სიჯანსაღეს. მალდინის, კალაძის და სერჟინიოს მსგავსად", -განაცხადა გალიანინმ.

ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდებათ, რომ, შესაძლოა, კალაძე სანაკრებო მატჩებისთვის მზად იყოს, ყოველ შემთხვევაში, საქართველო-შოტლანდიის მატჩისთვის მაინც, რომელიც თბილისში 17 ოქტომბერს გაიმართება. "მილანის" ოფიციალურ საიტზე გუნდის გუშინდელ ვარჯიშზეც წერია, რომელიც "მილანელოზე" გაიმართა და მასში მონაწილეობა კალაძემაც მიიღო! საქართველოს ნაკრების კაპიტანს ხუთი-ხუთზე ორმხრივ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, ის მხოლოდ სირბილით და სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშით შემოიფარგლა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



13 ოქტომბერს იტალია-საქართველოა, იტალიისთვის ერთობ მნიშვნელოვანი მატჩი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის, ჩვენთვის კი თამაში მყვირალა ქულისთვის თუ სამი ქულისთვის, კიდევ ერთ-ერთი მოსამზადებელი მატჩი მომდევნო ციკლისთვის.

მოკლედ, იტალიას და საქართველოს სხვადასხვა მოტივაცია და მიზანი აქვთ და სხვადასხვა პრობლემაც.

იტალიის დაცვის საქმე კი კიდევ უფრო გართულდა. ტურინის "იუვენტუსის" მცველ **ჯორჯო კიელინის** ვარჯიშზე კუნთი ისე დაეჭიმა, მისი თამაში 13 ოქტომბერს ძალიან სათუოა.

ადრევე გაცხადდა, რომ ტრავმირებული **ჯანლუკა ძამბროტა** 13 ოქტომბერს ვერ ითამაშებს. იტალიელთა კიდევ ერთი მცველი, "ოქროს ბურთის" ბოლო მფლობელი **ფაბიო კანავარო** კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება იტალიას გენუაში საქართველოსთან.

იტალიის ნაკრების ექიმი **ანდრე ფაკეტი** ამბობს, რომ ის აგრძელებს ყოველდღიურ დაკვირვებას ფეხბურთელებზე და ჯერ არ უთქვამს საბოლოო პასუხი "აძურის" მთავარსარდალ **რობერტო დონადოსთვის,** თუ რომელი ფეხბურთელი რა კონდიციაშია.

კიელინის ტრავმა იმადაც გახდა უაღრესად მნიშვნელოვანი, რომ დონადონი მას სასტარტო შემადგენლობაში უპირებდა გამწესებას. იტალია B ჯგუფში მეორე ადგილზეა, რომლის წინ შოტლანდიაა, უკან კი საფრანგეთი. ჰოდა იტალიური მედიაც მიიჩნევს, რომ ეს მათი ეროვნული გუნდისთვის, როგორც ინგლისელები ამბობენ, mast win game არის.

საქართველოსთან მატჩისთვის დონადონიმ ნაკრებში ერთ ახალწვეულს უხმო - "ფიორენტინის" შუახაზელ **რიკარდო მონტოლივოს.**

"ყველა ბავშვის ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია. გამოძახებას არ ველოდი და ამან სიხარული გამიორმაგა. ბოლო ორ წელიწადში მე მნიშვნელოვნად დავწინაურდი და მადლობა უნდა ვუთხრა "ფიორენტინის" მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის და თანაგუნდელ ფაბიო ლივერანის, რომელიც ძალიან დამეხმარა. ნაკრებში პირველად გამოძახებას ჩემს ოჯახს ვუძღვნი", - უთქვამს მონტელივოს, ვინც მანამდე კიელინის თანაგუნდელი იყო იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში.

მოკლედ, "სკუადრა აძურაში" ახალი ფეხბურთელები მიდიან, ხოლო **ალესანდრო დელ პიერო** ნაკრების მიღმა დარჩა.

"საერთოდ, ძნელია, როცა ვიღაცას არ იწვევ ნაკრებში და ეს მხოლოდ დელ პიეროს არ ეხება. თუმცა ასეთი რამ 33 წლის ფეხბურთელისთვის უფრო მძიმეა, ვიდრე მაგალითად, 27 წლის მოთამაშისთვის, მაგრამ ჩემი არჩევანი პირადული არ იყო. მხედველობაში მივიღე ბალანსი ნაკრებში გამოძახებულ 20 ფეხბურთელს შორის", - ასეთი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი გახლდათ დონადონის განმარტება დელ პიეროს არგამოძახებაზე.

და რა თქვა დონადონიმ საქართველოზე?

"რთული მატჩი იქნება. ყველაზე უფრო იმის მეშინია, რომ ჩვენს მეტოქეს დასაკარგი არაფერი აქვს".

დავით თავართქილაძე

 италия

რატომ ეშინია დონადონის საქართველოსი

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

ჩვენი გუნდის ორი სახე

სეგრტი მოსკოვსა და 19-წლამდელებში

საქართველო-ყაზახეთი რუსთავში. ბურთით გიორგი მერებაშვილი

ყაზახური მატჩისთვის მზადება გრძელდება. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შეკრების მეორე დღეც ნაყოფიერად გაატარა. **პეტარ სეგრტმა** შეგირდები ამჯერადაც ორჯერ ავარჯიშა. საღამოს მწვრთნელები და ფეხბურთელები "ოლიმპიკის" აკადემიაზე შეიკრიბნენ.

ვარჯიშმა დაახლოებით საათნახევარს გასტანა. წვრთნა სეგრტისთვის დამახასიათებელ სტილში, ხალისითა და ტაშის თანხლებით დაიწყო. ყურადღება ძირითადად, ბურთთან მუშაობას დაეთმო. საინტერესო იყო ვარჯიში, რომლის დროსაც მცველები და შემტევები გაიყვნენ და სხვადასხვა კომპონენტებს ცალ-ცალკე ხვეწდნენ.

დასკვნითი ნაწილი კი ბუნებრივია, ორმხრივ თამაშს დაეთმო. სეგრტმა ამ დროს თანაშემწეებთან ერთად ტრიბუნაზე აინაცვლა და ბიჭებს იქიდან აძლევდა მითითებებს. რაკი ორმხრივ თამაშში სამმა მეკარემ მიიღო მონაწილეობა, ისინი მორიგეობით ასრულებდნენ მინდვრის მოთამაშის ფუნქციას. გუშინ მოედანზე მხოლოდ დინამოელი **ნიკა ფირცხალავა** არ გასულა, იგი ფეხმა შეანუხა.

ვერ ვიტყვით, რომ სეგრტმა მოთამაშეები, მაინცდამაინც, ძირითადებად და სათადარიგოებად გაყო, მაგრამ გუნდების შემადგენლობებს მაინც წარმოგიდგენთ.

პირველი გუნდი: **ლორია, ლობჟანიძე, ფოფხაძე, გ. კაშია, თომაშვილი, ელბაქიძე, ნავალოვსკი, ხიდეშელი, გ. მერებაშვილი, კ. მახარაძე, კლიმიაშვილი.**

მეორე გუნდი: **ალავიძე, სეფიაშვილი, თავბერიძე, ჩირიკაშვილი, გრიგალაშვილი, კობახიძე, აფრიამაშვილი, კახელიშვილი, დვალიშვილი, ბარაბაძე, ბ. გოცირიძე.**

ორმხრივი თამაში დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა და პირველი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. წვრთნის მიწურულს კი ფეხბურთელებმა კარში დარტყმებსა და პენალტებში წაივარჯიშეს. ნაკრების წევრთა განწყობა დღის ბოლოსაც ხალისიანი იყო.

სეგრტმა პრესასთან ამჯერადაც ხალისით ისაუბრა და იმის მიუხედავად, რომ უკვე ბნელოდა, "ოლიმპიკზე" მისულ ჟურნალისტებს შეკითხვებზე ამომწურავად გვიპასუხა.

იმის გამო, რომ ხორვატ სპეციალისტთან ინტერვიუ "ლელოს" გუშინდელ ნომერში შემოგთავაზეთ, მხოლოდ იმ საკითხებზე შევჩერდებით, რომლებზედაც სეგრტს წინა დღით არ უსაუბრია.

ახალგაზრდული თავკაცი მოსკოვში გამგზავრებას აპირებს, სადაც 12 ოქტომბერს რუსეთისა და ყაზახეთის 21-წლამდელთა შეხვედრას დაესწრება. შეგახსენებთ, რუსებს ნოემბერში ვმასპინძლობთ. ეს ვიზიტი სეგრტს ჩვენი ნაკრების მხოლოდ ერთ ვარჯიშს გაუცდენს, თბილისში იგი მოსკოვური მატჩის დასრულებისთანავე დაბრუნდება და ცხადია, ყაზახეთში შეგირდებთან ერთად გაემგზავრება.

მიუხედავად იმისა, რომ ყაზახ ახალგაზრდებს უკვე შევხვდით, ხორვატი მწვრთნელი არაა დარწმუნებული, რომ 16 ოქტომბერს საქმე იგივე სტილის გუნდთან ექნება. საქმე ისაა, რომ ყაზახეთის ახალგაზრდულ ნაკრებს რამდენიმე დღის წინათ მწვრთნელი შეეცვალა. ფინელი **იუკა მალინენის** ადგილი **ოლეგ იაროვენკომ** დაიკავა. მომავალ მეტოქეზე უფრო ნათელ წარმოდგენას სეგრტი მოსკოვში შეიქმნის.

"საკუთარი თვალითაც ნახეთ, რომ გუნდში იდეალური ვითარებაა. ბიჭები ბოლომდე იხარჯებიან და მაღალ დატვირთვებს თავისუფლად იტანენ. ძალიან მომწონს მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება. ნაკრების წევრები ერთმანეთის მიმართ დიდ სითბოს, სიყვარულს, პატივისცემასა და თანადგომას გამოხატავენ. მოსამზადებელ სტილს არც მომდევნო დღეებში შევცვლით, ორჯერად ვარჯიშებს გავაგრძელებთ და მოახლოებულ შეხვედრას მაქსიმალურად მობილიზებულნი შევხვდებით.

ხაზი მინდა გავუსვა ფეხბურთელთა დისციპლინას. ბიჭები რეჟიმს გადაჭარბებულადაც კი იცავენ, შუადღის წყნარი საათისას ბაზაზე ჩამიჩუმიც არ ისმის, საღამოს კი 10-ზე იძინებენ, არადა, შეუძლიათ, 11-მდე არ დაწვნენ", - ამბობს სეგრტი და ჩვენი გუნდის მთავარ ნაკლოვანებაზეც კიდევ ერთხელ გამოთქვამს შეშფოთებას: *"საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ორი სახე აქვს - შინ აგრესიული და გამარჯვებაზე დაგეშილია, სტუმრად კი ჩვენი ფეხბურთელები ყოველთვის კარგავენ საკუთარი თავის რწმენას და შესაბამისად, შედეგიც არასახარბიელოა. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად აქტიურად ვმუშაობთ და ვნახოთ, ეგებ ყაზახეთი გამოდგეს სასიამოვნო გამონაკლისი. ისე კი, ეს პრობლემა 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებსაც აქვთ".*

სამაგიეროდ, იგი კმაყოფილია სელექციით და მოხარულია, რომ ნაკრებში მხოლოდ დედაქალაქური კლუბების წევრები არ მოხვდნენ. სხვებთან ერთად, იგი "ზესტაფონის", "ბორჯომის", "ოლიმპის", "სიონის", "ბათუმისა" და "მესხეთის" ფეხბურთელებზეც ამყარებს იმედს. აქვე გეტყვით, რომ ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ოფიციალურად გამოცხადებულ სანაკრებო შემადგენლობას დაემატა, თბილისის "მერანის" მეკარე **კონსტანტინე სეფიაშვილია**.

სეგრტმა იმის იმედიც გამოთქვა, რომ ამ ციკლში დარჩენილ მატჩებში მისი გუნდი მაქსიმალურად დააგროვებს ქულებს, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ახალგაზრდულის მთავარ ფუნქციად ეროვნული გუნდისთვის კადრების მიწოდება მიაჩნია: ***"ყენია, მაკარიძე, თევდორაძე, მჭედლიძე*** - ესენი ახალგაზრდულის წევრები არიან, მაგრამ დღეს ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშობენ. ეს დანაკლისად კი არა, პირიქით, მიღნევად მიმაჩნია - ამ ასაკში ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრა პატარა ამბავი არაა. მხოლოდ იმის გამო ვწუხვარ, რომ ტრავმების გამო **რატი წინამძღვრიშვილი, ბესიკ ჩიმაკაძე** და **მირზა ბჟალავა** გვაკლია, **გიორგი ხიდეშელი** კი დისკვალიფიცირებულია".

სეგრტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავსატეხი ფეხბურთელთა უთამაშებლობაა. *"ახალგაზრდული ნაკრების წევრთაგან მხოლოდ 6-7 თუ თამაშობს თავის კლუბში სისტემატურად. სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელი კი თავის შესაძლებლობებს სრულად ვერ გამოავლენს. ბუნებრივია, კლუბების მწვრთნელთა საქმეში ვერ ჩავერევი, მაგრამ მათ ვურჩევდი, ახალგაზრდა მოთამაშეებს მეტი შანსი მისცენ"*, - ამბობს სეგრტი და შეკითხვაზე, იმსახურებს თუ არა მისი ყველა შეგირდი კლუბში მეტ სათამაშო დროს, დადებითად პასუხობს.

ბატონმა პეტარმა თავისი უახლოესი გეგმებიც გაგვიმხილა და გვითხრა, რომ ყაზახური ვოიაჟის შემდეგ, 19-წლამდელთა ბანაკში გადაინაცვლებს და ჰაინც **ტოპმოლერს** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში დაეხმარება. შეგახსენებთ, ოთხგუნდიან ჯგუფს 17-24 ოქტომბერს საქართველო უმასპინძლებს, ჩვენი მეტოქეები კი ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია იქნებიან.

დღეს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები საღამოს ვარჯიშს 31-ე ქარხნის დასახლებაში, "მერანის" ახალაშენებულ სტადიონზე ჩაატარებს. დღესვე, ორმხრივი თამაშის შემდეგ, სეგრტი ყაზახეთში ნასაყვან 14-15 ფეხბურთელს შეარჩევს, სულ კი შუაზაინში 20 მოთამაშე გაემგზავრება. გუნდი ყაზახეთში 15 ოქტომბერს გაფრინდება, თამაში კი როგორც ვთქვით, 16-შია.

ლევან ჯანეზაშვილი

ოლეგ ბლოხინი

უკრაინა

ბლოხინი მიდის

იქედან გამომდინარე, რომ უკრაინის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის მიზერული შანსიღა დარჩა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გუნდს **ოლეგ ბლოხინი** სულ მალე დატოვებს. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში, თანამდებობიდან წასვლის შესახებ დაწერს განცხადებას, თუმცა იქვე ვლადიმიროვიჩმა თავი დაიზღვია.

"განცხადებას კი დავწერ, ოღონდ არ ვიცი, დააკმაყოფილებენ თუ არა ჩემს თხოვნას. ევროპაზე რომც ვერ გავიდეთ, დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა დავაგროვოთ, რათა ფიფას რეიტინგში პოზიციები გავიუმჯობესოთ და მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ტურნირში ხელსაყრელ ჯგუფში მოვხვდეთ", - ამბობს ბლოხინი.

ლევან ჯანეზაშვილი

შოტლანდია

კოლდუელს საქართველოსთან შანსი გაუჩნდა

გუშინდელ "ლელოში" გაუწყეთ, რომ შოტლანდიის ნაკრებს 13 და 17 ოქტომბერს შესაბამისად უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩებისთვის ორი სელტიკელი გამოაკლდება - მცველი **გარი კოლდუელი** და შუახაზელი **პოლ ჰარტლი**. ახლა კი უნდა გაცნობოთ, რომ კოლდუელს შანსი გაუჩნდა - მას გუშინ საგანგებო გამოკვლევა ჩაუტარეს და შესაძლოა, უკრაინასთან თუ არა, საქართველოსთან მატჩისთვის მომჯობინდეს. შოტლანდიის ნაკრების ექიმს გუშინ უთქვამს, ზუსტ პასუხს 24 საათში გეტყვითო.

ამასობაში სქოთთა ნახევარმცველმა **ლი მაკალოხმა** BBC-ს განუცხადა, მსოფლიოში საუკეთესო გუნდს, საფრანგეთის ნაკრებს ამ შესარჩევში ორჯერ მოვუგეთ და უკრაინის დამარცხება რატომ ვერ უნდა შევძლოთ, მერე კი მომდევნო მატჩისთვის უნდა ვინერვიულოთო.

მომდევნო თამაში შოტლანდიას თბილისში აქვს. შეგახსენებთ, რომ ჰარტლის გარდა სქოთებს კიდევ ორი ტრავმიანი არ ეყოლებათ - "სელტიკის" მცველი **სტივენ პრესლი** და "მანჩესტერის" ნახევარმცველი **დარენ ფლეტჩერი**.

დავით თავართქილაძე

გარი კოლდუელი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასის ზედიზედ ორგზის მფლობელმა თბილისის "ამერმა" მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი ცუდად დაიწყო - ოთხი მოგება, ოთხი წაგება და მე-7 ადგილი.
რა დაემართა "ამერს"? ყველანაირი პარამეტრებით და შესაძლებლობებით ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი რატომ ჩავარდა ასეთ დღეში?
ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ "ამერმა" წარმატებით ვერ იმოქმედა სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ თოთხმეტგუნდა უმაღლეს ლიგაში მე-7 ადგილი ალბათ მხოლოდ ამის ბრალი არ უნდა იყოს. "ლელოს" კითხვებს "ამერის" კაპიტანი გიორგი დავითნიძე პასუხობს.

გიორგი დავითნიძე (მარჯვნივ) დინამოელი ჯორჯ აკირემის წინააღმდეგ

ინტერვიუ გიორგი დავითნიძესთან

დრო, გამოვფხიზლდეთ

ჩემპიონი, ალბათ, დინამო გახდება

- მაინც რა დაემართა "ამერს"?

- უეფას თასზე "ბელხატოვთან" მატჩის შემდეგ ჩვენი საქმე უკან-უკან წავიდა. ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში "ლოკომოტივთან" 1:2 დამარცხებამ ჩვენზე ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იმოქმედა. ახლა ვერ არის ჩვენი სატურნირო მდგომარეობა ისეთი, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ ეს ალბათ დროებითია.

- ფსიქოლოგიური ფაქტორი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი თუ ორი მარცხით არ მთავრდება ყველაფერი, ალბათ არის კიდევ სხვა მიზეზი თუ მიზეზები...

- ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორი ჩვენ, ფეხბურთელები ვართ, ყველაზე მეტად ჩვენი ბრალია ყველაფერი. ოთხი წაგება მეტისმეტია, დროა, გამოვფხიზლდეთ.

- "ამერი" ყოველთვის გამოირჩეოდა საიმედო დაცვით, ახლა კი ასე აღარ არის. როგორც გუნდის ერთ-ერთი მცველი, ამაზე რას იტყოდი?

- ათი გოლი გავუშვით ჩემპიონატში, შარშან კი ამ ეტაპზე მხოლოდ ორი გოლი გვქონდა მიღებული. არა მგონია, ეს მხოლოდ დაცვის ბრალი იყოს, ეს მთელი გუნდის ბრალია.

- არის ასეთი ვერსიაც - "ამერი" უწინდელივით შეკრული, მეგობრული გუნდი აღარ არის...

- არა, ყველანი ერთმანეთის გვერდში ვართ, "ამერში" რაღაც დაჯგუფებები არ არსებობს, ცალ-ცალკე არავინ არ არის.

- ანუ "ამერის" შიდა სამზარეულოში განსაკუთრებული არაფერი არ ხდება?

- არა, განსაკუთრებული მართლა არაფერი.

- ისე გამოდის, რომ "ამერის" ბოლოდროინდელი წარუმატებლობები არაფრით არ არის გამოწვეული...

- ჩვენ ბოლო წლებში წარმატებების სერია გვქონდა და ყველაფერი ეს მუდამ ვერ გაგრძელდება, ეს ფეხბურთია და ასეთი რამ აქ არ ხდება.

- "ამერმა" ბევრი გაუთვალისწინებელი ქულა დაკარგა და ალბათ აქცენტს თასის ზედიზედ მესამედ მოგებაზე გააკეთებთ...

- თასის მოპოვება და მეორე ადგილი ეროვნულ ჩემპიონატში, რაც თასის მსგავსად უეფას თასზე თამაშის საშუალებას იძლევა. ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა, ჩვენ ოთხი თამაში წავაგეთ, თუმცა ეს შესაძლოა, სხვა ამბიციურ გუნდებსაც დაემართოთ.

- უახლოეს ხანში რას უნდა ველოდოთ "ამერისგან"?

- ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ და ახლა ტიტულების მოგებისთვის ვიბრძოლოთ - დეკემბერში კიდევ ერთი სუპერთასის მოგებას ვგეგმავთ.

- ჩემპიონობას კი რომელ გუნდს უწინასწარმეტყველებდი?

- "დინამოსთან" 0:2 რომ წავაგეთ, მეტოქემ მართლაც გვაჯობა. ჩემპიონიც ალბათ "დინამო" გახდება.

დავით თავართქილაძე

პაჭარა გაგრა წყალტუბოში

წლეგის განმავლობაში აფხაზეთი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო იყო. საქართველოს ამ ულამაზესი კუთხიდან დიდი ფეხბურთისკენ არაერთ სახელოვან მოთამაშეს გაუკვლევია გზა. სამწუხაროდ, 1992 წლის შემდეგ აფხაზეთი დანარჩენ საქართველოს მოწყვეტილია და იქაური საფეხბურთო რესურსების მოკლებამ ჩვენს ფეხბურთს დიდი ზიანი მიაყენა.

აფხაზეთიდან დევნილები საფეხბურთო ტრადიციების შენარჩუნებას შეძლებისდაგვარად ცდილობენ. ამ მიზანს ემსახურება პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთი ლიდერი „გაგრა" და მისი სატელიტი გუნდი „გაგრა-2", რომელიც II ლიგის დასავლეთ ზონაში თამაშობს და ძირითადად წყალტუბოში მცხოვრები დევნილებითაა დაკომპლექტებული.

„გაგრა 2-ს" გაგრელი მწვრთნელი **ტრისტან მანაგაძე** ავარჯიშებს, რომელსაც ადრე სსრკ-ის ასაკობრივ ნაკრებშიც უთამაშია. მწვრთნელობას 10 წლის წინათ მიჰყო ხელი. თავდაპირველად ბავშვებს ავარჯიშებდა. თაობა რომ წამოიზარდა, მათ ბირთვზე ჩამოაყალიბა სოხუმის „თოლია", რომელიც დასავლეთ რეგიონალლიგაში თამაშობდა. მოგვიანებით გუნდს „გაგრა-2" დაერქვა. ამ გუნდის მთავარი მიზანი ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა და მათი გზაზე დაყენებაა. მწვრთნელის ენთუზიაზმმა და შრომამ ნაყოფი პირველივე თაობაში გამოიღო. „გაგრა 2-ში" დაფრთიანებული 17 წლის **ვახტანგ ფანცხავა** ცოტა ხნის წინათ ფრანგულ „ლე მანში" ჩაირიცხა. „ვახო საკუთარი შვილივით გავ ზარდე. ვიცოდი რა ნიჭის პატრონიც იყო და ფეხდაფეხ დავდევდი, რომ არ დაკარგულიყო. დამატებით ვავარჯიშებდი. სახლში ვაკითხავდი, ყოველნაირად ვაკონტროლებდი. „ლემანში" როცა გადავიდა ვახოს მშობლებთან ერთად, მეც მილოცავდნენ მის წარმატებას. მას ყველანაირი წინაპირობა აქვს შექმნილი, რომ დიდი ფეხბურთი ითამაშოს", - აცხადებს ტრისტან მანაგაძე.

„გაგრა 2" წლეულს პირველ ლიგაში გადასვლას ისახავს მიზნად. მწვრთნელს ახალგაზრდა ფეხბურთელების ეიმედება და მიაჩნია, რომ მალე მათი სახით საქართველოს ნაკრებში აფხაზეთის წარმომადგენლებიც დაბრუნდებიან. „1997 წელს ჩვენი ეროვნული გუნდის 6 ფეხბურთელი აფხაზეთიდან იყო. ახლა კი ცნობილი მიზეზების გამო ამ კუთხიდან ნაკრებში ერთი კაციც არ თამაშობს. ჩვენი გუნდის უპირველესი მიზანი ის არის, რომ თაობები არ დაიკარგოს და ამ ბიჭებმა მომავალში საქართველოს ნაკრებში დამკვიდრებაც მოახერხონ. სასურველი იქნება, თუ ჩვენი ფეხბურთელებით ასაკობრივი ნაკრებების თავაკაციც დაინტერესდებიან. ადრე ფანცხავაც ასე შევთავაზე ნაკრების მწვრნელებს და ყველამ დაინახა, თუ როგორ გაამართლა ამ ბიჭმა. ახლაც მყავს გუნდში ორი ნიჭიერი ფეხბურთელი მიქაძე და ხაჭაპურიძე, რომელთა გამოყენებაც ასაკობრივ ნაკრებებში შეიძლება.

ჩვენი გუნდის წევრს 16 წლის ბესიკ გეგეჭკორს „დნეპრის" ახალგაზდული გუნდი იწვევდა, მაგრამ ჯერ არ გავუშვით. ამ ეტაპზე აჯობებს „გაგრის" პირველ გუნდი გადავიდეს და იქ აიმაღლოს ოსტატობა. „გაგრაში" ყველანაირი პირობაა შექმნილი, რომ ნიჭიერ ფეხბურთელს გასაქანი მიეცეს."

ტრისტან მანაგაძე „გაგრის" ხელმძღვანელობას ძალიან ემადლიერება. ეს გუნდი მის ფარმკლუბს ყურადღებას არ აკლებს და ყოველმხრივ ეხმარება. წყალტუბოელი გაგრელები სახელმწიფო სტრუქტურების უყურადღებობასაც არ უჩიავიან. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ხევიაშვილი მათი ხშირი სტუმარია. რამდენიმე დღის წინაც გახლდათ წყალტუბოში. ამჯერად ფეხბურთელები სპორტული ეკიპირებითა და ბურთებით დაასაჩუქრა, შემდეგ კი დაჰპირდა, სანამ აფხაზეთში დავბრუნდებით მანამ ყურადღებას წყალტუბოში მოგაქცევთ, თქვენ წარმატებით ითამაშეთ და დახმარება გაგიორმაგდებათო.

დავით კოხრეიძე
წყალტუბოდან

ზუგდიდელები ბარსელონაში

სკოლგურთში "პეპსის" თასის გამარჯვებული ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი ბარსელონაში გაემგზავრება, სადაც 15 ოქტომბერს საერთაშორისო ტურნირი დაიწყება. ამ გათამაშებაში 12-13 წლის ბავშვებით დაკომპლექტებული 8 ქვეყნის გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ზუგდიდელები ესპანეთში მინიმუმ სამ მატჩს ჩაატარებენ, ჯგუფში წარმატების შემთხვევაში კი ჩემპიონობისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ამას გარდა, ქართველი ბავშვები ბარსელონას ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ.

ლიტვა

ლიუბინსკასმა დაასახელა

ლიტვის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალგიმანტას ლიუბინსკასმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც საფრანგეთში ნაიყვანს და 17 ოქტომბერს ნანტში, სამფეროვნებთან საბრძოლველად მოამზადებს.

მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი ("დინამო" მ.), პაულიუს გრიბაუსკასი ("ოცელული"), მარიუს რაპალისი ("ჟალგირისი").

მცველები: იგნას დედურა ("სპარტაკი" მ.), არუნას კლიმავიჩიუსი ("დინამო" მ.), ანდრიუს სკერლა ("კორონა"), ტომას ჟვირგჟდაუსკასი ("პალმშტადი"), ვიდას ალუნდერისი ("ზაგლებიე"), გედიმინას პაულაუსკასი ("ეკრანასი"), ალფრედას სკორბლასი ("ეკრანასი"), კასტუტის ივასკევიჩიუსი ("პართსი").

ნახევარმცველები: დეივიდას შემბერასი (ცსკა მ.), აუდრიუს კვანავიჩიუსი ("პართსი"), მინდაუგას კალონასი ("კუბანი"), აურიმას კუშისი ("დაუგავა"), იგორის მორინასი ("ჟალგირისი"), მანტას სავენასი ("ეკრანასი"), ვიტაუტას ლუკსა ("ვილნიუსი").

თავდამსხმელები: ტომას დანილევიჩიუსი ("ბოლონია"), ედგარას იანკაუსკასი (აეკ ლარნაკა), ტომას რაძინევიჩიუსი ("ბუდეოვიცე"), ანდრიუს ველიჩკა ("პართსი"), რიკარდას ბენიუსისი ("პართსი"), ტადას ლაბუკასი ("ოცელული").

ლიტველებს ორი სერიოზული დანაკლისი აქვთ "როსტოვის" ფორვარდის, **რობერტას პოშკუსისა** და "სატურნის" მცველის, **დეივიდას ჩესნაუსკისის** სახით.

ლევან ჯანეზაშვილი

ალგიმანტას ლიუბინსკასი და რაიმონ დომენეკი

CDN ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲘᲐᲚᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ:
CDN DSL ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘ;
CDN 355 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ;
CDN 8-66 ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ;
GIGA ᲘᲜᲢᲠᲐ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ;
CDN ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ;
24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ
• ᲣᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ • ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ
• ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ • ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲚᲐᲓ
ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲝ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ!
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ!
ᲓᲐᲠᲔᲯᲙᲘ, ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲔ, ᲩᲐᲠᲗᲔᲗ!
ᲘᲠ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ 14
ᲢᲔᲚ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. კანდიდატები

ვინ შეცვლის კანავაროს?

მიმომხილველთა აზრით, უპირველესი ფავორიტი კაკაა. იტალიელები ჩივიან: რატომ ვერ მოხვდნენ სიაში იბრაჰიმოვიჩი, ტოტი და ტონი?

გუშინ, ფიფამ იმ 30 ფეხბურთელის სია გამოაქვეყნა, რომელთა შორისაც ნაკრები გუნდების მწვრთნელებსა და კაპიტნებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ. 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა დეკემბერში გახდება ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ფიფამ პირველად გამოქვეყნა სია, საიდანაც მწვრთნელებმა და კაპიტნებმა წლის საუკეთესო მოთამაშე უნდა შეარჩიონ. აქამდე ნაკრები გუნდების დამრიგებლებსა და კაპიტნებს თავისუფალი არჩევნის საშუალება ჰქონდათ, რის გამოც არაერთი გაუგებრობა ხდებოდა და ფიფას გამოკითხვა კომიკურ სახეს იღებდა. მაგალითად, მოზამბიკის ნაკრების მწვრთნელი მოზამბიკელ ფეხბურთელს ასახელებდა და ა.შ. 30 კაციანი სია სწორედ იმის გამო გამოქვეყნდა, რომ ასეთ გაუგებრობებს ადგილი აღარ ჰქონდეს.

შარშანდელი ტრიუმფატორი ფაბიო კანავარო

დაჯილდოების ცერემონიალი 17 დეკემბერს, ციურიხში გაიმართება. კანდიდატების 30 კაციანი სია ასე გამოიყურება:

ფეხბურთელი	კლუბი	ქვეყანა
მიროსლავ კლოზე	ბაიერნი	გერმანია
ფილიპ ლამი	ბაიერნი	გერმანია
ჯანლუიჯი ბუფონი	იუვენტუსი	იტალია
ფაბიო კანავარო	რეალი	იტალია
ჯენარო გატუზო	მილანი	იტალია
ალესანდრო ნესტა	მილანი	იტალია
ანდრეა პირლო	მილანი	იტალია
პეტრ ჩეხი	ჩელსი	ჩეხეთი
კრისტიანო რონალდო	მანჩესტერი	პორტუგალია
დეკუ	ბარსელონა	პორტუგალია
დიდიე დროგბა	ჩელსი	კოტ დ'ივუარი
სტივენ ჯერარდი	ლივერპული	ინგლისი
ფრენკ ლემპარდი	ჩელსი	ინგლისი
უეინ რუნი	მანჩესტერი	ინგლისი
ჯონ ტერი	ჩელსი	ინგლისი
ტიერი ანრი	ბარსელონა	საფრანგეთი
ფრანკ რიბერი	ბაიერნი	საფრანგეთი
ლილიან ტურამი	ბარსელონა	საფრანგეთი
პატრიკ ვიეირა	ინტერი	საფრანგეთი
ჟუნინიო პერნამბუკანო	ლიონი	ბრაზილია
კაკა	მილანი	ბრაზილია
რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია
მიკაელ ესიენი	ჩელსი	განა
სამუელ ეტოო	ბარსელონა	კამერუნი
რაფაელ მარკესი	ბარსელონა	მექსიკა
ლიონელ მესი	ბარსელონა	არგენტინა
ხუან რომან რიკელმე	ვილიარეალი	არგენტინა
კარლოს ტევესი	მანჩესტერი	არგენტინა
ფერნანდო ტორესი	ლივერპული	ესპანეთი
რუუდ ვან ნისტელროი	რეალი	ჰოლანდია

ვერ ვიტყვით, რომ 2006 წლის გამარჯვებულ **ფაბიო კანავაროს** საუკეთესო სეზონი ჰქონდა, მაგრამ ის მაინც არის სიაში. მაგრამ ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი წელს ვეღარ გაიმარჯვებს და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ვერ შეინარჩუნებს. მიმომხილველთა ფავორიტი "მილანისა" და ბრაზილიის ნაკრების გამთამაშებელი **კაკაა**, რომელმაც მართლაც ჩინებული სეზონი ჩაატარა. ის, რომ "როსონერიმ" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, პირველ რიგში სწორედ ბრაზილიელის დამსახურება გახლავთ.

აღსანიშნავია, რომ 30 ფეხბურთელში ყველაზე მეტი იტალიელია (5): კანავარო, **ჯიჯი ბუფონი, ჯენარო გატუზო, ალესანდრო ნესტა** და **ანდრეა პირლო**. 4-4 კანდიდატი ჰყავთ ინგლისსა და საფრანგეთს, ხოლო ბრაზილიას და არგენტინას კი 3-3 ფეხბურთელი წარმოადგენს. ისეთი დიდი საფეხბურთო ქვეყნიდან, როგორიც გერმანიაა, სიაში მხოლოდ 2 ფეხბურთელია - **ფილიპ ლამი** და **მიროსლავ კლოზე**. სამაგიეროდ, გერმანელები ქალ ფეხბურთელთა სიაში ჭარბობენ (5). კლუბებიდან კი, ყველაზე მეტი წარმომადგენელი "ბარსელონას" ჰყავს - 7. მეორე ადგილზე ლონდონის "ჩელსია" (5). "მილანიდან" კი მხოლოდ 4 ფეხბურთელია.

სიაში ვერ მოხვდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **ფრანჩესკო ტოტი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ლუკა ტონი** - მოთამაშეები, რომელთათვისაც გასული სეზონიც შთამბეჭდავი იყო და მიმდინარე სეზონშიც ჩინებულად გამოიყურებიან. იტალიური გამოცემა "გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ ეს უსამართლობაა. "ინტერის" თავკაცმა **რობერტო მანჩინმ** კი, იბრაჰიმოვიჩის სიის მიღმა დატოვებას სულაც აბსურდი უწოდა.

გოტფრიდ ლენცი

ლივორნო

კამოლეზე ნათელი იდეებით

სპინელი ორსიზე წუხს და ლივორნოს პერსპექტივას იმედით უყურებს

ფერნანდო ორსის გადაყენებიდან 24 საათში "ლივორნოს" მთავარ მწვრთნელად **ჯანკარლო კამოლეზე** დაინიშნა. აქამდე, ის არ ფიგურირებდა იმ ვარაუდებში, რასაც პრესა გამოთქვამდა. ორსის შესაძლო მემკვიდრეთა შორის მედია **ზდენეკ ზემანსა** და **სერსე კოზმის** ასახელებდა. თუმცა ტოსკანური კლუბის პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** სხვაგვარად განსაჯა. 46 წლის კამოლეზემ გუშინ "ლივორნოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სპინელიმ ეს გადაწყვეტილება ასე ახსნა:

"კამოლეზეს დანიშვნა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ის ახალგაზრდა და ამბიციური სპეციალისტია. მახსოვს, როგორ მუშაობდა "რეჯინაში". ამასთან, ტურინელი კაცია და სხვა სულისკვეთება აქვს. დარწმუნებული ვარ, ამ სულისკვეთებითა და განწყობით იღვაწებს "ლივორნოშიც". ის ნათელი იდეებით მოვიდა. ამ იდეებით უნდა მოამზადოს და ათამაშოს გუნდი, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს, მაგრამ გუნდი, რომელსაც სერიოზული პერსპექტივა აქვს. უნდა ვთქვა, რომ ფეხბურთელები მის დანიშვნას პოზიტიურად შეხვდნენ. მასთან უკვე ისაუბრეს კლუბის გენერალურმა დირექტორმა ელიო სინიორელიმ და გუნდის მენეჯერმა სილვანო ბინიმ. მიხარია, რომ შთაბეჭდილებები ძალიან კარგია".

კამოლეზეს გუნდებს ძირითადად გადარჩენისთვის უწევდათ ბრძოლა, ზოგ შემთხვევაში წარმატებითაც. მაგალითად, "რეჯინა", რომელიც 2003/04 წლების სეზონში კამოლეზემ სერია A-ში დატოვა და მერე **ვალტერ მაძარის** გადააბარა. ბოლოს ისევ სპინელის მოვუსმინოთ:

"მიმაჩნია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. მოვიყვანეთ მწვრთნელი მომავლისთვის. ისე, ძალიან ვწუხვარ ორსის გათავისუფლების გამო, მაგრამ დღევანდელი ფეხბურთი სულსწრაფია. ახლა, ჩვენ შეგვიძლია, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურო. ეს "ლივორნო" ყველაზე ძლიერია იმ ფორმაციებს შორის, რომელთაც ჩემს ხელში გამოუვლიათ. ეს გუნდი ასეთ სატურნირო მდგომარეობას არ იმსახურებს".



ჯანკარლო კამოლეზეს ახალი საქმე

ვერდერი

ახალი პრობლემა: ვიზეს კონტრაქტი

ტიმი 2.5 მილიონს ითხოვს, ბოსები ჯერჯეროობით უარს ეუბნებიან...

ბრემენის "ვერდერის" ხელმძღვანელებს ახალი თავსატეხი გამოუჩნდათ - **ტიმ ვიზე**. 25 წლის მეკარე ტრავმირებულია და ლაზარეთში კიდევ მინიმუმ 10 დღეს დაყოფს, მაგრამ ის გუნდში მაინც მთავარი თემაა. საქმე ეხება ვიზეს კონტრაქტს, რომელსაც ვადა მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე გასდის. შესაბამისად, თუ ტიმი ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს, ზაფხულში ის "ვერდერს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვებს.

ბრემენული კლუბის ბოსებმა ვიზეს ახალი კონტრაქტის გაფორმება უკვე ორჯერ შესთავაზეს, მაგრამ გოლკიპერი უარზეა. მიზეზი ის არის, რომ შეფები მის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ. ცხადია, რომ ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. ვიზე წელიწადში 2.5 მილიონ ევროს ითხოვს, გუნდის გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** კი მხოლოდ 2 მილიონს სთავაზობს. ვიზე კი არ ნებდება, რადგან მიაჩნია, რომ თუკი "ვერდერმა" **ტორსტენ ფრინგსს** (4 მილიონი) და **დიეგოს** (3.5 მილიონი) მაღალი ხელფასები დაუნიშნა, თვითონ მინიმუმ 2.5 მილიონს მაინც იმსახურებს.



ტიმ ვიზე

"ტიმთან შეთანხმებას ჯერ ვერ მივაღწიეთ. მისი შენარჩუნება ძალიან გვინდა, ვიზე გუნდის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, მაგრამ მან უნდა გაითვალისწინოს, რომ გუნდს დიდი ფინანსური შესაძლებლობები არ აქვს," - ამბობს ალოფსი. პრობლემა ის გახლავთ, რომ თუ ვიზე ზაფხულში გუნდს უფასოდ დატოვებს, ბრემენელებს ახალ გოლკიპერში მაინც მოუწევთ დიდი თანხის გადახდა. ვიზეს მრჩეველი ამბობს, ტიმს ინგლისური და ესპანური კლუბები ეპატიჟებიანო.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ლუკარელი მილანს განიხილავს

კრისტიანო ლუკარელი სეზონის ბოლოს დონეცკის "შახტარის" დატოვებას აპირებს. მისი უკრაინული ტრანსფერი იმთავითვე სიურპრიზად შეფასდა. გავიხსენოთ, რომ ლუკარელი "ლივორნოდან" იძულებით წავიდა. მას კონფლიქტი მოუვიდა კლუბის ხელმძღვანელობასთან, მწვრთნელთან და ფანებთან. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი იტალიური გუნდი იყო, ვინც ლუკარელიზე უარს არ იტყოდა, მან ახალი თავგადასვლის ძებნა უკრაინაში სცადა. "შახტარში" მისი საქმეები არცთუ ცუდად მიდის. ლუკარელის გოლები გააქვს როგორც ადგილობრივ პირველობაზე, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. მაგრამ ჩანს, რომ უკრაინა მაინც ვერ იქცა მის სტიქიად.

ლუკარელი აღიარებს, რომ "შახტარს" სეზონის ბოლოს დატოვებს. ის თვლის, რომ მისთვის იდეალური ვარიანტი "მილანში" გადასვლა იქნებოდა, თუმცა: *"ვფიქრობ, "მილანში" ჩემი გადასვლის შანსი მცირეა. უკვე 32 წლის ვარ და ვიცი, რომ "როსონერი" უპირატესობას ახალგაზრდა მოთამაშეებს ანიჭებს, მაგრამ ხომ იცით - არასოდეს თქვა არასოდეს! სეზონის ბოლომდე "შახტარში" დავრჩები და მერე ვარიანტებს ავწონ-დავწონი. ყოველთვის მომწონდა ინგლისური ფეხბურთი და არ არის გამორიცხული, თავი სწორედ ალბიონზე ამოვყო. თუმცა იტალიაშიც სიამოვნებით დავბრუნდებოდი".*

კრისტიანო ლუკარელი

რუსეთის ნაკრები

ჰიდინკი 2010 წლამდე

გუუსი მუტკოს ახალ კონტრაქტზე შეუთანხმდა...

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გუუს ჰიდინკმა** რუსულ მედიას დაუდასტურა, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის საფეხბურთო კავშირთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს, რომელსაც ვადა 2010 წლის აგვისტომდე ექნება. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ეს ინფორმაცია საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **ვიტალი მუტკოსთან** შეხვედრისა და მოლაპარაკების შემდეგ დაადასტურა.

"დიახ, ჩვენ ჰიდინკს ახალ კონტრაქტზე შევუთანხმდით. მიგვაჩნია, რომ რუსეთის ნაკრებმა მის ხელში უდიდესი პროგრესი განიცადა და რომ ჰიდინკის მიერ არჩეული კურსი იდეალურია. მიხარია, რომ მწვრთნელი დავითანხმეთ," - განაცხადა მუტკომ ხსენებული შეხვედრის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ჰიდინკის ხელშეკრულებას ვადა 2008 წლის ზაფხულში ეწურებოდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, E ჯგუფში რუსეთს 18 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა, ჩამორჩება რა ხორვატიისა (23 ქულა) და ინგლისს (20). მომავალ ოთხშაბათს ჰიდინკის სამწყსო სწორედ ინგლისს მასპინძლობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდ ვილია შეიძლება რეალში აღმოჩნდეს

რეალი. ახალი ამბები

კალდერონმა ვილიას დაადგა თვალი

არის თუ არა დაპირისპირება შუსტერსა და მიატოვიჩს შორის?

მიმდინარე სეზონი ჯერაც არ გახურებულა, მაგრამ **რამონ კალდერონმა** მომავალ ჩემპიონატზე ფიქრი დაიწყო. "რეალის" პრეზიდენტმა ესპანელ ჟურნალისტებს ძალიან საინტერესო გეგმა გაუმხილა. როგორც გაირკვა, მადრიდული გიგანტის პრეზიდენტი **დავიდ ვილიას** შესაძენად ბრძოლის დაწყებას აპირებს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, კალდერონის პრესკონფერენციის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"დირექტორატის წევრებთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, "რეალის" შემადგენლობის გაესპანელება დავიწყო. ჩემი აზრით, დავიდ ვილია ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ "ვალენსია"მას ძალიან უფრთხილდება და ტრანსფერის გაჩარხვა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ჩვენ ეს ვერ შეგვაშინებს. როგორც კი დრო გამოგვიჩნდება, ხუან ბაუტისტა სოლერს დავუკავშირდებით და მოლაპარაკებებს დავიწყებთ. მჯერა, დავიდისთვის კარიერის "რეალში" გაგრძელების პერსპექტივა მეტისმეტად მომხიბვლელი იქნება. თუ ფეხბურთელი მხარს აგვიბამს, საქმე ერთიორად გაადვილდება."*

დღეისთვის ცნობილია, რომ "ვალენსია" ვილიას 150 მილიონ ევროდ აფასებს. დაგვეთანხმებით, ამხელა თანხას კალდერონი ცოცხალი თვითი არ გადაიხდის. **ბაუტისტა სოლერი** კი ამთავითვე აცხადებს, რომ 150 მილიონს ერთ ცენტსაც არ დაუკლებს. კაცმა რომ თქვას, ფეხბურთში ასეთი კატეგორიული განცხადებები ჩვეულებრივი მოვლენაა. ყველაფერი მართლაც თავად ვილიაზე იქნება დამოკიდებული. თუ დავიდი პრეზიდენტს საკითხს სერიოზულად დაუყენებს და "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაშვებას მოითხოვს, სენიორ სოლერი იძულებული გახდება, სატრანსფერო მოლაპარაკებებში ჩაებას და დედაქალაქელ კოლეგებს კონსტრუქციული წინადადებით მიმართოს.

"დიარიო სპორტი" მოულოდნელ ინფორმაციას ავრცელებს. ტაბლოიდის მტკიცებით, "რეალის" მთავარ მწვრთნელ **ბერნდ შუსტერსა** და სპორტულ დირექტორ **პედია მიატოვიჩს** დაძაბული ურთიერთობა აქვთ. ამიტომ მათი ერთ გუნდში მოღვაწეობა მიზანშეუწონელია. სერბი ჩინოვნიკი იმთავითვე ეწინააღმდეგებოდა შუსტერის მიწვევას. გერმანელი სპეციალისტი პრეზიდენტ კალდერონის ფავორიტი იყო. ამიტომ გენერალური მენეჯერი ვერაფერს შეცვლიდა. მიატოვიჩი და შუსტერი თითქმის ვერაფერზე თანხმდებიან. საკადრო პოლიტიკასა და სამწვრთნელო შტაბის ფორმირებასთან დაკავშირებით, მათი მოსაზრებები დიამეტრალურად განსხვავებულია.

შუსტერმა არ გაითვალისწინა დირექტორის პროტესტი და "სანტიაგო ბერნაბეუზე" "ხეტაფეს" ყოფილი მეორე მწვრთნელი **მანოლო რუისი** მიიყვანა. ბერნდმა პედიას კიდევ ერთი რეკომენდაცია უგულვებელჰყო. მწვრთნელმა სათადარიგო გუნდის მეკარის, **ხორდი კოდინას** დაწინაურებაც ნაადრევად მიიჩნია და ლივერპულელ **იერჟი დუდეკს** გაუფორმა კონტრაქტი. მიატოვიჩი დუდეკის ტრანსფერს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. თავის მხრივ, შუსტერს არ სურდა, ფიზმომზადების მწვრთნელად "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი დამრიგებელი ვალტერ დი სავიო მიეწვია, მაგრამ მიატოვიჩმა თავისი გაიტანა. მთავარი მწვრთნელი სპორტულ დირექტორს **მიხაელ ბალაკის** ტრანსფერის ჩაშლაშიც ადანაშაულებს.

სატელევიზიო უფლებები

3 მილიარდი ბუნდესლიგისთვის

გერმანიის პირველობა ისევ ლეო კირხმა იყიდა...

გერმანული ფეხბურთი დიდ სატელევიზიო შემოსავალს ელოდება

გერმანელმა მედიამაგნატმა **ლეო კირხმა**, რომელიც 2002 წელს გაკოტრდა, გერმანიის ჩემპიონატის სატელევიზიო უფლებების გაყიდვის უფლება დაიბრუნა. 80 წლის კირხმა, რომელიც კომპანია "სირიუსს" ხელმძღვანელობს, ბუნდესლიგისა და მეორე ბუნდესლიგის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციების გაყიდვის ექსკლუზიური უფლება მიიღო. გუშინწინ გამართულ სხდომაზე პირველი და მეორე ბუნდესლიგის 35-ივე კლუბმა (სხდომას მხოლოდ "ჰანოვერის" წარმომადგენლები აკლდნენ) კირხს მწვანე აუნთო. ამრიგად, კირხის კომპანია ბუნდესლიგის სატელევიზიო უფლებებს 2009-იდან 2015 წლამდე გაყიდის. ამისთვის ორივე ბუნდესლიგის კლუბები 3 მილიარდ ევროს მიიღებენ. *"ეს ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული კონტრაქტია, რაც თავისთავად უდიდესი მიღწევაა,"* - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო ლიგის გენერალური მენეჯერი **კრისტიან ზაიფერტი**.

ამრიგად, 2009 წლიდან სწორედ კირხის კომპანია გადაწყვეტს, ვის მიჰყიდოს ბუნდესლიგის მატჩების ტრანსლაციები - ფასიან ტელეკომპანია "პრემიერს" თუ ტელეკომპანია ARD-ს. ბუნდესლიგა ყოველ სეზონში გარანტირებულ 500 მილიონ ევროს მიიღებს (აქამდე 420 მილიონს იხვეჭდა). ეს თანხა 100 პროცენტით დაზღვეულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კირხს გაკოტრების საფრთხე აღარ ემუქრება. ცხადია, რომ კირხი ბუნდესლიგის სატელევიზიო უფლებებს ყოველ სეზონში 500 მილიონზე ძვირად გაყიდის, რათა მოგება ნახოს. ასეთ შემთხვევაში, თუ ფასი 600 მილიონამდე იქნება, კირხი მოგების 90 პროცენტს მიიღებს, ლიგას კი მხოლოდ 10 პროცენტი დარჩება. ხოლო, თუ ფასი 600 მილიონს გადააჭარბებს, კირხის წილი 51 პროცენტი იქნება, ლიგისა კი-49.

დე ბიაზი დაინიშნა

"ლევანტეში" გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა. როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე დღის წინათ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გათავისუფლებული **აბელ რესინოს** თანამდებობა **ჯოვანი დე ბიაზიმ** დაიკავა. მას 2008 წლის 30 ივნისამდე გაუფორმეს კონტრაქტი. თუ იტალიელი სპეციალისტი ვალენსიურ გუნდს პრიმერა დივიზიონში ადგილს შეუნარჩუნებს, ხელშეკრულებას კიდევ ორი სეზონით გაუხანგრძლივებენ. დე ბიაზი "ლევანტეში" არსებულ ურთულეს სიტუაციას ჯეროვნად აცნობიერებს, თუმცა, ამავდროულად, ოპტიმიზმს აფრქვევს: *"ერთი ქულით ბოლო ადგილზე ვიმყოფებით. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია. შთაბეჭდილება მრჩება, რომ გუნდი ჯერაც არ არის კარგად შეთამაშებული. არ იფიქროთ, ჩემს წინამორბედზე აუგად ვსაუბრობდე, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ. ფეხბურთელების პოტენციალიდან გამომდინარე, შემიძლია განვაცხადო, რომ კრიზისს მალე დავძლევთ. მჯერა, უახლოეს დროში თამაშის ხარისხს საგრძნობლად გავაუმჯობესებთ და გასავარდნ ზონას თავს დავაღწევთ. პრიმერა დივიზიონში აუცილებლად დავრჩებით".*

მენდილიბარს კონტრაქტი გაუხანგრძლივეს

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ პრიმერადივიზიონური კლუბების ხელმძღვანელები პირველ დასკვნებს მე-6, მე-7 ტურის შემდეგ აკეთებენ ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა. მაგალითად, "ლევანტემ" პერმანენტული ნაგებების გამო **აბელ რესინო** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან დაითხოვა. მიმიმხილველები. ფიქრობდნენ, რომ ანალოგიურ გადაწყვეტილებას "ვალიადოლიდის" ხელმძღვანელებიც მიიღებდნენ. თუმცა ვარაუდი არ გამართლდა. მართალია, პრიმერა დივიზიონის დებიუტანტები სულ რაღაც 5 ქულას ფლობენ და გასავარდნ ზონაში იმყოფებიან, მაგრამ გუნდის დირექტორატმა **ხოსე ლუის მენდილიბარს** კონტრაქტი 2010 წლამდე გაუხანგრძლივა. ამ ფესტით კასტილიელებმა ნათლად განაცხადეს, რომ ბასკ სპეციალისტს უსიტყვოდ ენდობიან.

ლივერპულის ყოფილი მწვრთნელი ბარსელონაში?

"ბარსელონა" "ლივერპულის" ყოფილ მეორე მწვრთნელ **პაკო აიესტარანს** ეპატიჟება. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში **რაფაელ ბენიტესის** თანაშემწე იყო. კატალონიელებმა ბასკი სპეციალისტი ჯერ კიდევ ზაფხულში მიიწვიეს, მაგრამ მერსისაიდელებმა მის გაშვებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მოგვიანებით, ბენიტესსა და აიესტარანს შორის უთანხმოებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რის გამოც ამ უკანასკნელს თანამდებობის დატოვება მოუხდა. სენიორ პაკოს "ბარსელონის" ფიზმომზადების მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებენ.

შემთხვევა

პოდოლსკის უჩივიან

იხულიგნა თუ არა პოლდიმ ავტობანზე?

ლუკას პოდოლსკი

ორშაბათს, გერმანიის პოლიციაში **ლუკას პოდოლსკის** წინააღმდეგ ორი საჩივარი შევიდა. "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 22 წლის ფორვარდს "ნიურნბერგის" ფანი (კვირას "ბაიერნმა" ამ გუნდს 3:0 მოუგო) და სატვირთო მანქანის მძღოლი უჩივიან. ბავარიული დერბის შემდეგ პოლდის ავტობანზე "ნიურნბერგის" გულშემატკივარი **ტობიას გსელი** შეუწუხებია. აი, რას ამბობს ხსენებული პიროვნება: *"საკუთარი "პასატით" მივდიოდი. ავტობანი გადატვირთული იყო, რის გამოც 40 კმ/სთ სიჩქარით ვმძღავრობდი. უცებ, გვერდიდან "აუდი S8" გადმომიხტა და გზა გადამიჭრა. მთელი ძალით დავამუხრუჭე და ეს რომ არ მექნა, აუცილებლად დავარტყამდი. მოგვიანებით, "აუდის" მძღოლმა ფანჯრიდან ხელი გადმოყო და შუა თითი გვიჩვენა. სიმართლე გითხრათ, მე ის მძღოლი ვერ ვიცანი, მაგრამ ჩემი მეგობრები, რომლებიც ჩემთან ერთად მგზავრობდნენ, მეუბნებიან, ლუკას პოდოლსკი იყოო."*

"სისულელეა! ასეთი რამ არ გამიკეთებია! ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ვფიქრობ, "ნიურნბერგის" ფანები გაბრაზებულები იყვნენ იმის გამო, რომ "ბაიერნმა" მათი საყვარელი გუნდი გაანადგურა და ახლა უნდათ, რომ გამამწარონ," - ეს თვითონ პოდოლსკის სიტყვებია. რაც შეეხება მეორე სარჩელს: სატვირთო მანქანის მძღოლის მტკიცებით, პოდოლსკის "აუდიმ" მასაც პრობლემები შეუქმნა, დიდხანს აწვალა და ავარიული მდგომარეობა შეაქმნევინა. პოდოლსკი ამბობს, ეს სიცრუეა, ამ დროს საჭესთან მე არ ვიჯექიო. მტყუან-მართალს გამოძიება გაარკვევს...

არგენტინის ნაკრები

მესის ბაირესში მეფესავით შეხვდნენ

პრიმერა დივიზიონში პაუზა გამოცხადდა. ესპანურმა კლუბებმა საუკეთესო ფეხბურთელები ნაკრებებში მიავლინეს. მათ შორისაა **ლეო მესიც**. "ბარსელონის" სუპერვარსკვლავი ავიაკომპანია "იბერიის" რეისით **გაბრიელ მილიტოსთან, მაქსი როდრიგესსა** და **სერხიო აგუროსთან** ერთად ბუენოს აირესში ჩაფრინდა. ლეოს სამშობლოში დაფასება აქამდეც არ აკლდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ კატალონიურ გრანდში ჩატარებული ფანტასტიკური მატჩების შემდეგ, მისი პოპულარობა ერთი-ორად გაიზარდა. თავად განსაჯეთ, მესის ბუენოს აირესის აეროპორტში 100 ჟურნალისტი და 1500-მდე გულშემატკივარი დახვდა. აბსოლუტურად ყველა ინჩასს მასთან მიახლოება და ფოტოს გადაღება სურდა. ცხადია, ახალგაზრდა არგენტინელი ყველას ვერ გაახარებდა. ბოლოს მან საზოგადოებას ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა. ბარსელონელი ჩილესთან სამუნდიალო საკვალიფიკაციო დაპირისპირებას დიდი ოპტიმიზმით ეგებება: *"აქ უსაზღვრო ენთუზიაზმით ჩამოვედი. "ალბისელესტე" ძალიან მომენატრა. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ შესარჩევ შეხვედრებში თავს არ დავზოგავ და მაქსიმუმს გავიღებ. დარწმუნებული გახლავართ, არგენტინა ულამაზეს მატჩებს ჩაატარებს. იმედია, ყველა კმაყოფილი დარჩება. ეროვნულ გუნდში ახალი ერა იწყება. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ 2010 წლის მუნდიალზე უპრობლემოდ გავაღწიოთ".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიონი

შვიდი წლის შემდეგ

ბრაზილიის ნაკრები მარაკანაზე ბრუნდება

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ ბრაზილიის ნაკრები "მარაკანაზე" ბრუნდება. 17 ოქტომბერს რიო დე ჟანეიროს ლეგენდარულ სტადიონზე მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართება. პენტაკამპეონები ეკვადორს შეხვდებიან. ბრაზილიამ "მარაკანაზე" უკანასკნელად 2000 წელს ითამაშა. ის შეხვედრაც მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირის ეგიდით ჩატარდა. ბრაზილიელთა მეტოქე ბოლივია იყო. მასპინძლებმა ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს. იმ დღის შემდეგ "მარაკანა" რამდენიმე წლით დაიხურა. მიზეზი სარეკონსტრუქციო სამუშაოები იყო. მათი დასრულების შემდეგ არენამ მსოფლიოს ყველაზე ტევადი სტადიონის სტატუსი დაკარგა. ადგილების რაოდენობა 200 ათასიდან (!) 74 ათასამდე შემცირდა. რეკონსტრუქცია რიოს მუნიციპალიტეტმა დააფინანსა. ეკვადორთან მატჩი ერთგვარი ტესტი იქნება, არის თუ არა მარაკანა მზად, მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს. მოგეხსენებათ, 2014 წლის მუნდიალის სამხრეთ ამერიკაში უნდა ჩატარდეს. ტურნირის მასპინძლობის ყველაზე რეალური კანდიდატი ბრაზილიაა.

კაკა არ მალავს: ინგლისი ან ესპანეთი

კაკა არ მალავს, რომ ინგლისში სიამოვნებით ითამაშებდა. 25 წლის ნახევარმცველი ჟურნალ "ესკვაიერს" გაესაუბრა და განაცხადა, რომ "მილანში" თავს შესანიშნავად გრძნობს. მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს "როსონერიდან" აბარგება მოუხდება, "ლივერპულსა" და "ჩელსიზე" წინ "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" დააყენებს. აი, მისი კომენტარი: *"მილანში იმდენად კარგად ვარ, რომ არც კი მინდა გარემოს შეცვლაზე ვიფიქრო, მაგრამ თუ ჰიპოთეტური პასუხი გსურთ, გეტყვით, რომ ინგლისში ან ესპანეთში სიამოვნებით ვითამაშებდი. "მანჩესტერ იუნაიტედი" შესანიშნავი გუნდია, "არსენალიც" ძალიან მომწონს. "ჩელსი" და "ლივერპული" უფრო მეტად ტაქტიკაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობენ. მათთვის ყველაფერზე წინ ორგანიზაცია და დისციპლინა დგას."* მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს კაკას შეძენას "რეალი" ლამობდა, მაგრამ "მილანმა" გარიგება შორს დაიჭირა.

ითამაშებს თუ არა საა?

სერ ალექს ფერგიუსონი ლუის საას გამო ნერვიულობს. ფრანგი თავდამსხმელი საფრანგეთის ნაკრებში გამოიძახეს. ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საა ესესაა დაუბრუნდა მინდორს. მან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთხელ ითამაშა. ფერგის არ სურდა ფეხბურთელის ნაკრებში გაშვება. საბოლოოდ კი ფრანგების ბანაკისგან პირობა მიიღო: თუ ექიმები ჩათვლიან, რომ ლუისის თამაში სარისკოა, ის არ ითამაშებს. სერ ალექსს ეჭვი არ ეპარება, რომ საამ არ უნდა ითამაშოს. მაგრამ რაიმონ დომენეკი მისი მოსაზრებების გათვალისწინებას არ აპირებს. ის ნაკრების ექიმების რჩევას დაელოდება.

აშკან დეჟაგა

სკანდალი

ვოლფსბურგმა დეჟაგა მოკვეთა

აშკანს გერმანიის ნაკრებიდანაც გააძევებენო...

"ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი **აშკან დეჟაგა**, რომელიც წარმოშობით ირანელი გახლავთ, გუნდიდან დროებით მოკვეთილია. ეს გადაწყვეტილება "ვოლფსბურგისა" და "ფოლკსვაგენის" ბოსმა **ვინტერკორნმა** მიიღო. მისი თქმით, დეჟაგას მოკვეთა პირადული მიზეზით მოხდა, მაგრამ ცხადია, რომ ირანელის მოკვეთის მიზეზი ისრაელში ჩასვლაზე უარის თქმაა.

როგორც იცით, "ვოლფსბურგის" 21 წლის ფეხბურთელი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს ისრაელში არ გაჰყვა - მე ირანელი ვარ და ისრაელში ჩასვლის უფლება არ მაქვსო. ამ ფაქტმა არა მარტო გერმანული საფეხბურთო სამყარო, არამედ გერმანელი პოლიტიკოსებიც გააღიზიანა. დეჟაგა ამბობს, ჩემში ირანული სისხლი უფრო მეტია, ვიდრე გერმანულიო. ებრაელთა უფლებების დაცვის საბჭოს თავმჯდომარე **შარლოტ კნობლოხი** აცხადებს: *"დეჟაგას საქციელი არასპორტულია. ნებისმიერი სპორტული შეჯიბრება მშვიდობიანია და სპორტს პოლიტიკასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. ესეც არ იყოს, დეჟაგა გერმანიის მოქალაქეა და გერმანიის სახელით ასპარეზობს. შესაბამისად, მას არა აქვს უფლება, რომ გერმანიის სახელით ასპარეზობაზე უარი პოლიტიკური მიზეზით განაცხადოს. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი მას ბუნდესგუნდიდან მოკვეთს."* "ვოლფსბურგის" ნახევარმცველი ბუნდესგუნდის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმაც** გააკრიტიკა, ამ ფეხბურთელისგან ამას არ ველოდიო.

...და რას ფიქრობს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **თეო ცვანციგერი**? "უახლოეს მომავალში აშკანს შევხვდები და დაველაპარაკები. ავუხსნი, რომ უპასუხისმგებლოდ მოიქცა და რომ მისი საქციელი გერმანიის შეურაცხყოფაა. დღეს ირანელია, ხვალ ისევ გერმანელი? ეს დაუშვებელია. თუ შეცდომას არ აღიარებს, გერმანიის ნაკრებში მას მომავალი არ ექნება," - განაცხადა DFB-ს ბოსმა.

გუნდესგუნდი

ბუნდესნაკრებს ფრინგსი უკაპიტნებს

არც შნაიდერი, არც ჰილბერტი, ლიოვს ერნსტმაც უგანა...

ორიოდ დღის წინათ გაცნობეთ, რომ გერმანიის ნაკრების ნახევარმცველის, **ბერნდ შნაიდერის** ირლანდიასთან და ჩეხეთთან თამაში საეჭვო იყო. ბუნდესგუნდის ექიმებმა გუშინ საბოლოოდ დაადასტურეს, რომ "ლევერკუზენის" შუამარბი ხსენებულ მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მოგეხსენებათ, შნაიდერი გერმანიის ნაკრების ვიცე-კაპიტანია. რაკი გუნდის თავი **მიხაელ ბალაკიც** ლაზარეთშია და **მიროსლავ კლოზეც**, ამ შეხვედრებში **იოახიმ ლიოვის** სამწყოს "ვერდერის" საყრდენი ნახევარმცველი **ტორსტენ ფრინგსი** უკაპიტნებს. შნაიდერის გარდა, ბუნდესგუნდს ტრავმის გამო "შტუტგარტის" ნახევარმცველი **რობერტო ჰილბერტიც** გამოაკლდა.

ამასობაში, "შალკეს" საყრდენმა ნახევარმცველმა **ფაბიან ერნსტმა** "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, სანამ გერმანიის ნაკრებს ლიოვი უთავკაცებს, ჩემთვის ბუნდესგუნდი არ იარსებებსო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ 2010 წლამდე (თუ იოგი ვადამდე ადრე არ გააგდეს) შალკელს ბუნდესგუნდში ვეღარ ვიხილავთ. როგორც იცით, ბუნდესმწვრთნელის კონტრაქტის გაგრძელება გადაწყვეტილი ამბავია. *"ლიოვმა რომ დამირეკოს და ნაკრებში გამომიძახოს, მაინც უარს ვეტყვი,"* - ამბობს ერნსტი ხსენებულ ინტერვიუში. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ერნსტი ბუნდესმწვრთნელზე ნაწყენია. მიუხედავად იმისა, რომ ფაბიანი ჩინებულ ფორმაშია, იოგი მას ყურადღებას მაინც არ აქცევს...

ტორსტენ ფრინგსი

იენს ნოვოტნი პატარა ნოვოტნებთან ერთად

ინტერვიუ იენს ნოვოტნისთან

ფეხბურთიდან გულდაწყვეტილი მივდივარ

იენსი ცხოვრების დარჩენილ ნაწილს ბავშვებს მიუძღვნის...

16-წლიანი აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში, იენს ნოვოტნიმ ბევრი ჯილდო ვერ მოიგო, სამაგიეროდ, გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 48 მატჩის ჩატარება მოასწრო და საერთო ჯამში, დაახლოებით 25 მილიონი ევრო მოიხვეჭა. სამი შვილის მამას, 400 000-ევროიანი "მერსედესი" ჰყავს, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უძვირფასესი მანქანაა. ნოვოტნიმ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა და ამიერიდან, როგორც თვითონვე ამბობს, მშვიდ ცხოვრებას იწყებს, რომლის დარჩენილ ნაწილსაც ბავშვებს მიუძღვნის. 33 წლის ნოვოტნის "შპორტ აინსი" გაესაუბრა.

- ჰერ ნოვოტნი, თქვენი გამოსამშვიდობებელი მატჩის შემდეგ, აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი ერთსა და იმავეს იმეორებდა: იენსი ფეხბურთიდან დასვევდიანებული და გულდაწყვეტილი წავიდაო. მართლა ასეა?

- რომელ ფეხბურთელს უხარია ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება? სევდიანობა მსუბუქი ნათქვამია. საპატიო წრის დროს ცრემლები წამომივიდა, დიახ, ფეხბურთთან გამოთხოვება ძალიან გამიჭირდა და გულიც ბევრ რამეზე მწყდება. მაგალითად, იმაზე, რომ არა მორიგი მძიმე ტრავმა, ფეხბურთის თამაშს კიდევ 2-3 წლის განმავლობაში მოვახერხებდი. თუმცა ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული - შესაბამისად, მიხარია, რომ საკმაოდ წარმატებული კარიერა მქონდა.

- მცირე ტრავმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კარიერის განმავლობაში მყესები ოთხჯერ გაიწყვიტეთ. ლაზარეთში ძალიან ხშირად ხვდებოდით, რის გამოც არაერთი მნიშვნელოვანი მატჩის გამოტოვება მოგიხდათ. მაგალითად, 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ იასპარეზეთ...

- იცით, ჯერ კიდევ არ არის გამორიცხული, რომ ინვალიდი გავხდე. მართალია, ამის შანსი ძალიან ცოტაა, მაგრამ მაინც. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ კარიერის დასრულება სწორედ ტრავმის გამო მომიხდა. თავად განსაჯეთ, იმისთვის, რომ გამოსათხოვარ შეხვედრაში მონაწილეობა მიმეღო, თვეების განმავლობაში სპეციალური სამედიცინო პროგრამით ვემზადებოდი.

- ალბათ, გული გწყდებათ იმის გამო, რომ ასეთი ხანგრძლივი და საკმაოდ სახელოვანი კარიერის მიუხედავად, ვერცერთი სერიოზული ტიტული ვერ მოიგეთ...

- მთლად ასეც არ არის. მაგალითად, ზაგრების "დინამოსთან" ერთად ხორვატიის ჩემპიონი გავხდი. მართალია, იმ სეზონში ტრავმების გამო მხოლოდ 10 ოფიციალურ შეხვედრაში ვითამაშე, მაგრამ ტიტული მაინც ტიტულია - ეს მედალი ხომ სახლში მაქვს. ასევე, ძალიან ვამაყობ იმით, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებთან ერთად მესამე ადგილზე გავედი. ეს მუნდიალი ჩემს ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო. სხვამხრივ კი მართალი ხართ: მუდმივად ვიცე-ჩემპიონი ვხდებოდი. 2002 წელს "ლევერკუზენთან" ერთად, ბუნდესლიგაში მეორე ადგილი დავიკავე, დავმარცხდით გერმანიის თასის ფინალში და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც. მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ვქმნი. მთავარია, რომ ფეხბურთი ვითამაშე და თანაც, საკმაოდ მაღალ დონეზე. ვასპარეზობდი გერმანიის ნაკრებში და ვიცავდი ძლიერი კლუბების ღირსებას.

- მომავალში რას აპირებთ, მწვრთნელობაზე ხომ არ ფიქრობთ?

- ორ პარტნიორთან ერთად, მარკეტინგის აგენტურა მაქვს, რომელსაც "Human Brands" ეწოდება. ეს აგენტურა ფეხბურთითაც არის დაკავებული და არა მარტო ფეხბურთით. ასეთი ბიზნესის აწყობა საკმაოდ რთული, მაგრამ უაღრესად საინტერესო პროცესია. ეს ჩემი სამსახური იქნება. ამას გარდა, დიდი ხნის ოცნებას ავისრულებ და საბავშვო წიგნს დავწერ. ეს იდეა დიდი ხანია, მაქვს. ყველაფერი დაგეგმილია, ერთადერთი, რაც მაკლია, სათაურია.

- საბავშვო წიგნის დაწერა იმიტომ ხომ არ გადაწყვიტეთ, რომ სამი შვილი გყავთ?

- შეიძლება ასეც ითქვას. საერთოდ, ბავშვები ძალიან მიყვარან და მინდა, რომ მათთვის რამე ხეირიანი გავაკეთო. არაფერია იმაზე უკეთესი, როცა შენი შვილები შენს წიგნს კითხულობენ.

- თქვენს მეგობარ კრისტოფ დაუმს ძალიან უნდა, რომ მწვრთნელი გახდეთ. მან განაცხადა, ნოვოტნისგან იდეალური სპეციალისტი დადგებაო...

- ვიცი, კრისტოფი ამაზე სულ მესაუბრება. ჩემთვის ერთი რამ ცხადია: პროფესიული სამწვრთნელო კარიერა არ მაინტერესებს. აი, ბავშვთა გუნდებს კი უდიდესი სიამოვნებით გავწვრთნი. მინდა, რომ ცხოვრების დარჩენილი ნაწილი ბავშვებს მივუძღვნა.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მორტენ ოლსენთან

სელექსიონს ევროპის ბრაზილიას ვუწოდებდი

დანიის ეროვნული გუნდის თავკაცი ესპანელების დასამარცხებლად ემზადება. მისი კოზირი შეტევაა

შაბათს ორჰუსში უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება. დანიის ნაკრები ესპანეთის ეროვნულ გუნდს შეხვდება. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელისთვის "სელექსიონი" კარგად ნაცნობი გუნდია. მოგეხსენებათ, მორტენ ოლსენი შორეული 1986 წლის მუნდიალზე ემილიო ბუტრაგენიოს ნაკრებს დაუპირისპირდა და კატასტროფული მარცხი იწვნია. ოლსენისა და ესპანეთის ნაკრების გზები შემდეგშიც არაერთხელ გადაიკვეთა. ბოლოს პირენეელებს ის, დაახლოებით ერთი წლის წინ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" შეხვდა. ის მატჩი ლუის არაგონესის შეგირდების გამარჯვებით დასრულდა. ახლა დანიის ეროვნული გუნდის თავკაცს დიდი იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები რევანშს აიღებენ. მათთვის სამ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თუ დანია ვერ გაიმარჯვებს, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსს დაკარგავს. თავის მხრივ, ესპანელებიც მოტივირებულები არიან. სამი ქულა მათაც არ აწყენთ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კოპენჰაგენში მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შედგება. სრულიად ლოგიკურია, რომ "დიარიო ასის" კორესპონდენტი ამდენად პრინციპული თამაშის წინ დანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს შეხვდა. მორტენ ოლსენმა ესპანელის კითხვებს გულწრფელად უპასუხა.

- ესპანეთი და მისი ნაკრები ყელში ხომ არ ამოგივიდათ?

- როგორ გეკადრებათ, პირიქით, ესპანური ფეხბურთი ძალიან მომწონს. თქვენები ლამაზად თამაშობენ და აღფრთოვანებას არასოდეს ვმალავ. იმედი მაქვს, შაბათს არა თქვენით, არამედ საკუთარი გუნდით ვიქნები აღფრთოვანებული. არ ვიცი დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ შეგირდებს ვეუბნები, რომ დანიის ნაკრები "სელექსიონივით" უნდა თამაშობდეს. პრიმერა დივიზიონში პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბები ასპარეზობენ. "რეალი" და "ბარსელონა" ფასდაუდებელ საფეხბურთო კულტურას ავრცელებენ. ჩემი აზრით, ესპანელებმა ტექნიკური და ძალისმიერი თამაშის შერწყმა შეძლეს. ამიტომაც მსურს, რომ დანიამ ეს გამოცდილება გაიზიაროს. ჩრდილოელები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან ამტანები და ფიზიკურად ძლიერები გახლავართ. ტექნიკაში კი პრაქტიკულად არასოდეს მოვიკოჭლებდით. მთავარია, საქმეები სწორად ვმართოთ. შედეგი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოვა.

- სასიამოვნოა, რომ ესპანეთის ნაკრებზე აღფრთოვანებით საუბრობთ, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩვენს ქვეყანას ცოტა რამ თუ მოუგია?

- ეს გარემოება აზრს ვერ შემაცვლევინებს. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრები ყველაზე ტექნიკური ევროპული გუნდია. მას ევროპის ბრაზილიას ვუწოდებდი. მერწმუნეთ, ასეთი სათამაშო ხარისხის მიღწევა უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. შედეგების ნაკლებობას რაც შეეხება, კომპეტენტურად ვერ გიპასუხებთ, რადგან ესპანური ფეხბურთის შიდა სამზარეულოში არ მიტრიალია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თქვენი მოთამაშეები უდიდეს სიამოვნებას მანიჭებენ.

- მომიტევეთ, მაგრამ მინდა გკითხოთ, ამ ყველაფერს გულწრფელად გვეუბნებით?

- რა თქმა უნდა. რატომ უნდა ვითვალთმაქცო? ესპანეთი მართლაც ძალიან მომწონს, მაგრამ ამით იმის თქმა არ მსურს, რომ სხვა ქვეყნების ფეხბურთი თვალში არ მომდის. ჩვენ ერთმანეთის გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. მაგალითად, თქვენთვის ძალიან კარგი იქნება, თუ ინგლისური ფეხბურთის ელემენტებსაც დანერგავთ. ბრიტანული რიტმი ესპანეთის ნაკრებს ერთი-ორად გააძლიერებს. რა თქმა უნდა, ვისურვებდი, რომ ცვლილებები შაბათის შეხვედრის შემდეგ დაინყოთ (იცინის).

- ლუის არაგონესის ბიჭების ხომ არ გეშინიათ?

- ცხოვრებაში იმდენი რამ გადამხდენია, რომ შიშის გრძნობა ატროფირებული მაქვს. ვერც კი ვხვდები, რა უნდა მოხდეს, მე რომ შემეშინდეს. ეს ხომ ომი არ არის? ჩვენ უბრალო თამაშზე ვსაუბრობთ, თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ, გაგვახსენდება, რომ ფეხბურთმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ზოგი ნერვიულობით ტრიბუნაზე კვდებოდა, ზოგი კი უშუალოდ მოედანზე. შიშით, ვერ შემაშინებთ, მაგრამ იმას კი გაგიმხელთ, რომ ფერნანდო ტორესს, იკერ კასილიასს, კარლეს პუიოლს, სესკ ფაბრეგასსა და "სელექსიონის" სხვა წევრებს უდიდესი პატივისცემით ვეკიდები. ამ ბიჭებს ნებისმიერი მატჩის მოგება შეუძლიათ.

- ეს მხოლოდ თეორიაა, რადგან ცხოვრებამ დაგვანახა, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელები გაცილებით სუსტ მეტოქეებთან სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

- ფეხბურთის ხიბლი სწორედ ამაშია. უკეთესი შემადგენლობა მუდმივად გამარჯვების გარანტიას არ იძლევა. შეიძლება ისეც მოხდეს, გაცილებით სუსტმა გუნდმა პირწმინდად მოგიგოს. ასე რომ არ იყოს, ფეხბურთი ძალიან მოსაწყენი გახდებოდა, რადგან მას მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ითამაშებდნენ.

- ტრავმის გამო დავიდ ვილია არ გვეყოლება, რაული კი ლუის არაგონესის ახირების გამო არ ითამაშებს. ამ დანაკლისის შესახებ რას გეტყვით?

- დარწმუნებული ვიყავი, ამას მკითხავდით. ჩემი კოლეგების გადაწყვეტილებას არასოდეს განვიხილავ. ლუის არაგონესს პირადად ვიცნობ, ის ჩინებული ფეხბურთელი იყო. შესაძლოა, მწვრთნელობისას ხშირად არ უმართლებდეს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. დამეთანხმებით, არაგონესი დიდ კლუბებს წვრთნიდა და სერიოზულ წარმატებებსაც აღწევდა. ვფიქრობ, ამ ადამიანს არაფერი აქვს დასამტკიცებელი და თუ რაული არ მიიწვია, ჯვარს არ უნდა აცვათ. მომიტევეთ ამ მცირე დიდაქტიკისთვის (იცინის).

- ძლიერი ფეხბურთელები არც თქვენ გაკლიათ, მაგალითად, პოულსენი. როგორ ფიქრობთ, სევილიელი ესპანეთის ნაკრებთან მატჩში მთავარ როლს შეასრულებს?

- პოულსენზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის, ფაქტობრივად, სრულყოფილი მოთამაშეა. გამოგიტყდებით, მხოლოდ ერთი ადამიანის ღვაწლსა და მნიშვნელობაზე საუბარი არ მახასიათებს. პოულსენს დიდად ვაფასებ, მაგრამ უდავოა, რომ ესპანეთს მხოლოდ ის ვერ მოუგებს. სამი ქულა მთლიანად გუნდმა უნდა მოიპოვოს. პოულსენზე საუბარს გავაგრძელებ და მოგახსენებთ, რომ პრიმერა დივიზიონმა მას უამრავი რამ შესძინა. ადრე ასეთი ტექნიკური არ იყო, ახლა კი, რომ ვუყურებ, ზოგჯერ მგონია, ჩემს გუნდში ქერა ბრაზილიელი თამაშობს.

- დარწმუნებული ვარ, პოულსენი ჩვენი ნაკრების შესახებ ფასდაუდებელ ინფორმაციას მოგანვდიდათ. ალბათ, მიქაელ ლაუდრუპიც არ დუმდა...

- რა თქმა უნდა, მიქაელი მხოლოდ კოლეგა არ არის, ჩვენ უდიდესი მეგობრობა გვაკავშირებს. ამასთან, ლაუდრუპი სულით ხორცამდე პატრიოტია. აქედან გამომდინარე, მოსაზრებები სრულად გამიზიარა. ესპანეთში მოღვაწეობის მცირე ხნის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება და შთაბეჭდილება საშუალებას აძლევს, რომ მართლაც საჭირო რჩევები მომცეს. პოულსენის მოსაზრებები ისედაც ცნობილი იყო. მას ხშირად ვურეკავ და ვესაუბრები ხოლმე.

- თქვენი მეგობრის "ხეტაფეს" პრიმერა დივიზიონში ჯერ არ მოუგია. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ლაუდრუპი მდგომარეობის გამოსწორებას?

- ამაში ეჭვი არ მეპარება. მართალია, "ხეტაფეს" ცუდი შედეგები აქვს, მაგრამ შეუძლებელია, ულამაზეს ფეხბურთსა და თავდადებას გამარჯვებები არ მოჰყვეს. სხვათა შორის, "ხეტაფე" მსაჯების შეცდომების გამოც დაისაჯა, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. დარწმუნებული გახლავართ, ლაუდრუპის გუნდი სიტუაციას აუცილებლად შემოატრიალებს. ამასწინათ, "ხეტაფესა" და "რეალის" მატჩს ვუყურე. გამარჯვება სამეფო კლუბმა მოიპოვა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უდიდესი უსამართლობა იყო. ლაუდრუპის ბიჭებმა უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, თუმცა მაინც წააგეს.

- შაბათის შეხვედრას დავუბრუნდით. ესპანეთისგან როგორ თამაშს ელით?

- პრაგმატულად თუ ვიმსჯელებთ, სტუმრებისთვის ფრეც არ იქნება ურიგო შედეგი. ამის გათვალისწინებით, არ მგონია, ესპანელებმა თავქუდმოგლეჯით შემოგვიტიონ. ალბათ უფრო კონტრიერიშებზე ააგებენ თამაშს.

- თქვენს გუნდზე რაღას გვეტყვით? დანიას ყველაზე კარგად შეტევა ეხერხება.

- ჩვეულებისამებრ, პატარა ქვეყნების ნაკრებები მთელ ძალისხმევას დაცვას ახმარენ ხოლმე, მაგრამ დანია ამ თვალსაზრისით გამონაკლისია. ამასთან, სატურნირო მდგომარეობა გვაიძულებს, რომ მოვიგოთ. გვინდა თუ არა, უნდა შევუტიოთ. შემტევი თამაში საფეხბურთო კულტურაა, ჩვენ სწორედ ამ კულტურას მივდევთ და თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ნაგებულები არასოდეს დავრჩენილვართ. დანიურმა ფეხბურთმა შეძლო და ისტორიის კუთვნილება გახდა. მცირე ერისთვის ეს უდიდესი მიღწევაა.

- "ბერნაბეუზე" გამართულ მატჩში ემოციები ვერ მოთოკეთ და მსაჯმა წითელი ბარათი გიჩვენათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამჯერადაც გაგაგდებენ?

- იმედია, უკეთესი მსაჯი იმუშავებს. არბიტრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეცდომებს სხვებივით ხშირად უშვებენ ხოლმე. თუმცა ის კაცი, რომელიც "ბერნაბეუზე" მსაჯობდა, უდიდეს სისულელეებს ჩადიოდა. როცა ნიკლას იენსენი სრულიად დაუმსახურებლად გააძევა, ნერვები ვერ მოვთოკე და ყვირილი დავიწყე. იმის ნაცვლად, რომ სიტუაციის დამშვიდება ეცადა, ადგა და მეც წითელი ბარათი ამომიღო.

- ემილიო ბუტრაგენიოსთან ურთიერთობა თუ გაქვთ?

- ის ორი წლის წინ ვნახე. ხიხონში ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ. ძალიან კარგი და სიმპათიური ადამიანია.

ილია ნიკოლაიშვილი

მორტენ ოლსენს დაძაბული მატჩი ელის

რაულ გონსალეს ბლანკო

ესპანეთის ნაკრები

რაულის მაისურა არავის სურს

ესპანეთის ნაკრები დანიასთან სათამაშოდ გამალებით ემზადება. **ლუის არაგონესი** გუნდს დახურულ კარს მიღმა ავარჯიშებს და ყველაზე ეფექტური ტაქტიკის შედგენაზე მუშაობს. ჟურნალისტებს ბაზაზე მხოლოდ რამდენიმე წუთით უშვებენ, რათა მათ მცირე რეპორტაჟი მოამზადონ და რამდენიმე ფოტო გადაიღონ. არცთუ სახარბიელო სამუშაო პირობების მიუხედავად, ესპანელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, რომ "სელექსიონის" ფეხბურთელებს 7-ნომრიანი მაისურის ჩაცმა არ სურთ. არაგონესმა სამოსი რამდენიმე ადამიანს შესთავაზა, მაგრამ მწვრთნელი უკლებლივ ყველამ უარით გაისტუმრა. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, **რაულის** ნაკრებს მიღმა დატოვებით იყო განპირობებული. გონსალეს ბლანკოს "სელექსიონის" 7-ნომრიანი მაისურა 122-ჯერ აქვს მორგებული. ახლა კი ის არაგონესის ჭირვეულობას შეენირა და ქვეყნის უმთავრესი გუნდის თამაშებს ტელევიზიით ადევნებს თვალ-ყურს. ფეხბურთელების სოლიდარობით საფეხბურთო საზოგადოება აღფრთოვანებული დარჩა. მართლაც საოცარია, რომ ყველა უარზე იყო. სხვათა შორის, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამ მხრივ პრობლემა არასოდეს ჰქონია, **დავიდ ვილიაა**. "ვალენსიის" ფორვარდი ფრიად საინტერესო გარემოებით აპელირებს. მისი შვილი 7 რიცხვში ყოფილა დაბადებული, ამიტომ წინა შეხვედრებში თავს უფლებას აძლევდა, რაულის მაისურა უპრობლემოდ ჩაეცვა... მაგრამ ახლა ვილია ტრავმირებულია და მოედანზე ვერ გავა.

სევილია

პალოპი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს

"სევილიის" მიერ განცდილმა ზედიზედ ოთხმა მარცხმა, რა თქმა უნდა, დიდი გამოხმაურება პოვა. ესპანური მედია მოულოდნელი ჩავარდნის მიზეზების დადგენას ცდილობს. გულშემატკივრები კი საკუთარ დასკვნებს აკეთებენ. ინჩასებმა არც აციეს, არც აცხელეს და ხელი **ანდრეს პალოპისკენ** გაიშვირეს. მათი აზრით, ვეტერანმა გოლკიპერმა მიუტევებელი შეცდომები დაუშვა, რის გამოც "სევილიამ" უმნიშვნელოვანესი ქულები დაკარგა. დაგვეთანხმებით, სერიოზული ბრალდებაა. პალოპი ასეთი თავდასხმით გაოგნებული დარჩა და საგანგებო პრესკონფერენცია მოინვია: *"გულშემატკივრების კრიტიკას ვერ მივიღებ. რატომღაც, ყველა უბედურების მიზეზად მე მიმიჩნევენ. შესაძლოა, რამდენიმე ეპიზოდში მართლაც არადამაჯერებლად ვითამაშე, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ "სევილიის" კრიზისი ანდრეს პალოპის ბრალია. პასუხისმგებლობა მთელმა გუნდმა უნდა იტვირთოს. თუ მეკარეს არ დაეხმარებიან, მას ყოველთვის გაუტანენ. იძულებული ვარ, თავი დავიცვა. ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები. თავს არ ვზოგავ და ყველაფერს ვაკეთებ, რათა "სევილიას" კარგი სამსახური გავუწიო. მიხარია, რომ ჩემი თანაგუნდელები გულშემატკივრებივით არ ფიქრობენ, ისინი პასუხისმგებლობას არ გაურბიან. იმედია, პრობლემებს მალე გავუმკლავდებით და უწინდებურად შთამბეჭდავად ავთამაშდებით".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

მილიტოს ისტორია

გაბრიელ ალეხანდრო მილიტო

გაბრიელ მილიტოს ბავშვობიდან ემჩნეოდა, რომ მისგან ძლიერი ხასიათის მქონე მცველი დადგებოდა. დრო გავიდა და ის სწორედ ასეთად იქცა. გაბი ყოველთვის დიდ პატივისცემას იმსახურებდა როგორც თანაგუნდელებში, ასევე მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ამ ზაფხულს გაბი 20.5 მილიონ ევროდ "ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ სანამ ამ ევროპულ გრანდში მოხვდებოდა, ურთულესი გზა გაიარა: გულის პრობლემების გამო დროებით შეწყვეტილი კარიერა, უმძიმესი ტრავმა, რის გამოც თითქმის მთელი სეზონი გააცდინა, განმეორებითი ტრავმა და კვლავ ხანგრძლივი პაუზა, მამის გატაცება და შემდეგ მისი გამოსყიდვა, "რეალში" თითქმის განხორციელებული ტრანსფერის ჩაშლა, როცა მილიტო სამედიცინო შემოწმების შემდეგ დაინუნეს - მუხლი არ გივარგაო... მოკლედ, ჩვენ წინაშეა რთული საფეხბურთო ბედის მქონე ნიჭიერი ფეხბურთელი.

დაიბადა: 1980 წლის 7 სექტემბერს
დაბადების ადგილი: ქალაქი ბერნალი
სიმაღლე: 178 სმ
ამპლუა: ცენტრალური მცველი
მოძველი კლუბი: ბარსელონა (№3)
კარიერა: 1997–2003 ინდეპენდიენტე - 123 მატჩი (2 გოლი)
2003–2007 სარაგოსა - 138 (5)
2000-? არგენტინის ნაკრები (26 (0)

2003 წელს, "ინდეპენდიენტეს" შემადგენლობაში ჩატარებული 138 მატჩისა (123 ჩემპიონატში და 15 საერთაშორისო ტურნირებზე) და ორი გატანილი გოლის შემდეგ (ეს გოლები კლუბს 2002 წელს აპერტურის ტიტულის მოგებაში დაეხმარა), **გაბრიელ მილიტოს** მადრიდის "რეალში" ტრანსფერი ელოდა (ამ დროისთვის, მის ანგარიშზე იყო 38 მატჩი იუნიორთა ნაკრებში და 4 შეხვედრა პირველი ნაკრების შემადგენლობაში). თუმცა "სამეფო კლუბი" მისთვის ჩვეული მანერით მოექცა ფეხბურთელს (ეს პუბლიკაცია "ბარსელონის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა). გაბის ღირსება და მომავალი "სარაგოსამ" გადაარჩინა. საფეხბურთო კარიერის დასაწყისში მილიტო დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ მძიმე ტრავმამ კინაღამ ხაზი გადაუსვა ყველაფერს...

ბავშვობაში ბევრს უყურებდა იტალიურ ფეხბურთს. *"კარგად მახსოვს "მილანის" ჰოლანდიური ტრიო. მამასთან ერთად ტელევიზორთან ვჯდებოდი და ის მირჩევდა ბარეზის თამაშისთვის მიმექცია ყურადღება. ამან ძალიან დამაინტერესა..."*

პატარა გაბი მილიტოს ძალიან უნდოდა **ფრანკო ბარეზისავით** ეთამაშა, მით უმეტეს, რომ მას "მარშალი" შეარქვეს - არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში, ალბათ, ყველა დროის საუკეთესო ცენტრალურ მცველ **დიეგო პერფიუმოსთან** მსგავსების გამო. რამდენიმე წელი, ძმები მილიტოები სხვადასხვა გუნდში გამოდიოდნენ - უფროსი **დიეგო** აველიანედის "რასინგში" თამაშობდა, უმცროსი გაბი კი, რომელიც ბერნალში 13 თვის შემდეგ, 1980 წლის 7 სექტემბერს დაიბადა, "ინდეპენდიენტეში".

1993 წლის ნოემბერში, "რასინგი" და "ინდეპენდიენტე" იუნიორთა ჩემპიონატის ბოლო ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. "წითლების" მწვრთნელი **ნესტორ რამბერტი** კმაყოფილი იყო გაბრიელის თამაშით. "ინდეპენდიენტეს" გამარჯვების შემდეგ, რამბერტი მილიტოს მამას ესაუბრა, რათა დაერწმუნებინა ის, რომ გაბის თამაში უნდა გაეგრძელებინა. *"ყოველთვის მიკვირდა გაბის სურვილი, მუდმივად მთავარი როლი ეთამაშა მინდორზე, მიკვირდა მისი ტემპერამენტი, მისი მონდომება"*, - იხსენებს "მარშალის" ექსმწვრთნელი. თავისი ასაკის ბავშვებთან 15-დღიანი ვარჯიშის შემდეგ, გაბი უფროს ბიჭებთან გადაიყვანეს. მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

"როცა სამი-ოთხი წლის ვიყავი, ბაბუა ანტონიოს "წითლების" საქომაგოდ დავყავდი, ასე გავხდი მათი გულშემატკივარი. ვიცოდი, რომ შევძლებდი ამ გუნდის რიგებში თამაშს", - იხსენებს გაბი.

1995 წელს, ბედმა მილიტოს პირველი განსაცდელი მოუმზადა: გულის გამოკვლევამ აჩვენა, რომ მას ფეხბურთისთვის თავი უნდა დაენებებინა. **ხოსე პეკერმანმა** გვერდით გაიხმო გაბი და მას გამოკვლევის ცუდი შედეგები აცნობა. *"ვარჯიშების შეწყვეტა მომიწია. განმეორებითი გამოკვლევა ჩავიტარე და საბედნიეროდ, ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა. არასოდეს მეპარებოდა ეჭვი, რომ თამაშის გაგრძელებას შევძლებდი"*, - იტყვის ის მოგვიანებით.

მას წარმატება დაუბრუნდა. 1997 წელი განსაკუთრებული გამოდგა. 17-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, მაშინ ერთ გუნდში თამაშობდა **კამბიასოსთან, რიკელმესთან** და **აიმართან** ერთად. დებიუტი ჰქონდა არგენტინის ჩემპიონატში, როცა მისმა "ინდეპენდიენტემ" 2:0 მოუგო "ფეროლს".

"როცა რიკარდო გარესამ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა, დროებით გუნდი მე ჩავიბარე. ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ გაბი აღარ უნდა მჯდარიყო სათადარიგოთა სკამზე. "ფეროლზე" გამარჯვების შემდეგ, მე მისი ძირითადში დაყენება დავიწყე, ვინაიდან ვენდობოდი მას", - იხსენებს **ხორხე გორდილიო**.

"პირველი და მეორე წელი ერთ სკოლაში ვისწავლე, მესამე წელს სხვაგან გადავედი, მეოთხე და მეხუთე წელს საღამოს სკოლაში დავდიოდი. დრო არ მყოფნის იმისთვის, რომ დიპლომი ავიღო, 1998 წელს, ფეხბურთის გამო ამისთვის არ მეცალა. მაგრამ მაინც დავასრულებ განათლების მიღებას, ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ვაპირებ, ეკონომიკა შევისწავლო, რადგან ჩემს ოჯახში ან ბუღალტერები არიან, ან სპორტსმენები", - ამბობდა 1999 წლის თებერვალში ფეხბურთელი. იმ წელს, გაბი 20-წლამდელთა სუდამერიკანას ჩემპიონი გახდა და პირველი გოლი გაიტანა არგენტინის ჩემპიონატში, როცა "ინდეპენდიენტემ" 8:1 დაამარცხა "არგენტინოს ხუნიორსი".

"მე ჩვეულებრივი მოზარდი ვარ, უბრალოდ სწრაფად ვიზრდები, რადგან ვცდილობ ფეხბურთი პროფესიულ დონეზე ვითამაშო, ვცდილობ, გავხდე სერიოზული ადამიანი და ყველაფერზე თავად ვიყო პასუხისმგებელი", - ამბობდა მილიტო იმ პერიოდში. ის უკვე "ინდეპენდიენტეს" ძირითადის მოთამაშე და იუნიორთა შემადგენლობის სიამაყე იყო. ევროპული გრანდები გამუდმებით აკვირდებოდნენ, გულშემატკივრებს უყვარდათ, მეტოქეები კი, მიუხედავად მისი ახალგაზრდა ასაკისა, პატივს სცემდნენ მას.

2001 წლის 25 მარტს, "როსარიოსთან" მატჩის 36-ე წუთზე, გაბი მილიტომ საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, დაეცა და მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. მისმა ყვირილმა შეაძრწუნა პარტნიორები და გულშემატკივრები. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ მილიტო 8 თვე ფეხბურთის გარეშე დარჩებოდა. ერთი თვის შემდეგ, ჰიდროთერაპიის წყალობით, მოძრაობაში მოიყვანეს მისი მუხლი. უფეხბურთო პერიოდი 231 დღე გაგრძელდა.

მისი დაბრუნებიდან ერთი თვის თავზე, "ბოკასთან" მატჩის შემდეგ, გაბის კვლავ საოპერაციო მაგიდა ელოდა - 2002 წლის იანვარში, ართროსკოპია გაუკეთეს, ვინაიდან მენისკი დაიზიანა. იმ დღეებში, მან ახლობლების მხარში დგომა იგრძნო. კოშმარი დასრულდა და გაბი მოედანზე 126 დღის შემდეგ, იმავე "ბოკასთან" შეხვედრაში დაბრუნდა.

ამასობაში კი, პრობლემებმა საფეხბურთო მოედნიდან პირად ცხოვრებაში

გაბრიელ მილიტო

გადაინაცვლა. მან ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მომენტი გადაიტანა. 2002 წლის 29 აგვისტოს მამამისი - **ხორხე მილიტო** მოიტაცეს და 19 საათის შემდეგ, გაბის მიერ გადახდილი თანხის საანაცვლოდ, გამტაცებლებმა ის გაათავისუფლეს. ორი დღის შემდეგ, გაბიმ "ველეს სარსფილდის" წინააღმდეგ ითამაშა და მამამისმა ტრიბუნებიდან იხილა "ინდეპენდიენტეს" გამარჯვება, რომელიც შვილმა მას მიუძღვნა.

"მომავალში ასე ცხოვრება შეუძლებელია. ჩვენს მოწინააღმდეგეებთან მიმართებაში მკაცრი ზომები უნდა მიიღონ", - მისი ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზულობით საუბრობდა მილიტო. გაბი უკვე მაშინ იყო ლიდერი მინდორზე და მის ფარგლებს გარეთ. სამი თვის შემდეგ, ის "ინდეპენდიენტეს" შემადგენლობაში ჩემპიონი გახდა.

ყოველ ზაფხულს, მილიტოს გვარი სატრანსფერო ჭორებში ფიგურირებდა, მაგრამ ყოველთვის მოლაპარაკებები უშედეგოდ სრულდებოდა. ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ "ინდეპენდიენტე" გაბის თაობაზე "რეალს" არ მოურიგდა.

ის მადრიდში დიდი იმედებით ჩავიდა, მაგრამ სამედიცინო გამოკვლევამ კინაღამ ხაზი გადაუსვა მის მომავალ კარიერას. მილიტო ესპანეთში ჩავიდა, როგორც "რეალის" ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფეხბურთელი. ამ პროექტზე **ხორხე ვალდანო** მუშაობდა, მაგრამ არავინ ელოდა, რომ საქმე ასეთ მიმართულებას მიიღებდა. მადრიდულმა კლუბმა თავის სამედიცინო ანგარიშში ჩაწერა, რომ ფეხბურთელი ვერ შეძლებდა მაღალ დონეზე თამაშს. კლუბის სამედიცინო სამსახურის შეფის, **ალფონსო დელ კორალის** ოფიციალურ დასკვნაში ეწერა, რომ *"ხანგრძლივი გამოკვლევის შემდეგ, "რეალის" სამედიცინო სამსახური იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უახლოესი ოთხი სეზონის განმავლობაში, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ფეხბურთელი მაქსიმალური დატვირთვით შეძლებს თამაშს"*. ეს განცხადება პრესაში გამოქვეყნდა. რადგან "რეალსა" და "ინდეპენდიენტეს" შორის წინასწარი ხელშეკრულება უკვე გაფორმებული გახლდათ, მილიტო შეიძლებოდა საერთოდ კლუბის გარეშე დარჩენილიყო.

განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მოთამაშის აგენტის, "რეალის" და "ინდეპენდიენტეს" მოლაპარაკების შემდეგ, არგენტინელს თავშესაფარი "სარაგოსამ" მისცა, რომელმაც ფეხბურთელთან კონტრაქტი გააფორმა და იქ ერთი პუნქტი ჩაწერა - თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნებოდა, მილიტო მაშინვე დატოვებდა კლუბს. არაგონელების რიგებში მან იპოვა ის, რასაც მადრიდში ვერ ეღირსა. გაბი კვლავ გახდა "მარშალი" დაცვაში და ყველას დაუმტკიცა, რომ მუხლთან დაკავშირებული პრობლემები წარსულს ჩაბარდა. არგენტინელმა ძალა და საიმედოობა შეიტანა "სარაგოსის" დაცვაში და ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში, პრიმერას ერთ-ერთ საუკეთესო მცველად იქცა.

გაბი მილიტოსა და მის ახლობლებს არასოდეს დაავიწყდებათ 2004 წლის 17 მარტი. "სარაგოსა" ბარსელონაში ჩავიდა სამეფო თასის ფინალში მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ სათამაშოდ. ისინი არ იყვნენ ფავორიტები, რადგან მთელ ესპანეთს მიაჩნდა, რომ ტიტულს მადრიდელები მოიპოვებდნენ. არაგონელებმა თასი ხელიდან გამოსტაცეს "რეალს", რომელიც გრძნობდა, რომ თამაშზე კონტროლი დაკარგული ჰქონდა. მილიტომ ამისთვის ყველაფერი გააკეთა და არავისთვის მიუცია ტრავმაზე საუბრის საბაბი. 23 წლისამ, მან **რაული** დაკეტა. და ეს გააკეთა ფეხბურთელმა, რომელიც მადრიდში ინვალიდად მონათლეს.

შემდეგ მილიტო თავისი კლუბის კაპიტანი და მისი ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. მოთამაშე იმდენად კარგი იყო, რომ მასზე "იუვენტუსი" და "ბარსელონა" ნადირობდნენ. საბოლოოდ, არგენტინელისთვის ბრძოლა "ბარსელონამ" მოიგო და თუ მილიტოს მიერ ბოლო ოთხ სეზონში ნაჩვენებ თამაშს გავითვალისწინებთ, გაბი შეიძლება **ფრანკ რაიკაარდის** გუნდის ერთ-ერთი ბურჯად იქცეს.

მანჩესტერ სიტი
ტრანსფერები

რიჩარდსი ხუთი წლით

სვენს ჰამანიც სჭირდება და დეფოც

მიკა რიჩარდსი "მანჩესტერ სიტისთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს. პირობები შეთანხმებულია. კონტრაქტს მარტო ხელმოწერაღა აკლია. 19 წლის მცველი კლუბში მომდევნო ხუთ სეზონს გაატარებს. მისი კვირეული ანაზღაურება 10 ათასიდან 40 ათას გირვანქამდე გაიზრდება. "სიტი" ასეთ ხელფასს მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელებს უხდის. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, რიჩარდსი უკვე ლიდერია.

რამდენიმე დღის წინ "დეილი მეილში" მიკას კომენტარი გამოქვეყნდა. ფეხბურთელი "არსენალზე" საუბრობდა. რიჩარდსმა მიმომხილველს გაუმხილა, რომ **იან რაიტი** და **პატრიკ ვიეირა** მისი კერპები იყვნენ. და საერთოდ, ბავშვობაში "მეთოფეებს" გულშემატკივრობდა. რიჩარდსს არც ის დაუმალავს, რომ მომავალში სიამოვნებით მიაშურებდა "ემირიტსს". მაგრამ ეს, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება. იქამდე კი რიჩარდსს ახალი მანჩესტერული კონტრაქტი და გაზრდილი ანაზღაურება ელოდება.

"სიტი" **დიტმარ ჰამანთანაც** გააგრძელებს თანამშრომლობას. გერმანელი მორგ ერთნლიან ხელშეკრულებას მოაწერს ხელს. 33 წლის გერმანელი დიდი ენერგიის მოზღვავებას გრძნობს. **სვენ გორან ერიქსონი** მას უსიტყვოდ ენდობა. შარშანდელთან შედარებით, ფეხბურთელის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სვენის წინამორბედი **სტიუარტ პირსი** გუნდში ჰამანის ადგილს ვეღარ ხედავდა და გამუდმებით თადარიგში ამყოფებდა. ახალი კონტრაქტით "ბაიერნის" ყოფილ ვარსკვლავს კვირაში 20 ათას გირვანქას გადაუხდიან.

"სიტიზე" საუბარს მოსალოდნელი ტრანსფერით დავასრულებთ. "დეილი ექსპრესის" ცნობით, სვენმა "ტოტენჰემის" თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო** მოიკითხა. დეფოს "მამლების" თავკაც **მარტინ იოლთან** უთანხმოება აქვს. ის ნებისმიერი სარფიანი წინადადების განხილვაზე თანახმაა. "დეილი ექსპრესი" იმასაც გვაუწყებს, რომ მანჩესტერელები მზად არიან, 18 მილიონი ევრო გადაიხადონ. იანვრის ტრანსფერებისას ისინი **გიორგიოს სამარასისა** და **დარიუს ვასელის** გაყიდვას აპირებენ. ასეთ შემთხვევაში დეფოს შეძენა არათუ სასურველი, აუცილებელი გახდება. მოსალოდნელი გარიგების შესახებ ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

მიკა რიჩარდსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთასი. აზოტის მეტოქე

ამსტერდამის შიფრი



რუსთავის "აზოტის" შესახებ ინფორმაციების პარალელურად, მკითხველს ევროთასზე მისი მეტოქის "ამსტერდამის" ამბებიც დააინტერესებს. თუკი ქართული კლუბი ლეგიონერებით ნელ-ნელა ივსება, ჰოლანდიელებმა შემადგენლობა დიდი ხნის წინათ შეკრიბეს და ადგილობრივ ჩემპიონატში (ერედივიზიონს უწოდებენ) ორი მატჩიც ჩაატარეს. პირველ შეხვედრაში დედაქალაქელებმა როტერდამს უმასპინძლეს და "გვალვიან" მატჩში 60:53 იმარჯვეს.

ეს ანგარიშიც ნათელჰყოფს, რომ "ამსტერდამის" მწვრთნელი **არიკ შივეკი** დიდ ყურადღებას უთმობს დაცვას. ამას "აზოტის" მწვრთნელი დავით უსტიაშვილიც გაითვალისწინებს.

...თუმცაღა, მეორე შეხვედრაში ამსტერდამელთა დაცვას მიწოდების სიმაღლემდე ბევრი უკლდა და სტუმრად "ვეეერისგან" 91 ქულა მიიღო, მატჩი ანგარიშით 91:88 დასრულდა.

ამ ორი მატჩის მიხედვით გამოიკვეთა "ამსტერდამისა" და წამყვანი მოთამაშეების ტრიო: **გიფსონი-რობერტსი-ჰასანენი**. ტედი გიბსონი კლუბის მთავარი გამთამაშებელია და სროლის სიზუსტე არ დაეწუნება. პირველ მატჩში 3-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და ორი საჯარიმო ჩააგდო (9 ქულა მიითვალა), ხოლო მეორე შეხვედრაში გუნდის სნაიპერი გახდა - 24 ქულა (9-დან 6 ორქულიანი, 7-დან 3 სამიანი და 5-და 3 საჯარიმო). გარდა 24 ქულისა, გიფსონის ანგარიშზე 8 მოხსნა და 4-4- ჩაჭრა პასია.

მოკლედ, **ლაშა გამყრელიძეს** ტედის წინააღმდეგ დიდი ყურადღება მართებს.

ჯერონ რობერტსმა მეორე მატჩი ჩააგდო, თუმცა პირველში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო - 15 ქულა, 7 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემა. იგი გამოცდილი კალათბურთელია, სექტემბერში ისრაელის ნაკრების მაისურით ევროპის ჩემპიონატიც ითამაშა.

თუმცა მოწინააღმდეგეც შეიძლება გამოინახოს სათანადო იარაღი - ეროვნული ნაკრების მცველი **ანატოლი ბოისა**.

ტანმაღალი **პეტერ ვან ჰასანენი** ასაკოვანი, შესაბამისად, ყველაზე გამოცდილი და სტაბილურიც. იგი "როტერდამთან" მატჩი 16 ქულით სნაიპერი გახდა, ხოლო "ვეერთან" 18 ქულა ჩააგდო (გიფსონს ჩამორჩა).

"ამსტერდამში" კიდევ ორი ამერიკელი თამაშობს, თუმცა სანყისი ორი მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი გუნდში ამინდს არ ქმნიან.

ერთ-ერთ "ჰოლანდიურ ვებ-გვერდზე ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდის დახასიათება გამოქვეყნდა. მათ შორის "აზოტის" მეტოქე "ამსტერდამისაც" გთავაზობთ შემოკლებულ თარგმანს:

"მწვრთნელი არიკ შივეკი და ტედი გიფსონი 2005 წელს ჰოლანდიის ჩემპიონები გახდნენ. მას მერე შივეკმა ბელგიურ "ანტვერპენს" მიაშურა და ჯერ ბელგიის თასი მოიპოვა, შემდეგ - თასი. გიბსონი გასულ სეზონში გერმანული ბუნდესლიგის "ჰადერბორნში", ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი იყო - 14.6 ქულას, 4:0 მოხსნასა და 3.6 პასს აგროვებდა. არანაკლებ ძლიერია ჰოლანდიის ნაკრების წევრი პეტრი ვან ჰასანენი. იგი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ნიდერლანდელების წამყვანი კალათბურთელი გახლდათ. სწორედ ჰასანენი უძღვებოდა "ამსტერდამს" გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონობისკენ, თუმცა ნახევარფინალურ სერიაში 2-3 დამარცხდა. ამ წელს ჰასანენს ფრაქვეშ დაეხმარებიან ახალწვეულები **ვეიტი** და **რენდემი**. გუნდში ირიცხებოდა ჰოლანდიის ნაკრების მეორე წევრი **შტეფან ვესელსიც**, რომლისგან მწვრთნელები ბევრს ელიან.

"ამსტერდამის" მთავარი პლუსი უკანა ხაზია: გიფსონი, შტეინი, რობერტსი და ტრენტი. გაებრაელებული ამერიკელ ჯერომ რობერტსს მეტსახელად "მექულე მანქანასაც" უწოდებენ.

გიორგი ცინცაძე

ცინცაძის ჩაჭრა და ოვერტაიმი

გალტინის ლიგაზე მეორე მატჩი გამართა **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა". ესტონეთის ჩემპიონებს სეზონის სახელოვნად დანყების კარგი შანსი ჰქონდათ, ჯერ "ჟალგირისს" უმასპინძლეს, შემდეგ - "შიაულიაის". მაგრამ როკერებმა ორივე მატჩი წააგეს.

კაუნასის "ჟალგირისთან" შეხვედრაზე სამი დღის წინათ გესაუბრეთ. "შიაულიაიმ" "როკი" დამატებით დროში 96:90 დაამარცხა.

გიორგი ცინცაძემ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და გადაწყვეტ მომენტებში შეუცვლელად ითამაშა. მეოთხე პერიოდის წინ ლიტველები 12 ქულის სხვაობით იგებდნენ და მასპინძლებს დიდი ოფლისღვრა მოუწიათ, რათა ძირითადი დროის დასრულებამდე ანგარიში გაეთანაბრებინათ. ამ საქმეში ლომის წილი გიორგიმ დაიდო: სირენამდე 23 წამით ადრე მეტოქეს შეტევა ჩაუჭრა, ბურთი გადააწოდა გერტ კულმაეს, რომელმაც ორი საჯარიმო ჩააგდო - 83:83. 5 წამით ადრე ბოლო მოხსნაც (დაცვაში) ცინცაძის ანგარიშზე იყო.

დამატებით დროში როკერებმა "შიაულიაის" ღირსეული წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და 7:13 დამარცხდნენ.

გიორგი ცინცაძემ 27 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 3-3 ჩაჭრა-პასით მიითვალა.

ამერიკის ჯორჯიიდან ევროპულ ჯორჯიაში

აზოტი ნეით უილიამსს იწვევს



ნეით უილიამსი

ევროპის ერთ-ერთ მთავარ საკალათბურთო საიტ "ევრობასკეტზე" გამოქვეყნდა ინფორმაცია რუსთავის "აზოტის" **ნეით უილიამსით** დაინტერესების შესახებ.

"სარწმუნო წყაროებიდან" მივიღეთ ინფორმაცია, რომ ევროთასზე მოასპარეზე "აზოტი" ნეით უილიამსის დამატებას აპირებს. იგი განიხილება გუნდის მთავარ ცენტრად, რადგან 210 სმ სიმაღლის კალათბურთელს საკმარისი გამოცდილება აქვს. კლუბის ხელმძღვანელები ნეითთან სატრანსფერო საკითხებით მოგვარებას უახლოეს მომავალში აპირებენ."

მკითხველს შევახსენებთ, რომ რუსთავში **იოვან სტეფანოვის** შესაძლო ჩამოსვლის ამბავიც "ევრობასკეტზე" დაიწერა და დღეს სერბი "აზოტის" სრულფასოვანი წევრია. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უილიამსიც ჩამოვა...

ვიდრე ამერიკელს უკეთ გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ იოვან სტეფანოვმა დუდუ დადიანის მემორიალის წარმატებით ჩატარების შემდეგ "აზოტთან" ერთნლიანი ხელშეკრულება გააფორმა. იგი რუსთაველებს ევროთასზე "ამსტერდამის" წინააღმდეგაც დაეხმარება და საქართველოს ჩემპიონატშიც.

ახლა უილიამსზე. მას 27 ნლის ასაკში ევროპის, აზიისა და ამერიკის 7 კლუბი აქვს მოვლილი. ჩიკაგოში დაბადებულმა, პოლიციის ოფიცრის ვაჟმა ნეითმა კარიერა ჯორჯიის შტატის კოლეჯში დაიწყო, საიდანაც 2004 ნელს ბერძნულ "მაკედონიკოსში" გადავიდა. ევროპიდან აზიაში, პეკინში აღმოჩნდა და ერთი ნელი ჩინეთში ითამაშა. აზიური ტურნეს შემდეგ უილიამსი ისევ ამერიკაში დაბრუნდა და ჯერ კოლეჯების ლიგაში "წმინდა ჯვრის" სასწავლებლის მაისურით ისპარეზა, შემდეგ - NBA-ს "განვითარების ლიგაში" "ფაიეტვილის" ღირსებას იცავდა. სამშობლოში ხშირად მონაწილეობდა წინასადრაფტო კემპებში, ვარჯიშობდა "ნიუ ორლეანშიც", მაგრამ NBA-ში ვერ მოხვდა. ამიტომ ისევ აზიისკენ გაეშურა და ჯერ ლიბანის "საგესში" ითამაშა, შემდეგ მეზობლად ისრაელის "აშქელონში" ჩაირიცხა. ამჟამად ნეით უილიამსი ამერიკაშია და მისთვის წინადადებებს ელის. იმედი დავიტოვოთ, რომ "აზოტი" მისთვის სასურველ პირობებს შესთავაზებს.

გუშინ, ახალი კალათბურთელის დამატების თაობაზე რუსთაველთა დამრიგებელ **დავით უსტიაშვილს** ვკითხეთ, თუმცა გადაჭრით საუბრისგან თავი შეიკავა - ჯერ არაფერია გარკვეული.

ვაჟა სიმონიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი საქართველოს ჩემპიონატი



მინდია ბოდაველს პრაღაში ტიტული ექნება დასაცავი

ვინ იჭიდავებს მსოფლიო ჩემპიონატზე

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი სამბოში, რომელმაც 7-9 ნოემბერს პრაღაში გასამართ მსოფლიო პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობა დააზუსტა. იქ გამოსვლის უფლება ადრევე მოიპოვეს **უშანგი კუზანაშვილმა** (52), **გელა ბარათაშვილმა** (57), **დავით სვიმონიშვილმა** (62), **მინდია ბოდაველმა** (90), **მირიან პავლიაშვილმა** (100) და **ზვიად ჩინჩალაძემ** (+100), ამ ტურნირის შემდეგ კი მათ **ნოდარ მჭედლიშვილი** (68) და **კახა მამულაშვილი** (74) დაემატნენ. ახლა გასარკვევი მხოლოდ 82 კილოგრამი წონითი კატეგორიის საკითხია, სადაც ნაკრებში მოხვედრაზე პრეტენზიას სამი ფალავანი აცხადებს. ეს საკითხიც უახლოეს ხანებში, შეკრებაზე გადაწყდება.

იმათგან ზოგიერთს, ვინც ადრევე გაინაღდა პრაღაში წასვლა, საქართველოს ჩემპიონატზე არ უჭიდავია, ხოლო ვინც იასპარეზა, იმათაც წონა არ დააკლებინეს და ზედა წონებში გამოიყვანეს.

ეს ჩემპიონატი ბოლო მოსამზადებელ ეტაპად იქცა სერბულ სომბორში გასამართი ჭაბუკებისა და ახალგაზრდების მსოფლიო პირველობისთვის, სადაც ჩვენი გუნდები 15 ოქტომბერს გაემგზავრებიან. ჭაბუკთა ნაკრებში იასპარეზებენ **გენადი მხეიძე** (48), **გენადი ჩირგაძე** (52), **ილია ტყეშელაშვილი** (56), **გიორგი ჩიტაშვილი** (60), **ბესიკ ბერულავა** (65), **ზურაბ დილებაშვილი** (70), **ირაკლი მერკვილაძე** (81), **გიორგი ბოლოთაშვილი** (87) და **მირიან გონჯილაშვილი** (+87); ახალგაზრდებში საქართველოს ღირსებას დაიცავენ **გიორგი გეჯაძე** (48), **თამაზ ნოზაძე** (52), **ნუკრი პავლიაშვილი** (57), **გიორგი ბახტაძე** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **გიორგი იაძე** (74), **დავით კარბელაშვილი** (82), **ლევან ღვინიაშვილი** (90), **ნუკრი ბადაშვილი** (100) და **ვახტანგ ზოიძე** (+100).

ირაკლი თავაძე

52 კგ.
1. ნუკრი გერაია (ფოთი)
2. ვასილ წიკლაური (თბილისი)
3. თამაზ ნოზაძე (ხაშური)
3. გენადი მხეიძე (ქუთაისი)

57 კგ.
1. დიმიტრი მულაძე (ხაშური)
2. ილია ტყეშელაშვილი (ქუთაისი)
3. გიგა თედიაშვილი (თბილისი)
3. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო)

62 კგ.
1. ლევან ქოჩიევი (თბილისი)
2. ბექა გუჩმაზაშვილი (გორი)
3. გელა ბარათაშვილი (ხაშური)
3. თამაზ სახვიაშვილი (ფოთი)

68 კგ.
1. ნოდარ მჭედლიშვილი (საგარეჯო)
2. ვალერი გიგიგერია (ფოთი)
3. გელა სანიკიძე (ქუთაისი)
3. გიორგი წიკლაური (მცხეთა)

74 კგ.
1. კახა მამულაშვილი (კასპი)
2. დავით გოდაველი (თბილისი)
3. ოთარ ახალაია (ზუგდიდი)
3. ივანე გერიძე (ფლთი)

82 კგ.
1. დავით გოგეჩიშვილი (საგარეჯო)
2. ოთარ ტატუნაშვილი (გორი)
3. გიორგი ფიცხელაური (ახალგორი)
3. ჭოთა ჯაფარიძე (თბილისი)

90 კგ.
1. გოდერძი ჯაფარიძე (ქუთაისი)
2. იასონ ნემსაძე (ქუთაისი)
3. გიორგი ცოცაშვილი (მცხეთა)
3. თეიმურ კაკოიშვილი (ზესტაფონი)

100 კგ.
1. მირიან პავლიაშვილი (მცხეთა)
2. იმედა გორგოძე (ზესტაფონი)
3. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა)
3. გიორგი ნაკაშიძე (ზესტაფონი)

+100 კგ.
1. ვახტანგ ზოიძე (აჭარა)
2. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი)
3. დიმიტრი ტურაშვილი (საგარეჯო)
3. გივი ტატანაშვილი (კასპი)

ხელბურთი ეროვნული ჩემპიონატი

მოთამაშეთა ცენტრალური მატჩის წინ

10 ოქტომბერი, თბილისი

სტუ/თელავი-ქუთაისი 44:17

სტუ-თელავი: გ. ტორონჯაძე, სამყურაშვილი, გოგალაძე (6), ქობელაშვილი (1), ა. ყიფიანი (13), ბერძენიშვილი (6), ზაალიშვილი (5), გ. კობახიძე (6), ი. ჩიქოვანი (7)

ქუთაისი: შიშინაშვილი, ნიქაბაძე, სიხარულიძე, დოლაკიძე (4), ნიკურაძე (4), გობეჯიშვილი (4), ჯავახაძე (1), თუთბერიძე (1), ადამია (1), ჩხეიძე (1), კიზირია, თათვიძე, ტულუში, ჯანაშია (1)

თბილისი-მამული 51:21

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, ი. ტორონჯაძე (5), ულენტი (3), ქარდავა (12), წივწივაძე (6), სამარღანიშვილი (2), ქირია (4), ღაღანიძე (1), ყაველაშვილი (2), მაისურაძე (14), გელაშვილი, ო. ქუთათელაძე (2)

მამული: ხონელიძე (1), ვახანია, ბიდოდაშვილი (4), ჩაჩანიძე (4), მ. ქუთათელაძე (5), თეთრუაშვილი (1), გველესიანი (1), კვერნაძე (1), კერესელიძე (4)

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

დღეს გასამართი მეორე წრის ცენტრალური მატჩისთვის, გუშინ სტუ-"თელავმაც" და "თბილისმაც" ერთგვარი მოთელვა გაიარეს. თუმცა, მათ ეს სხვადასხვანაირად გააკეთეს. თუკი "თელავი" მთავარ მწვრთნელ **ირაკლი კეკელიძის** გარეშე და ცხრაკაციანი შემადგენლობით ეთამაშა ქუთაისელებს, "თბილისმა" ასევე მთავარ მწვრთნელ **მამუკა მჟავანაძის** გარეშე, ოღონდ სრული შემადგენლობით გაანადგურა "მამული".

ვერ გეტყვით, "თელავის" შესუსტებული შემადგენლობის ბრალი იყო, ქვეყნის 17-გზის ჩემპიონებმა თავი არ გამოიდეს თუ "ქუთაისმა" ითამაშა ძლიერად, მაგრამ გამოუცდელმა რიონისპირელებმა პირველ ტაიმში ბევრი იბრძოლეს და ძალიანაც არ დაჩაგვრინეს თავი მრისხანე მეტოქეს. თუმცა, მეორე ტაიმში, "ტექნიკოსთა" კლასმა მაინც თავისი გაიტანა და სტუ-მ დიდი ანგარიშით იმარჯვა.

საერთოდ, "ქუთაისი" უდავოდ პერსპექტიული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ სამი სერიოზული ნაკლი აქვს: გამოუცდელობა, შეუთამაშებლობა და ფიზიკურად ძლიერ მეტოქეებთან ხისტად თამაშის შიში. თუმცა, სამივე ხარვეზი ნამდვილად გამოსწორებადია - უბრალოდ, დრო სჭირდება.

სტუ-"თელავმა" პირველ ტაიმში აშკარად **ამირან ყიფიანზე** ითამაშა, რომელიც ბომბარდირთა დავაში გვარიანად წინაა გაჭრილი და მისი თანაგუნდელები ცდილობენ, მდევართათვის მთლად მიუწვდომელი გახადონ. საკმარისია, მეტოქემ შეტევაში ბურთი დაკარგოს, რომ ამირანი უმალ ელვასავით მოწყდება ხოლმე ადგილს, წინ გაიჭრება და თანაგუნდელთაგან მიღებული პასით პირისპირ რჩება მეკარესთან. გუშინაც 13 გოლიდან, 12 ასეთ სიტუაციაში გაიტანა. ერთხელ კი საკუთარ კართან მოიპოვა ბურთი, სწრაფად გაირბინა ნახევარი მოედანი, თანაგუნდელთან "კედელი" გაითამაშა და კუთხიდან ეფექტური გოლი შეაგდო. მოკლედ, მართალია, ჯერ სეზონის ნახევარიც არ მილეულა, მაგრამ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ყიფიანს აქედანვე შეიძლება მივულოცოთ უპირველესი ბომბარდირის ტიტული...

"მამულის" საკადრო პრობლემებს კი ბოლო არ უჩანს. წინა ტურისგან განსხვავებით, გუნდის თავკაც **რეზო ჭანტურიას** განკარგულებაში ორივე მეკარე იყო, მაგრამ მოედნის მოთამაშეები შვიდზე მეტი არ ჰყავდა. მეორე ტაიმში, როდესაც მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის წითელი ბარათები მიიღეს **კვერნაძემ** და **თეთრუაშვილმა**, გაჩნდა საშიშროება, რომ ბოლო 12 წუთი "მამულს" კაცნაკლულად ეთამაშა. ამიტომაც, მეშვიდე მოთამაშის მისია იკისრა მეკარე **ალექსანდრე ხონელიძემ**. სხვათა შორის, შარშანდელ სეზონში, მას საკუთარი კარიდან აქვს გოლი გატანილი, გუშინ კი თამაშიდანაც შეაგდო. ისე, მისმა დუბლიორმა **ვახანიამაც** სცადა ერთ მომენტში თამაშში ჩართვა, ცენტრამდეც მიირბინა, მაგრამ ვეღარ გარისკა - თანაგუნდელს მისცა პასი და კარს დაუბრუნდა...

დანარჩენზე სალაპარაკო თითქმის არაფერია. ანგარიში რეალურად ასახავს "თბილისსა" და "მამულს" შორის ძალთა თანაფარდობას.

კვერნაძისა და თეთრუაშვილის წითელი ბარათები კი იმას ნიშნავს, რომ დღეს, "მამული" მათ გარეშე ეთამაშება უშუალო კონკურენტ "ქუთაისს". ისედაც საკადრო პრობლემებით განამებულ მამულელებს ძალიან რთული ბრძოლა ელით...

ყველაზე დიდ ინტერესს კი "თბილისი" - სტუ-"თელავის" მატჩი იწვევს. პირველ წრეში, "თელავმა" უშანსოდ დაამარცხა მთავარი კონკურენტი. ვნახოთ, დღეს ვის მხარეს გადაიხრება სასწორი...

კობა ხატისაშვილი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
სტუ-თელავი	5	5	0	0	+114	10
თბილისი	5	4	0	1	+113	8
მამული	5	1	0	4	-93	2
ქუთაისი	5	0	0	5	-134	0

ბომბარდირები: **ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი - 80), ვანო ქარდავა (თბილისი - 47), გიორგი წივწივაძე (თბილისი - 45)**

დღეს:

მამული-ქუთაისი 13:00 (ასკ)

თბილისი-სტუ/თელავი 14:30 (ასკ)

ჭიდრაკი

10 ოქტომბერი, ჭადრაკის დღე



ჭადრაკის სასახლე. ზურაბ აზმაიფარაშვილის ერთდროული სეანსი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

იუდბურთი

ტატიშვილმა გერმანელთან წააგო

გუშინ, 17 წლის **ანა ტატიშვილმა** სან ფრანცისკოს საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) პირველ წრეში გერმანელ ვეტერან **ანგელიკა როიშთან** წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა. მატჩი სამსეტიანი გამოდგა, პირველ სეტში ტატიშვილმა ტაი-ბრეიკი წააგო 3:7. მეორეში ანას უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ საბოლოოდ მან მესამე სეტში მაინც დათმო ერთი გადამწვეტი გეიმი საკუთარ მოწოდებაზე - 6:7, 6:2, 4:6. როიში მერვედფინალში ინდოელ სუნიტა რაოს შეხვდება. სამწუხარო ფაქტია - ანას ტურნირებში ივლისის მერე აღარ მოუგია.

ნ. ნ.

BTA Silk Road Bank
ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE
LOYALCAPITAL group

მერაბ ანთაძე

მალხაზ ჭეიშვილი, დავით ნამგალაური

კოკა ლაზიშვილი

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲝᲗᲮᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲚᲘᲡ

ᲙᲐᲤᲔ "მსოფლიო სპორტში" საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ მსოფლიოს თასის გათამაშებიდან ჩვენი ნაკრების დაბრუნების შემდეგ, პირველი პრესკონფერენცია გამართა. ქართველი ბორჯღალოსნების საფრანგეთში გამოსვლა, მათთან ერთად სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმაც შეაფასა და სახელმწიფოს მხრიდან სამომავლოდ დახმარების თაობაზეც ისაუბრა.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲐᲣᲠᲘ,

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

- ქართველი მორაგბეების გამოსვლა, სპორტის სათამაშო სახეობებში უარეცედენტო მოვლენა იყო. ნილად მხვდა ბედნიერება, ჩვენი ნაკრების ბოლო შეხვედრას დავსწრებოდი მარსელში. მონაწილე გავხდი ყველა იმ პროცესისა რაც თამაშს წინ უძღოდა. მატჩისთვის მზადება, ტრავმები, ბიჭების საბრძოლო განწყობა ჩემში ფანტასტიკურ ემოციებს ინვევდა. აქვე არ მინდა ხაზი არ გავუსვა თუ რა თავდადებით, მუხლმოუხრელად შრომობდნენ ჩვენი გუნდის მწვრთნელები.

ირლანდიის თამაშის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა რაგბის შემდგომი განვითარებისთვის სახლმწიფოს დახმარების თაობაზე ისაუბრა. შეიქმნა რამდენიმე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი სარაგბო კერების შექმნას და არსებულის განახლებას. სათამაშო და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებას. ასევე ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი დახმარება განვითარების სხვა მიმართულებებისათვის. ეს იქნება მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლება, ეროვნული ჩემპიონატის დონის ამაღლება. ყოველივე ამაში სახელმწიფო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

არ გამოვრიცხავთ, რომ თავისი დახმარების წილი გაზარდოს საერთაშორისო ფედერაციამაც. ასე რომ, წინ რაგბის სამყაროს ძალიან საინტერესო ოთხწლიანი ციკლი ელოდება.

მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მორაგბეს, მწვრთნელებს, რომ რაგბი საქართველოში მათი უდიდესი ღვაწლის გამო პრიორიტეტული სახეობა გახდა. ამისთვის ყველა მზად ვიყავით, ველოდებოდით, იმედი გვქონდა, რომ საფრანგეთში ბორჯღალოსნები თავს არ შეირცხვენდნენ

ᲛᲐᲚᲮᲐᲖ ᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

- მსოფლიოს თასის გათამაშება უდიდესი დღესასწაული იყო. ყველამ, ნაკრების თითოეულმა წევრმა უდიდესი შრომა გასწია. მაგრამ, ისტორიის ეს ფურცელი უკვე დაიწერა, ახლა ახლის დაწერაა საჭირო.

ერთი თვის თავზე, თბილისში პორტუგალიასთან ერთა თასის შეხვედრა გვაქვს გასამართი. ვეცდებით, უამრავი პრობლემური საკითხის მიუხედავად, ნაკრებში ყველა იმ მორაგბეს მოვუყაროთ თავი, ვინც მსოფლიო თასზე ისპარეზა. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ პორტუგალიელები, რომლებმაც ასევე კარგად წარმოაჩინეს თავი მსოფლიო თასზე, აუცილებლად უნდა დავამარცხოთ.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲐᲜᲗᲐᲫᲔ,

რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

- საქართველოს ნაკრების გამოსვლა მსოფლიო თასზე მოულოდნელი სიურპრიზი იყო ძალიან ბევრისთვის, მათ შორის რაგბის საერთაშორისო საბჭოს ხელმძღვანელობისთვის. იმედი გვაქვს, რომ ამის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება ჩვენს სასიკეთოდ.

ქართველი მორაგბეების გამოსვლა წარმატებადაა შეფასებული. ჩვენი ბიჭების კარგმა თამაშმა დიდი სარაგბო მუხტი შემოიტანა ქვეყანაში. რაგბის კავშირმა, მწვრთნელებმა, მოთამაშეებმა სახელმწიფოს ფინანსური დახმარების წყალობით ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მაღალი დონის თამაშები ეჩვენებინათ საფრანგეთში.

წინ, საკმაოდ სერიოზული გეგმები გვაქვს. ამოქმედდება რამდენიმე პროექტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ იქნება ორგანიზებული. თავის მხრივ რაგბის კავშირი საკუთარ პროექტებსაც განახორციელებს, რაც, იმედი მაქვს, ქართული რაგბის განვითარებას მძლავრ ბიძგს მისცემს.

ᲙᲝᲙᲐ ᲚᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი:

- 15-16 ოქტომბერს პარიზში IRB-ის გენერალური ასამბლეა გაიმართება, სადაც ძალიან ბევრ სიახლეს ჩაეყრება საფუძველი. IRB-ის ჩაფიქრებული აქვს მსოფლიო თასის მონაწილე გუნდების რაოდენობა თექვსმეტამდე შეამციროს. ცხადია, ჩვენ, რუმინეთი, კუნძულელები და სხვა ქვეყნებიც ამის წინააღმდეგ გავილაშქრებთ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ ამას მარტო ჩვენი ძალისხმევა არ ეყოფა. ზელანდია მზად არაა, 20 გუნდი მიიღოს. ვნახოთ, საბოლოოდ რას გადაწყვეტენ.

არგენტინასთან პირველი ტაიმის შემდეგ IRB-ის შეფი სიდ მილარი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ჩვენი გუნდის თამაშით. ჩემ წინ იჯდა, მომიბრუნდა და მითხრა, ეს თამაში რა ანგარიშითაც არ უნდა დამთავრდეს, ის რაც ახლა ტაბლოზეა გამოსახული, უკვე ფურორიაო. ირლანდიასთან თამაშის შემდეგ კი IRB-ის დიდმოხელეებს აშკარად დაბნეულობა ეტყობოდათ.

მსოფლიო თასის წინ მათ გვითხრეს - ვნახოთ, როგორ გამოხვალთ მსოფლიო თასზე და ამის მიხედვით მეორე დონის გუნდად თქვენი გადაყვანის საკითხს გადავხედავთო. რატომღაც ამ თემის შესახებ არაფერი არ ისმის. ეტყობა დარწმუნებული იყვნენ, ჩვენს წარუმატებლობაში და ამიტომაც დაგვპირდნენ. ახლა კი ფაქტის წინაშე რომ დადგნენ, აღარ იციან რა ქნან. IRB-ში ახლა დიდი ფორიაქია. ასამბლეაზე ალბათ ამ თემასაც წამოვწევთ. ვნახოთ, დაახლოებით ერთ კვირაში ალბათ ბევრი საინტერესო სიახლე გვექნება.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲝᲪᲓᲐᲞᲠᲘ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ-ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

13 ᲝᲥᲢ, 23:00, ᲡᲔᲜ ᲓᲔᲜᲘ

ᲡᲐᲤ: 15. დამიენ ტრაი 14. ვენსან კლერი 13. დავიდ მარტი 12. იანიკ ჯოზიონი 11. სედრიკ ემონსი 10. ლიონელ ბოსი 9. ჟან-ბატისტ ელისალდი; 1. ოლივიე მილუ 2. რაფაელ იბანესი (კაპ) 3. პიერ დევილიე 4. ფაბიენ პელუ 5. ჟერომ თიონი 6. სერჟ ბეტსენი 7. ტიერი დუზოტუარი 8. ჟულიენ ბონერი / 16. დიმიტრი მარჟევსკი 17. ჟან-ბატისტ პუ 18. სებასტიან შაბალი 19. იმანოლ არინორდოკი; 20. ფრედერიკ მიშალაკი 21. კლემან პუატრენო 22. ქრისტოფ დომინისი

ᲘᲜᲒ: 15. ჯეისონ რობინსონი 14. პოლ საკი 13. მეთიუ ტეიტი 12. მაიკ ქეთი 11. ჯოშ ლუსი 10. ჯონი ვილკინსონი 9. ენდი გომერსოლი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. ფილ ვიკერი (კაპ) 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. მარტინ ქორი 7. ლუის მუდი 8. ნიკ ისტერი / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. ლოურენს დალალიო 19. ჯო ვორსლი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ტობი ფლუდი 22. დან ჰიპკისი



ბერნარ ლაპორტი

ბრაიან ეშტონი

ზემ პირველი ნახევარფინალია და ორივე გუნდის შემადგენლობა უკვე ცნობილია. არცერთმა მწვრთნელმა, **ბერნარ ლაპორტმა** და **ბრაიან ეშტონმა**, აუტკივარი თავი არ აიტკია და მეოთხედფინალების მომგები რაზმები უცვლელი დატოვა. არცერთი ცვლილება არაა!

მოელოდნენ, რომ ლაპორტი გამოცვლიდა **ლიონელ ბოსის**, რომელმაც ზელანდიასთან არცთუ კარგად ითამაშა. მისმა შემცვლელმა **ფრედერიკ მიშალაკმა** "ოლ ბლექსთან" მყისვე, პირველივე ბურთის მიღებისთანავე გამოაცხო თამაშის მომგები ღელო, მაგრამ, როგორც ჩანს, მწვრთნელს მიშალაკი ისევ "გარდამტეხ მოთამაშედ" ჰყავს შეგულებული.

საეჭვო კიდევ ორი კაცის თამაში იყო. **იანიკ ჯოზიონს** თვალი ჰქონდა დასიებული, ხოლო **სერჟ ბეტსენმა** ზელანდიას მატჩის დასაწყისშივე მკერდში მიიღო დარტყმა და კინაღამ ენა გადაყლაპა. ახლა ორივე ჯანსაღადაა.

ეს ორი გუნდი წინა მსოფლიო თასზეც ნახევარფინალში შეხვდა ერთმანეთს. წინა 5 მატჩის მიხედვით, ფავორიტად ბევრი საფრანგეთს მიიჩნევდა, თუმცა, სიდნეიში კოკისპირული ნვიმა მოვიდა - ფრანგებმა თამაში ვერ გაშალეს, ხოლო მიშალაკმა, რომელიც მანამდე **ჯონი ვილკინსონს** ბომბარდირობას ეცილებოდა, ყველაფერი ააცილა. შედეგად, ინგლისმა უპრობლემოდ, 24:7 მოიგო.

წინა ორი თამაშის მოკლე ისტორია ასეთია: 1991 წელს შეჯიბრების მთავარი მასპინძელი ინგლისი იყო, თუმცა ფრანგები ჯგუფის მატჩებსა და მეოთხედფინალს შინ თამაშობდნენ. ინგლისმა ჯგუფში ზელანდიასთან წააგო, რის გამოც მეოთხედფინალში ფრანგებს პარიზში, "პარკ დე პრენსზე" ეწვია და 19:10 მოუგო. ფრანგებმა რევანში ოთხი წლის შემდეგ, პრეტორიაში აიღეს - მესამე ადგილისთვის მატჩში 19:9 დაამარცხეს მეტოქე.

მეორე ნახევარფინალი ერთი დღის შემდეგ გაიმართება იმავე სტადიონზე, სენ დენიში. არგენტინისა და სამხრეთი აფრიკის შემადგენლობები ალბათ დღეს გვეცოდინება.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საკრამენტოს დანაკლისი აქვს

"საკრამენტო კინგზს" დებიუტანტი **სპენსერ ჰეიესი** გამოაკლდა. ახალწვეულმა საწვრთნელ შეკრებაზე მუხლი დაიზიანა და მას უახლოეს დღეებში ართროსკოპიულ ოპერაციას გაუკეთებენ.

"მეფეებმა" 19 წლის ცენტრალური თავდამხსმელი წლევანდელი დრაფტის მე-10 ნომრად აირჩიეს.

პექერმა ტაუ ბეშიქთაშზე გაცვალა

თურქეთის ნაკრების ფორვარდმა **ქაია პექერმა** ორმხრივი შეთანხმების თანახმად, კონტრაქტი გაწყვიტა ესპანურ "ტაუგრესთან". თურქი დიდი ხანი არ დარჩენილა უმუშევარი და მან "ბეშიქთაშთან" გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება.

შარშან, ევროლიგის გათამაშებაში, ფექერმა 22 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.6 ქულა და 3.6 მოხსნა დააგროვა.

სერბი გიგანტი პარტიზანში გადავიდა

მსოფლიო კალათბურთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ცენტრალური თავდამსხმელი, სერბი **სლავკო ვრანიეში** (24 წლის, 229 სმ) ბელგრადის "პარტიზანის" შემადგენლობაში ჩაირიცხა - იუწყება ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდი.

ამ გიგანტმა ბოლო სამი სეზონი ჩერნოგორიის "ბუდუჩნოსტში" გაატარა. აღსანიშნავია, რომ ვრანიეში 2003 წელს, "ნიუ იორკ ნიქსმა" დრაფტის 39-ე ნომრად აირჩია.

ნიუ ჯერსის მცველი დაუშავდა

ტრავმა მიიღო "ნიუ ჯერსი ნეტსის" მცველმა **ბერნარდ რობინსონმა**. კალათბურთელმა მარცხენა მუხლის მყესი გაიწყვიტა და ექიმების ვარაუდით, საკმაო ხანი მოუწევს მკურნალობა.

რობინსონი "ნეტსის" სათადარიგო კალათბურთელია. მცველმა ბოლო სამი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 128 მატჩი ჩაატარა და სტატისტიკური მონაგარიც მოკრძალებული ჰქონდა - 4.6 ქულა და 2.6 მოხსნა.

მემფისმა უნიკახასთან წააგო

ევროპულ ტურნეში მყოფი NBA-ის ხუთი გუნდიდან, "მემფის გრიზლისი" გახდა პირველი, რომელმაც ძველი კონტინენტის წარმომადგენელთან წააგო. "მემფისის" რიგებში ორი ესპანელი, **პაუ გასოლი** და **ხუან-კარლოს ნავარო** ირიცხებიან. ამიტომაც ლოგიკური იყო, რომ ეს გუნდი ესპანეთში დაბანაკდა.

"გრიზლისმა" პირველი შეხვედრა მალაგაში, ადგილობრივ "უნიკახასთან" ჩაატარა და 99:102 (21:18, 21:29, 29:23, 28:32) დამარცხდა.

მემფისელთა მხრიდან საუკეთესოები სწორედ ესპანელი ლეგიონერები იყვნენ. ნავარომ 21 ქულა გააკეთა, ხოლო გასოლმა 18 ქულას 10 მოხსნა და 4 დაფარებაც დაუმატა.

"უნიკახას" გამარჯვება კი, ხორვატი **დავორ კუსისა** (20 ქულა) და **მარკუს ჰეისლიპის** (18) კარგმა თამაშმა განაპირობა.

"მემფისი" მომდევნო მატჩს "ესტუდიანტესთან" გამართავს და შემდეგ ამერიკაში დაბრუნდება.

ქრის ბოში ტრავმირებულია

ევროპაში იმყოფება "ტორონტო რეპტორზიც". ამ გუნდის ლიდერმა **ქრის ბოშმა** იტალიის "ვირტუსთან" მატჩში მუხლი დაიზიანა და ამის გამო, დროებით ჩამოშორდა საწვრთნელ პროცესს.

"ექიმებმა პაუზის აღება მირჩიეს. მეტოქეთა მიმართ უპატივცემულობაში ვერავინ დამადანაშაულებს, უბრალოდ, მცირე ტრავმა მაქვს და ამის გამო ვერ გავდივარ მოედანზე", - განაცხადა ბოშმა.

ამერიკის ნაკრების ფორვარდმა "ვირტუსს" ყველაზე მეტი, 23 ქულა ჩაუგდო, თუმცა ბოში დღეს, მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

ველოსპორტი

პერეირომ ყვითელი მაისურა ჩაიბარა

სამშაბათს, მადრიდში საეციალური ცერემონია ჩატარდა, სადაც ესპანელ ველომრბოლს **ოსკარ პერეიროს** ოფიციალურად გადაეცა 2006 წლის "ტურ დე ფრანსის" ყვითელი მაისურა. ეს იმას ნიშნავს, შარშანდელი რბოლის გამარჯვებული არა ამერიკელი **ფლოიდ ლენდისი**, არამედ პერეირო გახლავთ.

ესპანელს მაისურა ტურის საორგანაზაციო კომიტეტის დირექტორმა **კრისტიან პრიუდომმა** გადასცა.

შეგახსენებთ, რომ 2006 წელს, "ტურ დე ფრანსის" საერთო ჩათვლა **ფლოიდ ლენდისმა** მოიგო, ხოლო პერეირო მეორე ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ, ამერიკელი დოპინგის მიღებაში ამხილეს. ლენდისმა ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლა, მაგრამ საქმე წააგო და მისი ტიტული პერეიროს გადაეცა.

ასე რომ, ბოლო ორი ტური ესპანელი ველომრბოლების ტრიუმფით დასრულდა. როგორც იცით, წლეულს საფრანგეთის გზებზე **ალბერტო კონტადორმა** მოიპოვა გამარჯვება.



ოსკარ პერეირო

მერიონ ჯონსი

დოპინგი

ჯონსის საქმე

გასულ კვირას, სიდნეის ოლიმპიადის სამგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა მერიონ ჯონსმა დოპინგის გამოყენება აღიარა. მერიონის გამო ეჭვი უკვე დიდი ხანია არსებობდა და სპრინტერის ისტორია შვიდი წელიწადია გაგრძელდა. თავის დროზე, ის დოპინგის მიღებაში თავისმა ყოფილმა მეუღლემ, აგრეთვე ცნობილი ლაბორატორია BALCO-ს დამაარსებელმა დაადანაშაულეს, მაგრამ სპრინტერი ყოველთვის ახერხებდა თავის მართლებას. ბოლოს კი, ამ საქმეს ნათელი თავად ჯონსმა მოჰფინა, რომელმაც აღიარა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე რეგულარულად იღებდა აკრძალულ პრეპარატებს. ამის გამო, მძლეოსანს 2000 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული ხუთივე მედლის დაბრუნება მოუხდა.

მერიონ ჯონსს წარდგენა არ სჭირდება. სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ხუთი მედალი თავად მეტყველებს ყველაფერზე. გრძელფეხება კალიფორნიელმა მოიგო ორი სპრინტერული დისტანცია, აშშ-ის ნაკრებს დაეხმარა ორ ესტაფეტაში მედლების მოპოვებაში და დესერტად ბრინჯაოს მედალი მიიღო სიგრძეზე ხტომაში. მას 2000 წლის თამაშების მთავარ გმირად მოიხსენიებდნენ. მაგრამ უკვე მაშინ, შავკანიანი ლამაზმანის ფენომენალურმა შედეგებმა ზოგიერთი ექსპერტის ეჭვი გამოინვია. უფრო ზუსტად, არა გამარჯვებების ფაქტმა (ჯონსი სპრინტში 1997 და 1999 წლების მსოფლიო ჩემპიონი და აღიარებული ფავორიტი იყო), არამედ იმან, რაც მერიონის გარშემო ხდებოდა.

მერიონის მაშინდელი ქმარი, ამერიკელი ბირთვის მკვრელი **სი-ჯეი ჰანტერი** დოპინგზე პირდაპირ სიდნეიში გამოიჭირეს. 200-კილოგრამიანი სი-ჯეის ორგანიზმში ნანდროლონის ისეთი დოზა აღმოაჩინეს, რომელიც ათასჯერ აღემატებოდა დაშვებულ ნორმას. ჰანტერმა არა ერთი ან ორი, არამედ ზედიზედ ოთხი დოპინგ-ტესტი ჩააგდო.

ასეთი შედეგების შემდეგ, მსგავს შემთხვევებში მიღებული სტანდარტული პასუხები ("აფთიაქში წამლის შეძენისას შეცდომა დაუშვი", "მტრებმა საკვებში დოპინგი შეურიეს" და ა.შ.) აღარ გამოდგებოდა და ჰანტერის კარიერა მილიონობით მაყურებლის თვალწინ დაიმსხვრა. და სწორედ ამ დროს, მისი სექსუალური მეუღლე მედლებს აგროვებდა, პრესკონფერენციებზე იღიმებოდა, სწორ სიტყვებს არჩევდა მეუღლის მხარდასაჭერად და თავი ისე ეჭირა, რომ მის დოპინგის მიღებაში დადანაშაულებას მხოლოდ გიჟი თუ გაბედავდა.

ამის შემდეგ, მერიონი პროფილაქტიკური მიზნით უბედურ, მთელი მსოფლიოს მიერ გაკიცხულ ბირთვის მკვრელს გაეყარა. დოპინგში გასვრილ მეუღლეს ჯონსი ისე სწრაფად გაექცა, რომ მსოფლიოში ყველაზე სწრაფ მამაკაცს - 100 მეტრზე მაშინდელ მსოფლიო რეკორდსმენ **ტიმ მონტგომერის** დაეწია. ვარსკვლავურმა წყვილმა ცხოვრება ააწყო. მათ შვილი შეეძინათ და თან მშვიდად ემზადებოდნენ ათენის ოლიმპიადისთვის. და უცებ, ატყდა სკანდალი, რომელიც იატაკქვეშა ლაბორატორია BALCO-სა და მის სუპერსტეროიდ THG-ს უკავშირდებოდა (ეს ამბავი 2003 წლის შემოდგომაზე მოხდა). როგორც აღმოჩნდა, BALCO-ს დამაარსებელს, გენიალურ დოპინგ-ოსტატს **ვიქტორ კონტეს** მყარი კავშირები ჰქონია ჯონსთან და მის ორივე მამაკაცთან. ამის შედეგად, მონტგომერი პირველი ემსხვერპლა ამ სკანდალს - რეკორდებიც დაკარგა და მთლიანად კარიერაც.

აი ასე არ უმართლებდა მერიონ ჯონსს ქმრებსა და ბოიფრენდებში. ამას დაემატა ისიც, რომ სი-ჯეი ჰანტერმა პრესაში განაცხადა - მერიონიც ჩემთან ერთად იღებდა დოპინგს და შესანიშნავად იცოდა, რასაც აკეთებდაო. მაშინ, ჯონსის ადვოკატებმა ჰანტერს ეჭვიანი ქმარი და ქრონიკული მატყუარა უწოდეს და ყველას შეახსენეს, რომ მერიონს არასოდეს ჩაუგდია დოპინგ-ტესტი. მოკლედ, ჯონსი ამჯერადაც გადარჩა.

უფრო რთული აღმოჩნდა კონტეს განცხადებების გაქარწყლება. "ქიმიკოსმა" ჰანტერის სიტყვები დაადასტურა და განაცხადა, რომ თავად აწვდიდა ჯონსს დოპინგს და ზრდის ჰორმონებს და თავად ადევნებდა თვალს, თუ როგორ შეჰყავდა მერიონს შპრიცით ეს ნივთიერებები საკუთარ ორგანიზმში. ჯონსმა კონტეს ტყუილისთვის სასამართლოში უჩივლა და რადგან ნივთიერი მტკიცებულებები არ არსებობდა, საქმემ განვითარება ვერ ჰპოვა.

თავად მერიონმა, BALCO-ს საქმის გამოძიებით დაკავებულ ფედერალურ აგენტებს დაკითხვისას განუცხადა, რომ ცხოვრებაში არასოდეს გამოუყენებია დოპინგი. იგივე განაცხადა მან ფართო აუდიტორიის წინაშე. მაგრამ ამავდროულად, მერიონის სპორტული შედეგები შესამჩნევად გაუარესდა. საბოლოოდ, ის ათენში მხოლოდ სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტებში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა და საბერძნეთიდან მედლების გარეშე დაბრუნდა.

და აი, ფინალური აქტი. გასულ კვირას, 5 ოქტომბერს, სასამართლოს დარბაზიდან გამოსულმა მერიონმა, საქვეყნოდ აღიარა, რომ მთელი ეს წლები სისტემატიურად და ურცხვად იტყუებოდა.

ჯონსმა დოპინგის მიღება სინდისის ქენჯნის გამო არ აღიარა. საქმე ისაა, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ის სისხლის სამართლის სხვა საქმეზე გამოიჭირა. მერიონი მეუღლის, ტიმ მონტგომერის უნებლიე პარტნიორი გახდა და პასიურ მონაწილეობას იღებდა ფულის გათეთრებაში. აგენტებს აღმოაჩნდათ იმის მტკიცებულება, რომ ჯონსი ამ საქმესთან დაკავშირებით ცრუ ჩვენებებს იძლეოდა, რის შემდეგაც, მძლეოსანს ყველაფრის აღიარება მოუწია. მოგეხსენებათ, რომ ბრალის აღიარებას განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებენ.

აი, აქ სრულდება ეს ისტორია. რა იქნება შემდეგ? ჯონსს მაქსიმუმ ექვსთვიანი პატიმრობა ელის, რომელიც შეიძლება პირობითი სასჯელით ან შინაპატიმრობით შეეცვალოს. ბუნებრივია, სპორტსმენის კარიერა დასრულებულია, სიდნეიში მოპოვებული მედლები კი, ჩამორთმეული. სხვათა შორის, ამ მედლებთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დიდი თავსატეხი გაუჩნდა.

სიდნეიში 100 მეტრზე ოქროს მედალი ბერძენ **კატერინ ტანუს** უნდა გადაეცეს, მაგრამ ეს სპრინტერი თავად გახდა ოთხი წლის შემდეგ, ათენში ხმაურიანი დოპინგ-სკანდალის ერთ-ერთი მთავარი გმირი. ასე რომ, სოკ-ის პრეზიდენტი **ჟაკ როგე** დიდი დილემის წინაშეა და მისი ნამდვილად არ გვშურს. სამაგიეროდ, სასიამოვნო ფაქტია, რომ უბერებელი იამაიკელ-სლოვენიელი სპრინტერი **მერლინ ოტი** კიდევ ერთ ოლიმპიურ მედალს (ბრინჯაო) მიიღებს.

ასევე გაურკვეველია, როგორ მოიქცევიან ესტაფეტების შემთხვევაში - მედალი პერსონალურად მხოლოდ უნდა ჯონსს ჩამოართვან თუ მთლიანად ამერიკის ნაკრებს?

პეკინის ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე, ამერიკის ოლიმპიური კომიტეტი ზუსტად იგივე პროცედურას გადის, რასაც ოთხი წლის წინ ჰქონდა ადგილი. მაშინ, ათენის თამაშების წინ, მკაცრად ებრძოდნენ BALCO-ს სკანდალის მონაწილეებს. ეს ერთგვარი სულიერი განწმენდა იყო და ამის წყალობით, აშშ-ის ნაკრებმა ათენიდან 100-ზე მეტი მედალი წამოიღო და არცერთ დოპინგ-სკანდალში არ ყოფილა შემჩნეული.

ერთი თვის წინათ, იატაკქვეშა ლაბორატორიების წინააღმდეგ მიტანილი იერიშით და მერიონ ჯონსის ისტორიით, ამერიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სურს ყველას დაანახოს თუ რა მოელის იმას, ვინც არაპატიოსან თამაშში იქნება შემჩნეული. მაგრამ სხვა საკითხია, ექნება თუ არა ამას რაიმე შედეგი? ჯონსის ისტორია იმასაც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ დოპინგთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია. ხომ გაიარა მერიონმა ტესტი სიდნეიში და მას ვერაფერი აღმოუჩინეს?! რომ არა შვიდი წლის შემდეგ მისი აღიარება, ვერავინ გაიგებდა, რომ ის დოპინგს იღებდა და ჯონსი მთელი მსოფლიოს თვალში კვლავაც დიდი ჩემპიონი იქნებოდა.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კაროლინამ კარგად დაიწყო

ᲤᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 1:7

1:2, 0:2, 0:3

გოლები: 1:0 მაკეიბი-1 (სუნდინი-6, ტ. კაბერლე-1), 1:1 ჯას. უილიამსი-1 (ბრინდამორი-3), 1:2 სტილმანი-1 (რეი უიტნი-2, კულენი-1), 1:3 კულენი-1 (სტილმანი-1, ბრინდამორი-4), 1:4 რეი უიტნი-1 (კულენი-2, ს. უოკერი-2), 1:5 ს. უოკერი-1 (ე. კოული-2, ჯას. უილიამსი-3), 1:6 ჯ. ჰემილტონი-2 (ჯას. უილიამსი-4, ე. სტაალი-1), 1:7 ე. სტაალი-4 (საიდენბერგი-2, სტილმანი-2).

"ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ ᲰᲐᲠᲘᲙᲔᲘᲜᲖᲘ" 2006 წლის სტენლის თასის მფლობელია, მაგრამ გასულ სეზონში ძალიან ცუდად ითამაშა და ჩემპიონის სტატუსის მქონე გუნდმა, პლეიოფში გასვლაც კი ვერ შეძლო.

წლეულს, "კაროლინას" შარშანდელი გაუგებრობის გამოსწორება აქვს განზრახული და გუნდმა ახალი სეზონი მძლავრად დაიწყო. ამის დამადასტურებელია სტუმრად "ტორონტოს" განადგურება. ამ მატჩში, "კაროლინას" ყველა ლიდერს გამოუვიდა თამაში. კარგად გამოიყურებოდა კლუბის ახალწვეული **მეტ კულენი,** რომელიც წლეულს "რეინჯერსიდან" გადავიდა "ჰარიკეინზში" და გუშინ, თავის ახალ გუნდს სამი ქულით შეეშველა.

იგივე შედეგი აჩვენა **კორი სტილმანმა**. ამ ჰოკეისტმა სასტარტო სამი მატჩი ავტოავარიის გამო გამოტოვა და შედეგიანად დაუბრუნდა ყინულს.

მატს სუნდინი და მეტ კულენი

"ტორონტოს" რიგებში ვინმეს გამოყოფა ძნელია, მაგრამ აუცილებლად უნდა ვახსენოთ "მეიპლ ლივზის" კაპიტანი **მატს სუნდინი.** ვეტერანმა შვედმა ერთი საგოლე პასი გააკეთა, რითაც კარიერაში 916 ქულა დაუგროვდა. შესაბამისად, სუნდინი გაუთანაბრდა კანადური კლუბის რეკორდსმენ **დერილ სიტლერს** და სულ მალე, ალბათ, "ტორონტოს" ყველა დროის საუკეთესო მექულე გახდება. სუნდინი სიტლერთან ერთად, გოლების რაოდენობითაც ფლობს საკლუბო რეკორდს.

ახლა "ტორონტოს" კაპიტანს კიდევ ერთი სამიზნე აქვს. სუნდინის ანგარიშზე 527 შედეგიანი პასია, ამ მხრივ კი, "მეიპლ ლივზის" ყველა დროის ლიდერი ასევე შვედი, ლეგენდარული **ბერიე სალმინგი** გახლავთ - მან "ტორონტოს" მაისურით 620 შედეგიანი პასი შეასრულა.

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ (ᲒᲝᲚᲘ+ᲞᲐᲡᲘ)	
ალფრედსონი (ოტა)	8 (5+3)
შჩასტნი (კოლორ)	8 (4+4)
პიტლი (ოტა)	7 (4+3)
სუნდინი (ტორ)	7 (1+6)
ზეტერბერგი (დეტ)	7 (1+6)
სპეცა (ოტა)	7 (0+7)
კოვრი (აილ)	6 (4+2)
კამალერი (ლ-ანჯ)	5 (4+1)
ე. სტაალი (კარ)	5 (4+1)
პერი (ანა)	5 (3+2)
ჯ. უილიამსი (კარ)	5 (1+4)
ფედოტენკო (აილ)	5 (1+4)
ლიდსტრიომი (დეტ)	5 (1+4)
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	5 (0+5)
გერინი (აილ)	5 (0+5)
კოვიტარი (ლ-ანჯ)	5 (0+5)

ᲒᲝᲚᲔᲯᲐᲓᲠᲔᲑᲘ	
ალფრედსონი (ოტა)	5
კოვრი (აილ)	4
შჩასტნი (კოლორ)	4
ლენგკოუ (კალ)	4
პიტლი (ოტა)	4
ე. სტაალი (კარ)	4
კამალერი (ლ-ანჯ)	4

ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘ	
სპეცა (ოტა)	7
ზეტერბერგი (დეტ)	6
სუნდინი (ტორ)	6
კოვიტარი (ლ-ანჯ)	5
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	5
გერინი (აილ)	5

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲚᲘᲗᲔᲑᲘ

11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

I ᲐᲠᲮᲘ

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲡᲣᲯᲑᲐᲠᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:05 ზუსტი გათვლა.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:55 ტოქ-შოუ - 2:1.
20:40 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
22:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:45 სასტვენი.
23:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲐ)

08:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჰოლანდია.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:13 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
11:01 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-კაროლინა.
12:45 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
13:12 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მეცი. საფრანგეთი.
17:15 ფეხბურთი. Barca TV.
17:25 სპორტკლუბი.
17:42 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. არსენალი-ჩივასი.
19:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:44 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ამერიკა-ვასკო და გამა.
21:35 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:48 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:21 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-აილენდერსი.
00:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
02:23 ფეხბურთი. Barca TV.
02:30 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-კაროლინა.
04:43 ფეხბურთი. Barca TV.
04:52 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-სანდერლენდი.
06:42 სპორტული ისტორია.

EUROSPORT

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
11:30 ცხენოსნობა. სუპერლიგა.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-იტალია.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-შოტლანდია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვენა. ავსტრია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვენა. ავსტრია (LIVE).
22:00 სუმო.
23:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-ლ. დონალდი (აშშ). მოსკოვი. რუსეთი.
00:00 პროფესიული კრივი. ნახევრადსაშუალო წონა. დ. უიტერი (ბრიტანეთი)-ვ. ჰარისი (გაიანა). დონკასტერი. ბრიტანეთი.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:30 ახალი ამბები.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-პოლონეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-სერბეთი.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-საბერძნეთი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უკრაინა-იტალია.
20:00 ახალი ამბები.
20:15 სერფინგი (საფრანგეთი).
20:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
21:15 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფლენსბურგი (გერმანია)-ლუბინი (პოლონეთი) (LIVE).
22:45 კალათბურთი.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. კონსტანტა (რუმინეთი)-კილი (გერმანია).
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:15 ახალი ამბები.

ᲕᲘᲣᲠᲪᲣᲡ ᲜᲐᲙᲐᲫᲘᲛᲐ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ "უილიამსის" ავსტრიელმა პილოტმა **ალექს ვიურცმა** ფორმულა 1-ში კარიერის დასრულება გადაწყვიტა, თანაც ისე, რომ საგონებელში ჩააგდო გუნდის ხელმძღვანელობა. საქმე ისაა, რომ ავსტრიელმა სეზონის უკანასკნელ რბოლაში - ბრაზილიის გრან-პრიში მონაწილეობაც იუარა.

ამის გამო, "ინტერლაგუშის" ტრასაზე "უილიამსის" მეორე პილოტი იაპონელი **კაზუკი ნაკაძიმა** იქნება.

"მოხარული ვარ, რომ თავის გამოჩენის საშუალება მომეცა. მანქანას კარგად ვიცნობ და იმედი მაქვს, რომ გუნდს არ დავალალატებ. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება", - განაცხადა "უილიამსის" იაპონელმა ტესტ-პილოტმა.

ᲡᲘᲚᲕᲔᲡᲢᲠᲣᲜᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ სილვერსტოუნში მდებარე ავტოდრომის რეკონსტრუქცია საავტომობილო პარკის, კოლეჯის, ბიზნეს-პარკის, სასტუმროების, რესტორნებისა და მუზეუმების აშენებას ითვალისწინებს. ტრასის მოდერნიზაციის მთავარი მიზანი "სილვერსტოუნის" ტურისტულ ცენტრად გადაქცევაა.

ცნობისთვის, ყოველ წლიურად, ბრიტანეთის გრან-პრის გამართვა ადგილობრივ ბიუჯეტს 40 მილიონი ფუნტით ამდიდრებს.

"სილვერსტოუნის" რეკონსტრუქციის უფრო დაწვრილებით გეგმას 16 ოქტომბერს განიხილავენ.

ᲐᲜᲐ ᲞᲐᲞᲐᲠᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲘᲠᲔᲡ

ᲐᲜᲐ ᲙᲣᲠᲜᲘᲙᲝᲕᲐ და **ᲔᲜᲠᲘᲙᲔ ᲘᲒᲚᲔᲡᲘᲐᲡᲘ** კვლავ ერთად არიან. ბოლო ხანს, რუსი ჩოგბურთელი იშვიათად ჩნდება პრესის წინაშე, აღარ ანებივრებს თაყვანისმცემლებს ახალი ფოტოებით და ამის გამო, პაპარაცებს განსაკუთრებული მონდომება სჭირდებათ იმისთვის, რომ კორტის დედოფალი გამოიჭირონ.

ამჯერად, პაპარაცებმა კურნიკოვა მაშინ დააფიქსირეს, როცა ის იგლესიასთან ერთად მაიამიში, საზღვაო გასეირნებისთვის ემზადებოდა.

კურნისა და ესპანელი მომღერლის ერთად ხილვა ცოტათი მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ რამდენიმე კვირის წინათ, იგლესიასმა საქვეყნოდ განაცხადა - მიუხედავად ჩვენი ხუთწლიანი თანაცხოვრებისა, არ ვაპირებ ანაზე დაქორწინებას, რადგან ბუნებით მარტოხელა ადამიანი ვარო.

"უბრალოდ, მომწონს მარტო ყოფნა. მარტოხელა ადამიანი ვარ და ჩემი ცხოვრებისეული პრინციპების შეცვლა არ მსურს. ჯერაც ვოცნებობ იმაზე, რომ სიბერეში ფლორიდას შტატის სანაპიროზე სერფინგით ვიცურავო, ვითევზაო, ოღონდ სულ მარტო უნდა ვიყო", - თქვა მაშინ ენრიკემ.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

რეალ უნიონი-ოსასუნა	2:1
ბარგოსი-პონფერადინა	2:0
დენია-პორტუელა	3:1
ალბასეტე-ხერესი	0:2
ალკორკონ-რაიო ვალეკანო	1:1, პენ. 4:2
კადისი-გრანადა	2:3
ელჩე-ეიბარი	1:1, დ.დ. 2:1
პონტევედრა-პუერტოლანო	2:0
გალიესერა-ალიკანტე	0:2
ერაელესი-ალავესი	2:1
გენერიფე-მალაგა	1:2

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲘᲒᲐ (ᲩᲠ)

ლორგენდი II-ლიუბეკი	1:0
ვერლერი II-ემდენი	2:1

ᲑᲔᲚ�გᲘᲐ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

კორტრეიკი-გენტი	4:1
ლიერსი-ნამენი	1:1
ოლიმპია შარლეროა-ანდერლეხტი	0:1
ლიეჟი-ანტვერპენი	1:0

ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ხომუტოვი-აუა ოლომოუცი	0:3
ფრიდეკი-იაბლონეცი	1:2
ფულნეკი-ლიბერეცი	1:1, პენ. 2:3

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

სპარტა-არგენტინა	0:0, პენ. 2:4

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ

ეთნიკოსი-ლევადია	1:0
ვოლოსი-აბროვიტოსი	1:1, პენ. 5:6
პრევეზა-ვერია	1:2
ფილიკი-პაოკ	4:2
ეგალეო-ქანანი	1:2

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

კლიგამიო-სასუოლი	73:80
მილანი-ბერამო	79:84

ᲞᲝᲚᲝ

ᲠᲣᲡᲗᲘ

ამური-ლადა	3:3
მეგალურგი (მ)-სსკა	2:0
ვიბიზნი-ს. იულიანი	3:4

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

კოლშრაიბერი-ჩილიჩი	7:6, 1:6, 6:4
კუნიცინი-მატიო	3:6, 4:6
ვლიეგენი-სერა	7:6, 4:6, 2:6
შტეპანეკი-ტურსუნოვი	3:6, 6:3, 6:1
ანდრეევი-მაუ	6:3, 6:4
მარიე-კოროლიოვი	6:2, 6:4

ATP. ᲕᲔᲜᲐ

გონსალესი-ვანეკი	6:3, 6:4
ფერერო-ბენეტო	7:6, 1:6, 6:2
სეპი-ჰაასე	7:5, 6:3
ლუბიჩიჩი-ფიში	6:7, 6:2, 7:6

ATP. ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ

ბეკერი-ლუჩაკი	6:2, 3:6, 4:6
ჰაასი-მონტანიესი	4:6, 4:6
დანჩევიჩი-ვესელსი	6:1, 6:7, 7:6
ლოდრა-გრემელმაირი	6:3, 6:2
კარლსენი-რიდერსტედტი	3:6, 6:7
კლემანი-მირნი	6:3, 6:2
ი. იოჰანსონი-ბერლოკი	7:6, 6:2
მონაკო-პრპიჩი	6:4, 6:4
ვერდასკო-სპეიდი	გადაიდო

WTA. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

მორესმო-ზვონარევა	6:4, 3:6, 4:6
ბარტოლი-დუშევინა	6:2, 0:6, 4:6
საფინა-მიულერი	6:1, 6:3
დემენტიევა-შნიდერი	6:3, 6:4
კუზნეცოვა-დულკო	3:6, 6:2, 6:4
შარაპოვა-აზარენკა	6:7, 2:6

WTA. ᲑᲐᲜᲒᲙᲝᲙი

კრეიბასი-კინგი	1:6, 6:3, 2:6
ზაკოპალოვა-პინი	3:6, 6:7
იანკოვიჩი-იანი	6:4, 6:7, 0:6
პენეტა-დელაკუა	2:6, 6:3, 7:5
ვ. უილიამსი-ვოზნიაჩკი	6:2, 4:1 შეწყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ინიციატივითა და
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
გალახაძე, მერაბ გრძელიძე,
მამუკა ძანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა
1934 წლის 13 აპრილს
თბილისში, სახელწოდებით
"საქართველოს
ფიზკულტურელი".
1936-39 წლებში ერქვა
"ფიზკულტურელი",
"ლელომდე" დაიბეჭდა
362 ნომერი. 1949 წლის
10 ივლისს გაზეთი აღადგინა
მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა
გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასლია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა

მძლეოსნობა

მაროკოელი სტაიერი დოპინგზე გამოიჭირეს

მაროკოს მძლეოსნობის ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა გრძელ დისტანციებზე მორბენალი **ადილ ქაუში**. სტაიერმა დოპინგ-ტესტი 13 ივლისს, "ოქროს ლიგის" რომის ეტაპზე ჩააგდო. მაშინ, ქაუშმა 1500 მეტრ დისტანციაზე გაიმარჯვა.

მაროკოელის ორგანიზმში ერითროპოეტინის კვალი აღმოჩნდა. ფედერაციამ ქაუში მას შემდეგ დასაჯა, რაც ცნობილი გახდა განმეორებითი ტესტის შედეგი.

ჩოგბურთი

ფერერი სტოკჰოლმში ვერ ითამაშებს

გასული კვირის ერთ-ერთი ტრიუმფატორი, ტოკიოს ტურნირის გამარჯვებული **დავიდ ფერერი** სტოკჰოლმის ღია პირველობიდან მოიხსნა. ეს თავად ესპანელი ჩოგბურთელის სურვილით მოხდა, რომელმაც ფეხის ტრავმის გამო თქვა თამაშზე უარი.

ფერერისთვის ეს ტრავმა ნამდვილად უდროო იყო. ესპანელი სეზონის რვა საუკეთესო ჩოგბურთელს შორის მოხვედრისა და ესოფლიო ჩემპიონატზე თამაშის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია და მისთვის ნებისმიერ სარეიტინგო ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

პირველ წრეში ფერერს შვედ **მიკაელ რიდერსტედტთან** უნდა ეთამაშა. ახლა ბადეში მის ადგილს **კენეტ კარლსენი** დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, სტოკჰოლმის ღია პირველობაზე თამაში იუარეს ჩეხმა **ტომას ბერდიჩმა** და ესპანელმა **ტომი რობრედომ**.

ჰოკეი

ფლაიერზმა მცველი დაიმატა

"ფილადელფია ფლაიერზმა" დაცვის ხაზის გამაგრებაზე იზრუნა და "ვანკუვერ კენაქსის" მცველ **რორი ფიტცპატრიკთან** გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი გახდა.

32 წლის ფიტცპატრიკს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 268 მატჩი აქვს ჩატარებული. ამ დროის განმავლობაში, მან 34 ქულის (10 გოლი+24 პასი) დაგროვება შეძლო.

პეკა ყინულზე ბრუნდება

ამ ზაფხულს, "კოლამბუს ბლუ ჯეკეტსმა" "ტორონტოდან" თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე **მაიკ პეკა** დაიმატა, მაგრამ ცნობილ ფორვარდს ახალ გუნდში დებიუტი დაუგვიანდა.

პეკას ზურგის ტრავმა აწუხებდა და ამის გამო გამოტოვა საწყისი ტურები. მაგრამ ახლა, ექიმები დამაიმედებელ პროგნოზებს იძლევიან და პეკა სულ მალე გამოჩნდება "კოლამბუსის" შემადგენლობაში.

ქველმოქმედი გრეტცკი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშემ, **უეინ გრეტცკიმ** საქველმოქმედო აუქციონის ჩატარება გადაწყვიტა. 27 ოქტომბერს, "ფინიქს კოიოტზის" მთავარი მწვრთნელი გასაყიდად გამოიტანს თავის სპორტულ ფორმას, ატრიბუტიკასა და სხვა საგნებს, რომლებიც ჰოკეისტის ავტოგრაფით იქნება დამშვენებული.

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, აუქციონიდან შემოსული თანხა, ოუკსის ქრისტიანული სკოლისთვის ბეისბოლის მოედნის აშენებას მოხმარდება.

შეგახსენებთ, რომ გრეტცკიმ გუშინ საკუთარი ვებ-გვერდის პრეზენტაცია მოაწყო და აუქციონი სწორედ ამ საიტის მეშვეობით განხორციელდება.

ინტერვიუ სერენა უილიამსთან

ჭრავმები აღარ მაწუხებს

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ამერიკელ სერენა უილიამსს თითქმის გარანტირებული აქვს სეზონის ბოლოს, წელიწადის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, ქრონიკული ტრავმებით დატანჯული ჩოგბურთელი დასვენებას არ აპირებს და აქტიურ საჩოგბურთო ცხოვრებას აგრძელებს. წინა კვირას, უმცროსმა უილიამსმა შტუტგარტში ითამაშა, ამჯერად კი, მოსკოვშია ჩასული, სადაც კრემლის თასზე ასპარეზობს. მარია შარაპოვას შემდეგ, სერენა რუსეთის დედაქალაქში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს და ამერიკელს უკვე არაერთი ინტერვიუს მიცემა მოუხდა. ერთ-ერთი საუბრის შემოკლებულ ვარიანტს დღეს გთავაზობთ.

- წლეულს, დიდხნიანი შესვენების შემდეგ, "დიდი სლემის" ტურნირი მოიგეთ. როგორ შეძელით ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვება?

- მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა: ბევრი ენერგია მქონდა, საშინლად არ მინდოდა წაგება და კიდევ, ყველა ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძოდი.

- გასულ წელს, ჯამში ოთხ ტურნირში მიიღეთ მონაწილეობა, წელს კი, უკვე მეათე ტურნირს თამაშობთ. რითი ხართ ხოლმე დაკავებული იძულებითი არდადეგების დროს?

- უბრალოდ ვისვენებ და მუდმივად ტრავმირებულ მუხლს ვკმურნალობ.

- წლეულს, თქვენთვის გადაულახავ ბარიერად იქცა ჟუსტინ ანენი, რომელთანაც როლან გაროსის, უიმბლდონისა და ამერიკის ღია პირველობების მეოთხედფინალები წააგეთ. როგორ ფიქრობთ, რა ეხმარება ბელგიელს სერენა უილიამსის დასამარცხებლად?

- ჟუსტინი ყველა ტურნირზე ძალიან ძლიერად თამაშობს. თანაც, უიმბლდონზე ფეხი ისე ამტკივდა, რომ კორტზე დავეცი და არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა თამაშის გაგრძელებას. ანენს ყოველთვის უდიდესი მოტივაცია აქვს. როცა კორტზე გადის, მისთვის სულერთია, ვინ დგას მოედნის საპირისპირო მხარეს.

- აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ, მამათქვენმა განაცხადა, რომ ამ სეზონში კორტზე აღარ გახვიდოდით. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?

- უბრალოდ, მამას უნდოდა, რომ შინ დავბრუნებულიყავი, მევარჯიშა და სხვა საქმეები მომეგვარებინა. მაგრამ შემდეგ თამაშის გაგრძელება გადავწყვიტე, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ტრავმები აღარ მაწუხებს. ამიტომაც ვარ აქ.

- გასულ კვირას შტუტგარტის ტურნირში მიიღეთ მონაწილეობა. არ გიჭირთ ზედიზედ ორი კვირა თამაში?

- ამჟამად ძალიან კარგ ფორმაში ვარ და შესაბამისად, კორტზე ორი-სამი კვირის გატარება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

- საყოველთაოდ ცნობილია თქვენი დაინტერესება მოდის სამყაროთი. საკუთარ მოდელებსაც ქმნით. რა უფრო გიზიდავთ, სპორტული თუ კლასიკური ტანსაცმელი?

- კლასიკურ ჩაცმულობას ვანიჭებ უპირატესობას. სპორტული სტილი ნაკლებად მიტაცებს.

- ერთი პერიოდი, კორტზე მეტად ექსტრავაგანტული ჩაცმულობით გამოირჩეოდით. ახლა სტილი შეიცვალეთ. რატომ?

- წლები მიდის, დიზაინი იცვლება. გპირდებით, მომავალი წლისთვის ჩემთვის რაიმე სასაცილო კაბას მოვიგონებ.

- რომელ ფერს ანიჭებთ უპირატესობას?

- ვარდისფერს, შავს...

- თქვენი კიდევ ერთი გატაცება კინო და თეატრია. მონაწილეობა გაქვთ მიღებული სატელევიზიო წარმოდგენებში. რა როლები ითამაშეთ?

- კინოში "ექმენის" ჟანრი მირჩევნია, თავად კი, საკმაოდ ბევრი დრამატული როლი შევასრულე, ერთი-ორიც კომედიური როლი იყო.

- დაგვისახელეთ თქვენი საყვარელი მსახიობები.

- ძალიან მომწონს რასელ ქროუ, დენზელ ვაშინგტონი, ანჯელინა ჯოლი.

- რომელიმე მათგანს იცნობთ?

- არა. ისინი შესანიშნავი მსახიობები არიან და მათი დისტანციაზე დაკვირვება მირჩევნია.

- მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, ქველმოქმედებასაც დიდ დროს უთმობთ. ამ მიმართულებით, რა სფეროში მოღვაწეობთ?

- საკუთარი ფონდი მაქვს. ღარიბი ბავშვების ფასიან კოლეჯებში სწავლას ვაფინანსებთ. ჩვენ მათ გრანტებს ვაძლევთ, რათა განათლება მიიღონ და ქუჩაში არ ირბინონ.

- დამარცხებას იოლად ეგუებით?

- ვცდილობ, ამაზე არ ვიფიქრო. მაშინვე შემდეგი მატჩის მოსაგებად ვიწყებ ზრუნვას.

- რომელია თქვენი ყველაზე დასანანი მარცხი?

- 1998 წელს როლან გაროსზე, როცა მეოთხე წრეში, სამ სეტში წავაგე არანჩა სანჩესთან.

- ღმერთს ხშირად ესაუბრებით?

- ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ყოველთვის თან დამაქვს ბიბლია და მუდმივად ვლოცულობ.

- რომელ ქალაქთან გაკავშირებთ ყველაზე სასიამოვნო მოგონებები?

- მიყვარს პარიზი და მიუნხენი.

- კერძების მომზადება თუ გეხერხებათ?

- რა თქმა უნდა. ჩვენთან ბევრი რეალითი-შოუ გადის, სადაც უამრავ კულინარიულ რეცეპტს გვთავაზობენ. მათი მიხედვით რაღაცის მომზადებას ვცდილობ ხოლმე.

- რომელია თქვენი საყვარელი კერძი?

- მიყვარს თევზის მომზადება.

- რამდენი ხანი შეგიძლიათ ჩოგბურთის გარეშე გაძლება?

- (პაუზა). ჩოგბურთი ჩემი ცხოვრებაა...

- გარდა ჩოგნებისა და სპორტული ფორმისა, კიდევ რა დაგაქვთ ტურნირებზე?

- საკუთარი ძაღლები დამყავს, - უპასუხა სერენამ და ჩანთიდან ორი ოთხფეხა მეგობარი ამოიყვანა.

ჩამქრალი ვარსკვლავი

ჰინგისი გაქრა



მარტინა დეპრესიაშია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** უკვალოდ გაქრა. მისი ადგილსამყოფელის შესახებ არც გულშემატკივრებმა, არც ჟურნალისტებმა და არც ჩოგბურთელის სპონსორებმა არაფერი იციან.

ამ კვირას, მარტინას მონანილეობა უნდა მიეღო სარეკლამო რგოლის გადაღებაში - შვეიცარიელს კონტრაქტი აკავშირებს სამზარეულოს კომბაინების მწარმოებელ ერთ-ერთ ფირმასთან. მაგრამ ჰინგისი გადასაღებ მოედანზე არ გამოცხადდა და მთელი შემოქმედებითი ჯგუფი უსაქმოდ დატოვა.

სპორტსმენის პირადი ექიმის **ჰაინც ბიულმანის** სიტყვებით, ჰინგისი მორიგი ტრავმის გამო, დეპრესიაში ჩავარდა, რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი მომავალი კარიერა. სწორედ ამიტომ არ სურს ჩოგბურთელს არავის ნახვა.

ექიმის განცხადებით, ჰინგისი რთულად რეაგირებს შექმნილ სიტუაციაზე, მაგრამ საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად, მას სრული სამედიცინო შემოწმების გავლა სჭირდება. ბიულმანი ამაოდ ცდილობს მარტინასთან ტელეფონით დაკავშირებას, რათა ის დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმისგან იხსნას.

ამასობაში, ჰინგისის სამშობლოში სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა, რომელმაც გაარკვია, თუ რას ფიქრობენ შვეიცარიელები ჰინგისის მომავალ ბედზე. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 60 პროცენტი დარწმუნებულია: ამჯერად ჩოგბურთელი სამუდამოდ გავა პენსიაში.

როგორც იცით, მარტინა ჰინგისმა ერთხელ უკვე შეწყვიტა კარიერა - 2002 წელს პროფესიული სპორტი ფეხის ტრავმის გამო მიატოვა, მაგრამ შარშან დაბრუნდა და სულ მალე შეაღწია საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში.

წლეულს, შვეიცარიელი ძალიან ცუდ სეზონს ატარებს და სულ მალე, WTA-ს რეიტინგის საუკეთესო ოცეულის მილმა აღმოჩნდება.